


# ახეული

ლიტერატურული ჟურნალი  
№1, 2017



„აფხაზეთო,  
დაბრუნებამდე!“

ახანა



AMIR OR

თარგმანი



„მე პაოლო ვარ“

# ჩვენს ინანიშვილს სახელოს ღიშინაშინი კონკრეტი



\* \* \*

„მწერლობა მაინც სხვა არის, ნამდვილი მწერლობა. მას ყოველთვის თან ახლავს ღვთიური შუქი, რომელშიც ხარობს, ჯეჯილიც, შვლის ნუკრიც და ჩვენი სულიც“.

## რევაზ ინანიშვილი



### დათუნია სხირტლაძეს



რად დაგეუფლა შენ სიკვდილი —  
მუზად ანანთებს,  
შენ კი არ მოკვდი —  
დაიწვი და გზა გაანათე...  
დიდება უფალს!  
ვინ დამალოს სმალნი ხალთაში,  
შენს ნეტარ მამულს ჩაუგორე  
შვილი კალთაში.  
რად შეკრთა მიწა,  
რად შეერყა ძლიერი ტოტი...  
იმეორებენ რაჭის მთები —  
ძველ ნაცნობ მოტივს.  
ვერ დაგეუფლა შენ სიკვდილი —  
მუზად ანანთებს,  
და კი არ მოკვდი —  
დაიწვი და გზა გაანათე...

თემურ ჩალაბაშვილი,  
2017 წლის 8 იანვარი



# ანალიტიკური

№ 1. მარტი. 2017 წელი

## ლიტერატურული

### ფენიქსი

ერთი ლექსი	
თამაზ ჩხეიძე „აღსარება“ .....	3
პბტგა	
ლან თოთაძე საღამოს ხევის ნაჩურჩულარი .....	4
ერთი ლექსი	
ბაქი სანაძე ბუბის აჩრდილი .....	8
ყვარული პეტრე „ანულის“ თქმულები .....	9
მანანა შატავიძე, ცინ ბიბიასვიცი, ელისო ბაშაძე, ნინო თეთრიანი, თამაზ საყვარელი, ლევან ბერიანი (ჩინოხიანი), იოსებ იოსელიანი, მანანა (მანა) ფიქსაციანი, ნათია სინაძე-ხახიძე, ზაქარია ბერიანი, ლევან ყაზაძე, ბიბიანი ნაბიანი .....	17
სკოლა	
მანანა ლევანიძე მისი ცხოვრება დღეს .....	18
ჯანაჯანაძე „ლაღოს ხეივანი“ .....	19
პბტგა	
ლან თეთრიანი-სახეობის მამიდა .....	21
პეტრე	
ლან თეთრიანი .....	26
ახილ ნაბიანი .....	27
თარგმანი	
მანა მანი ინგლისურიდან თარგმან მანანა ლევანიძე .....	28
მანა მანი სომხურიდან თარგმან მანანა ლევანიძე და თამარ გაროშვილი .....	32
მოცარტის წერილები ინგლისურიდან თარგმან მანა ლევანიძე .....	35
მანანა მანი ინგლისურიდან თარგმან მანა ლევანიძე .....	39
პბტგა თამაზ ბაბიანი .....	42
იუმილაძე	
მანანა ლევანიძე შეხვედრა გიორგი ლომიძეს (დასასრული) .....	44
წიგნი	
მანანა მანი თენგიზ ასაჯანიძე – „გეტყვი სიმართლეს“ .....	48
მანანა მანი საუკეთესო შენაძენი .....	50
თამაზ შატავიძე მხატვარი დავით ბაძაღვა .....	52
მანანა მანი შემოქმედების ალქიმი .....	53
მანანა მანი მანი ჩვენი ხატია .....	55
ერთი ლექსი	
ლან თეთრიანი სვეტიცხოველი .....	57
პბტგა	
მანი მანი მე პალო ვარ .....	58
ერთი ლექსი	
მანი მანი .....	60
მანი მანი	
მანი მანი განუმეორებელი ანა .....	61
ინტერვიუ ია მანასთან .....	64
პეტრე	
თამაზ შატავიძე .....	68
ჯანაჯანაძე .....	70
ლან თეთრიანი .....	71
მანანა მანი ჩემო ესტატი მასწავლებლო! .....	72

ISSN 1987-9717

ენციკლედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

---

---

ენციკლედ „ანელი“ ახსებელი  
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე  
ლელია ქიტოშვილი –  
სასლტის უცხოელი  
თემურ ჩალაბაშვილი  
მანანა ჩიტიშვილი  
ნინო ჩხიკვიშვილი  
თამაზ სვალაძე  
ივანე ჯაფარიძე  
ჯუბა ღებელი  
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი რედაქტორი

თამარ შაიშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოგრაფიული რედაქტორი

კომპიუტერული რედაქტორი

გორა სოფიაშვილი

გაზეთი: ლეონტი მელიქიძის ფონდის დახმარებით


ჩეხეთის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტ-ფოსტა: [aneuli@mail.ru](mailto:aneuli@mail.ru)

ენციკლედში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი



# გოთი ლექსი თამაზ ჩხენაძე



## „აღსარება“

სიონში შუბლზე რომ გეფარა მუხის ფოთოლი  
ვეება ლოდად გადაიქცა. ის ლოდი ფარავს  
ახლა ჩვენს სახელს,  
მაგრამ საქმე იცოცხლებს მარად.  
შენ რომ ააგე შენი ხელით ციხე-გოდოლი,  
ჩვენ დავაქციეთ. შეგაგინეთ, როცა გვაკურთხე,  
როცა დაგვლოცე –  
შიგ სახეში შემოგაფურთხეთ!..  
ასეთები ვართ ჩვენ – სამშობლო ქვეყნის გამცემი  
ნადირალები  
და მარადი ქონდრისკაცები!  
შენახული გვაქვს შენი შუბლის გამხვრეტი ტყვია  
ოქროს ლუსკუმით. სამეუფო მიწას რომ სცხია –  
იმ შენი სისხლით თუ აღდგება ვინმე შენებრი  
მოსაკვდინებლად მივვარდებით ისევ ჭენებით!..  
ასეთები ვართ ჩვენ – სამშობლო ქვეყნის გამცემი  
ნადირალები  
და მარადი ქონდრისკაცები!  
„მარად და ყველგან“ – რომ ამბობდი,  
ჰო, მარად, ყველგან,  
აწ და მარადის და ყოველთვის  
დაზრდილებს შენგან  
შენსავ ბუნაგში დაუხოცავთ იმ მურა ლეკვებს,  
რომ არასოდეს შენნაირთა არ იყო მეკვლე!..  
ასეთები ვართ ჩვენ – სამშობლო ქვეყნის გამცემი  
ნადირალები  
და მარადი ქონდრისკაცები!  
ასეთები ვართ  
და ვიქნებით მუდამ, მარადლე  
ჩვენ ასეთები,  
რომ არასდროს მკვდრეთით არ აღდგე!

1986 წ.

# სალამოს ხევის ნაჩურჩულარი\*



ზაფხულის არდადეგებადღე ორიოდე დღით ადრე გივი მასწავლებელმა წასაკითხი წიგნების გრძელი სია მომცა, შარშანდელ და შარშანწინდელ სიებზე დიდი. მერეღა მივხვდი, რომ ეს სია არა მხოლოდ წელიწადის ერთი სეზონისთვის, არამედ მთელი ჩემი ცხოვრებისთვის იყო განკუთვნილი. იქნებ მაშინ უკვე აპირებდა წასვლას, და როდესაც უკანასკნელად მასთან ერთად საკლასო ოთახის ფანჯრიდან მთებს შევყურებდი, ის იმაზე ფიქრობდა, ამ ზღუდეს როდის გადალახავდა, მთისიქითა სამყაროს როდის შეაჩერდებოდა თვალებში.

მეშვიდე კლასში,სკოლის პირველივე დღეს გავიგე მისი წასვლის ამბავი. სახლში რომ მივედი,დედაჩემს ვუთხარი, ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად-მეთქი. დედა მაგიდიდან წმენდა მტკერს, უცებ გაჩერდა, ტილო ხელზე გადაიშალა და დააშტერდა. თითქოს ახლავდა შეამჩნია,როგორი ჭუჭყიანი იყო. მაინც რატომ წავიდაო,გავიგონე,თავისთვის ჩაილაპარაკა. არც მე ვიცოდი, რატომ წავიდა. ძალიან უყვარდა ხევი. აქაურობა ჩვენი ნაწილიაო,დაჟინებით გვიმეორებდა, და როცა დამარწმუნა, მაშინ თვითონვე დაივიწყა თავისი სიტყვები,ჩემს გონებაში დარჩენილ წარსულს შეატოვა და წავიდა.

გულზე ნატყვიარად შემრჩა დაუმშვიდობებლობა. ერთადერთი ადამიანი იყო ჩემს ცხოვრებაში, რომელიც მეუბნებოდა, მამას გავხარო. კარგად იცნობდა მამაჩემს, ამიტომ მჯეროდა მისი სიტყვებისა. ან იქნებ იმიტომაც, რომ ცხოველურად მინდოდა, დამეჯერებინა. ბევრს მიყვებოდა მამასთან ერთად გატარებულ დღეებზე. შენ კი არ იცნობდიო მას, მეუბნებოდა, მაგრამ ამ ხევის ხომ იცნობ,ამ ხევმა გამოგვინა ჩემი და მამაშენის სულებით.

— აი, ამ მთებს რომ გახედავ, კარგად გააყოლე თვალი მათ ჯაჭვს. ეს ჯაჭვი რკინაზე მტკიცეა. ვერც ვერასოდეს დაარღვევს,ვერც ვერასოდეს ამოძირკვავს

ვინმე. ისეა შეხორცებული მიწის გულს, ვერავინ ამოუთხრის ფესვებს. ასეთები იყვნენ ისინიც,ჩვენზე ადრე რომ ცხოვრობდნენ აქ, ჩვენი წინაპრები და წინაპრების წინაპრები,ასეთი იყო ბაბუაშენი, მამაშენი, შენც ასეთი ხარ.

მის გარდა არავინ მეუბნობოდა,ასეთი რომ ვიყავი, არც დედაჩემი, არც ბიძაჩემი, არც ბიცოლაჩემი, არც მასწავლებლები ან კლასელები, ან თინა ბებო, რომლის თვალეშიც ჩანდა, როგორ ეიმედებოდნენ ჩემი ბიძაშვილები, მაგრამ როცა ჩემზე ჩამოვარდებოდა საუბარი, სვედაშეხორცებული მხერით გადახედავდა დედაჩემს,როგორც უმწეოდ,მარტოდ დარჩენილ ქალს.

ბიძაჩემი,გოჩა, ხშირად მოდიოდა ჩვენთან მეზობელი სოფლიდან დიდი,ლურჯი მანქანით. ბავშვობაში, როგორც კი ნაცნობი ხრიგინის ხმას გავიგონებდი, წამის მეასედში გარეთ დავეყუდებოდი ხოლმე. გოჩა ძიას ხან ხის მორები მოჰქონდა საზამთროდ, ხან შეშის დასაჩხვად იყო მოსული, ხან ფარდულის შესაკეთებლად, სახურავსახილი კრამიტების დასაწყობად, ეზოს ძველი სკამებისთვის ფიცრების გამოსაცვლელად, ხან კი უბრალოდ იმისთვის, რომ დედაჩემისთვის ეთქვა, არ იდარლო, თუ რამე გავიჭირდათ, შემოგივლიო.

დედა იშვიათად გააცოცხლებდა სიტყვებით ფიქრებს, იშვიათად ლაპარაკობდა იმაზე, რასაც გრძნობდა, მაგრამ უთქმელი სიტყვები მისი გამტარი თვალების მიღმაც იკითხებოდნენ და ვიცოდი,ყველაზე მეტად ძმის მოსვლა აბედნიერებდა. როდესაც მის ხმას გაიგონებდა, თვალებში მტკრისოდენა მზისსხივა ნაპერწკლები აენთებოდა, ხოლო როცა გოჩა ძია წასასვლელად გაემზადებდა, საკისპერ პალტოს მოისხამდა და მანქანას დაქოქავდა, ეს ნაპერწკლები თვალებიდან ცრემლის წვეთებად უცვივდებოდა ხოლმე. ისევ მარტონი ვრჩებოდიო მე და დედა.

პატარა რომ ვიყავი, ბიძაჩემის ლურჯი მანქანა ღია ცისფერი მეჩვენებოდა და მეც დედაჩემით მიხაროდა მისი გამოჩენა. მაშინ, ხანდახან მეც წამელაპარაკებოდა ხოლმე, რაღაცას მარჯობდა, გამიღიმებდა. მერე, როცა წამოვიზარდე, ისე მოდიოდა და მიდიოდა, მხოლოდ იმას თუ მკითხავდა, სწავლის საქმე როგორ მიდისო. მე გულზე დამდგარი ლუკმასავით მაძიებდა მისი ყოველი სტუმრობა, ყველაზე მეტად კი დედაჩემის მიერ მისთვის წარმოთქმული სიტყვები: „შენ რომ არ გვყავდე...“

„სწავლის საქმეც“ ისე მიდიოდა, როგორც ყოველდღიური ცხოვრებისა. მივეჩვიე მდუმარე სახლში ცხოვრებას, წიგნების კითხვას, სკოლის ბოლო მერხთან მარტოდმარტო ჯდომას და ფიქრების, ნატვრების, ოცნებების, სიტყვების გულშივე დაგუბებას.

ვერავის დაგუშევობრდი. ვიცოდი, კლასელი ბიჭების მამები სულ ერთად დადიოდნენ, სათევზაოდ, საქეიფოდ, სანადიროდ, შეილებიც თან დაჰყავდათ. ჩემი კლასელები ერთმანეთს გადაებნენ, გადაეჯაჭვნენ, სულ ერთად იყვნენ. მე კი ისევ წიგნებიდან ვხაპავდი ბავშურ სიხარულსა და ბედნიერებას. მათკენ არასოდეს ვიხედებოდი, არც ისინი იხედებოდნენ ჩემკენ. მხოლოდ მაშინ, თუ ჩემი წვალება მოუნდებოდათ.

გივი ქართულ ენას და ლიტერატურას გვასწავლიდა. ბავშვებს უყვარდათ, მაგრამ მის სიტყვებს ხშირად ათამაშებდნენ, დასცინოდნენ, როგორ შეიძლება ადამიანის სული ჩაკლდეკებული იყოს, როგორც გივი მასწავლებელი ამბობსო, ან ვის გაუგია სამშობლოს დინება მარტოებშიო. მე ერთხელ გავბრაზდი და ვთქვი, მე გამიგია მეთქი. ჯერ დაიბნენ, მერე ზურამ დაიძახა, ხალხო, უსმინეთ, ბარათაშვილი ლაპარაკობსო, და ყველანი ერთაბამად ახორხოცდნენ, სიცილით დაიგულდნენ. მაშინ ჩემსა და კლასს შორის უკანასკნელი ძაფიც გაწყდა ერთმანეთში არეული დამცინავი ხმების მჭრელი პირით.

ამაზე არავისთან ვსაუბრობდი გივი მასწავლებლის გარდა. მხოლოდ მან იცოდა, ყველასაგან ფარულად რომ გჩხედი დამლამობით შეშას. გამეტებით ვურტყავდი ნაჯახს, შუაზე ვხლეჩდი მორებს. თან შეშინებული ვიხედებოდი ირგვლივ, არ მინდოდა, ვინმეს რამე გაეგო, მერე დაჩხედილ ხელში დავიხვავებდი და ნაწილ-ნაწილ მიმქონდა ჩვენს ეზოში. დილით აივანზე გადმომდგარ დედაჩემს ეღიმებოდა და ამბობდა, რა ყოჩაღია გოჩა, წასვლამდე იმდენი შეშა დაჩხედა, რომ არა და არ ილევაო.

მორებსაც ვეზიდებოდი ჩუმად, კრამიტის სახურავსაც ვამოწმებდი, სკამის ფიცრებს ვაჭედებდი. თუ გოჩა ძია დედაჩემს ჰკითხავდა, რა გჭირდებოდა, დედა ეტყოდა, ჯერჯერობით არაფერიო.

მარტო გივი მასწავლებელმა იცოდა, მასავით რომ მიყვარდა ჩემი მიწა. იცოდა, რომ მისი გაკვეთილის გარდა არცერთი გაკვეთილი არ მიყვარდა და არცერთ გაკვეთილს არ ვუყვარდი. ეს უსიყვარულობა ჩემს ნიშნებს უფრო ამძიმებდა, ვიდრე მე.

მარტო გივი მასწავლებელმა იცოდა ის, რასაც არასოდეს ვამბობდი. ის სურვილებიც იცოდა, ბავშვურებისთვისაც რომ ვერ ვიმეტებდი სურვილის ჩასათქმელად. მეუბნებოდა, მამაშენით მეტრძოლი ხარ, შენს გზას აუცილებლად იპოვიო, ყოველთვის შენს მხარში ვიქნები, ყოველთვის აქა ვარო. მე მჯეროდა, მაგრამ ბოლოს მივიხედ-მოვიხედე და აღმოვაჩინე, რომ აქ აღარ იყო. ქალაქში წასულიყო.

მზე აღარც ათბობდა და აღარც ანათებდა. პატარა ბავშვის გაუწაფავი ხელებით გამოჭრილ და ცაზე უხეიროდ მიწებებულ წრეს დაემსგავსა, წვერწაბეხილი ყვითელი ფანქრით შეფერადებულს. სიცივემ ჩაყლაპა ჩვენი პატარა ხევის დასახლება.

სიცივესთან ერთად შიშმაც ჩაყლაპა ხევი.

ჩემი კლასელი ზურა, ტყეში შესულა და გზა აბნევიდა. ხალხი ამბობდა, დედამისის დაბადების დღისთვის ყვავილებს კრეფდაო. მარტო მე ვიცოდი, რომ ტყეში, ღრმად, ბიჭებთან სანაძლეოს გამო შევიდა, რაც არ უნდა იყოს, არ შემეშინდებო.

იმ დღეს ბიძაჩემი მოვიდა ჩვენთან. შუბლმეჭმუხნილი იჯდა, ამ მთებს, კლდეებსა და ტყეს ჩვენც კი ვერიდებოთ, ამხელა კაცები, გზა თუ კარგად არ იცი, ცუდად არის საქმეო.

– ლუკა, შეშას დამიჩხეხავ? – მკითხა მოულოდნელად დედაჩემმა.

კი-მეთქი, გუპასუხე და წასასვლელად მოვემზადე, მაგრამ გოჩა ძიამ სკამის სახელურს ჯიქურ დაჰკრა ხელი და შემომიბთია, რისი დამჩხეხი შენა ხარო.

– ახლა წავალ, ზურა უნდა მოვძებნოთ და ჯერ არ მცალია, რომ დავბრუნდები, მე თვითონ დავიხეჩავ. ჯერ ბიძაჩემი წავიდა, მერე დედაჩემმაც, მარინას შეეუვლი, გაგიგებ რა ამბებიაო.

მარტო დავრჩი სახლში. საწოლზე წამოვჯექი და გივი მასწავლებლის მოცემულ წიგნების სიას დავხედე. მაინც როგორ შეადგინა ამსიგრძე სიამეთქი. იცოდა, რომ წავიდოდა, რაღაც უნდა დაეტოვებინა ჩემთვის.

– მხოლოდ წიგნები კი არა, მოგონებებიც ხომ დამიტოვა, – გავიფიქრე, – ასე მეუბნებოდა, ძლიერი ხარო, ბიძაჩემს კი ჰგონია, შეშის ჩეხაც არ შემიძლია. ეგეც შემიძლია და კიდევ ბევრი რამეც – უეცრად გავბრაზდი, – წავალ, მეც მოვძებნი ზურას.

ზოგჯერ თვეობით ვფიქრობთ, მაგრამ მარტოვ გადაწყვეტილებასაც ვერ ვიღებთ, ზოგჯერ კი წამიერად გავვიღებებს ფიქრი და გვიტაცებს, ჩვენც დაბრმავებულები აღფრთოვანებით მივყვებით.

სახლიდან გამოვედი. შეუმჩნეველად ავუარე გვერდი აწრიალებლ სოფელს და მთათაშორის გზას გავეყევი. ხმები ნელ-ნელა მიწყდა. იქით წავედი, სადაც ყველაზე ნაკლებად აღწევდა საქებნელად გამოსულთა ძახილი.

მეგონა, ხევი მეჩურჩულებოდა და კლდეთა პირიდან სიცივეში ნისლად უშვებდა ორთქლს. მე მხოლოდ ჩურჩულის ხმა მესმოდა, სიტყვებს კი ვერ ვარჩევდი. „ალბათ ჩემმა წინაპრებმა იცოდნენ, რას ამბობდა ტყე“ – გავიფიქრე, – „ამიტომაც უყვარდათ სამშობლო. მე კი ვერც ნაჩურჩულარს ვარჩევ, და არც ის ვიცი, საით მიდის გზა.“

გამახსენდა, ერთხელ ყური მოვკარი გოჩა ძია რომ ეუბნებოდა დედაჩემს, მამამისი სულ სხვანაირი იყო, ნამდვილი კაცი იყო. გავიფიქრე, იქნებ მაშინ მართალიც იყო მეთქი ბიძაჩემი. „მართლა გამხდარი ვარ, გამხდარი და გალეული. არც არასოდეს მინადირია, თევზაობითაც კი არასოდეს მითევზავია. მე მხოლოდ ვკითხულობ და ვკითხულობ წიგნებს და მიყვარს ეს ხევი და სამშობლო. მაგრამ სხვას ვერაფერს ვაკეთებ. ძარღვებში მამაჩემის სისხლი დამიდის, მაგრამ სხვა არაფრით ვგავარ. მისი ხასიათის მცირეოდენ ნაწილსაც არ ვატარებ.“

ჭუჭყუიანი ღრუბლები ჩამოეფინნენ მთების კალთებს.

„იქნებ ყველა წინაპარიც ისე იკარგება, როგორც მამაჩემი დაიკარგა ჩემში. იქნებ ჩვენში მათი აღაფერი აღარ დარჩა: ისინი იბრძოდნენ და იბრძოდნენ, ამბობენ, ჩვენც გადმოგვეცაო მათგან ბრძოლის ჟინი. მაგრამ იქნებ არც არაფერი გადაეცემა მამიდან შვილს, შვილიდან-შვილიშვილს. ხელახლა გავდივართ იმ გზას, ჩვენი წინაპრები რომ გადიოდნენ. იქნებ ამიტომაც გაქრნენ, დაიკარგნენ, ამიტომაც დაივიწყეს ისინი. იქნებ მართლა არ არსებობს სამშობლო. არც ის ძაფი არსებობს, სამშობლოს რომ გაკავშირებს. იქნებ ჩვენ თვითონვე ვაბამთ ამ ძაფს.“

მნიშვნელობა არ აქვს, ზურას ვიპოვი თუ არა, ისევ იგივედ დავრჩები, რაც ვიყავი. ჩემგან არც „ნამდვილი კაცი“ გამოვა და არც მებრძოლი“.

უკან გამობრუნება დავაპირე, მგლის ყმუილი რომ მომესმა. იმის მაგივრად რომ ნაბიჯი ამეჩქარებინა, გავხევედი.

გივი მასწავლებლის სიტყვები გამახსენდა, მთაში რომ მგლის ყმუილს ვისმენ, ისიც კი მიყვარსო. მაშინ მეუცნაურა ასეთი სიყვარული, ახლა კი, როცა მოსალამობეულ ხევში ყმუილი მომესმა, ჯერ ტანში გაცრილი საზარელი შიში ვიგრძენი, მერე კი სიამაყის განცდა, ამან როგორ უნდა შემაშინოს, როგორ უნდა მაჯობოს-მეთქი.

ყმუილი შორეული იყო, მაგრამ მაშინ ყურთასმენადმბულს მეგონა, მეელი სადმე ახლოს დახეტიალობდა. გავიფიქრე, ახლა აღარც ხმლით იბრძვიან, აღარც ხანჯლით, ახლა საკუთარ თავსა და საკუთარ შიშებს უნდა ებრძოლო-მეთქი. მერე რა, რომ არასოდეს მინადირია, სამაგიეროდ გამბედაობა ხომ მაქვს-მეთქი, და კიდევ უფრო ღრმად შევტოპე ტყეში.

ვფიქრობდი, არაფერი დამიშავებოდა მცველებად გარშემორტყმულ კლდეთა წრეში. ჯიქურ მივდიოდი, უშიშრად. ჩემში წინაპრების არსებობას ვგრძნობდი. თან ვფიქრობდი, მართლა არსებობს-მეთქი სამშობლო, ოღონდ მარტო წიგნებში ამოკითხული და ნახატებში ნანახი კი არა, ნაგრძნობი სამშობლოც: ტყის შრიალი, მგლის ყმუილი, მამაზე ფიქრი, გოჩა ძიას ხრიგინა მანქანა და დედაჩემის ღიმილი, ჩვენი ეზო, ჩემი საკლასო ოთახი და ფანჯარა, საიდანაც ამ მთებს ვუყურებ, ჩემი კლასელები, ტყეში დაკარგული ზურაც, ყველაფერი ჩემია, ჩემი სამშობლოა, და ის უწყვეტი, ქარიშხლური შეგრძნებაც, შიშს რომ დაგაძლევინებს, წინ რომ გიბიძგებს, გზას რომ გაგაგრძელებინებს-მეთქი.

საიდანაც კიდევ მომესმა ხმა. ეს სულ სხვა იყო. არც ცხოველისას გავდა და არც, მით უმეტეს, ადამიანისას. მაგრამ ვიცოდი, ზურა რომ იყო. თავბრუ დამეხვა, გრძნობები ერთმანეთში ამებურდა, არ ვიცოდი, მიხაროდა თუ მწყინდა ამ ხმის გაგონება, დაღლილი ვიყავი თუ აბორგებული, ალტაცებული თუ ნასევდალი.

– ზურა! – დავუძახე.

ზურამ სულ ცოტა ხნით ძახილი შეწყვიტა, და მივხვდი, რომ ჩემი ხმა გაიგონა. ალბათ მეტისმეტი მოულოდნელობისგან იფიქრა, მომეჩვენაო, და მერე ისევ გააგრძელა სასოწარკვეთილი ყვირილი.

შორიდან დავინახე და მანაც დამინახა. გაოცებისგან თვალები მოიფშვინტა. მასაც არეული სახე ჰქონდა, გაურკვეველი. სავსე, ემოციებშეკედლებული თვალებით მიყურებდა, როგორც იმედს.

ასე უყურებდა ხოლმე დედაჩემი გოჩა ძიას, ყოველ ჯერზე, როცა ის ჩვენთან მოდიოდა და წასვლამდე გვიბარებდა, თუ რამე გაგიჭირდებოდა, აქა ვარო.

– წამოდი, სახლში წავიყვან. – ვუთხარი უჩვეულო თავდაჯერებით.

ზურას არაფერი უთქვამს. დაბნეულობამ სახეზე გადაურბინა, მერე თვალებს შერჩა და სხვა ემოციებს შეერია. მე ჩამავალი მზის სხივებით ნარინჯისფერ-მოწითალოდ ჩამწიფებულ ცას ავხედე. საწვიმარი ღრუბლები სადღაც გაძურწულიყვნენ.



გამელიძე. — წამოდი, დრო აღარ იცდის, საშიშია შემოღობება. — კიდევ უფრო ბოხი ხმით ვუთხარი.

იგი გამოერკვა და თავი დამიქნია. გზას გამოვუდექი. ზურა უთქმელად გამომყვა ფეხდაფეხ. კარგად აღარც მახსოვდა, საით უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ ფრაგმენტულად გონებაში ამოტივტივებულ სურათებს მივყვებოდი: აქ მდინარესთან ეს დიდი ქვა იყო, სადღაც ხეს დიდი ნაჭრილობები ჰქონდა, სადღაც კი ბალახი იყო გათელილი. არაფრის აღარ მემინოდა. ვიცოდი, არ დავიკარგებოდი. მესმოდა ხეების შრიალი, ფოთლების ხრაშუნი, ქარის ზუზუნი, მიწის ხმა, საღამოს ხევის ნაჩურჩულარი.

მერე სოფლელების ძახილიც გავიგონეთ. მარტო ზურას კი არა, მეც მეძებდნენ. ტყე ააწრიალეს, ქარი გააჯერეს ჩვენი სახელებით. რომ დაგვინახეს, ერთბაშად დატრიალდნენ ჩვენ გარშემო, შემოგვეხვივნენ და სიტყვების ბუდი დააყენეს.

შენ რაღა გინდოდაო, მეკითხებოდნენ, სხვა დროს ბიძაშენთან ერთად ვერ გაისერნებდიო ტყეში? ხომ იცოდი, ზურა რომ დაკარგული იყო და კიდევ უფრო მეტად უნდა აგეფორიაქებინა ყველაო? გიჟსა ჰგავს დედაშენი, ამისთანა მამის შვილი ასეთი უყურადღებო როგორ უნდა იყოო.

— გულმა ვეღარ მოუთმინა ბიჭს, წავიდა სახეტი-ალოდ, მაინც და მაინც ახლა. წკიპზე გადარჩნენ ორივენი ღამეს. კიდევ კარგი, მშვიდობით დააბრუნა ღმერთმა.

— ის მაინც წარმოგიდგენია, დედამის ერთი ესა ჰყავს, და ესეც რომ დაეკარგა... არ მესმის, როგორი დაუფიქრებელი ბავშვია...

— რა გიკვირს? მაგან მარტო კითხვა იცის. ზღაპარი ჰგონია ცხოვრება, სულ ფერად-ფერადად აყვავილებული. მაგას ის სიმძიმე ვინ აგრძნობინა უმამობის, ბიძამისი დანარჩენებს თავზე... ნეტავ, ტყე თუ იცის, რა არის? აბა, ერთი, მგლის ყმული გააგონა, იქიდან სულ სირბილით გამოიქცეოდა, კიდევ კარგი ზურას გადააწყდა, ის ყოჩალი ბიჭია, იმან მოიყვანა აქამდე ცოცხალი და უვნებელი.

გოჩა ძიას სავსე ხელი მხარში მწვდა და მანქანისკენ მიბიძგა. სახლში ისე წამიყვანა, ერთი სიტყვაც

არ უთქვამს. კარი დედამ გაგვიღო. სევდაშემჯღარი თვალები წითლად დასიებოდა.

— დედა, იცი...

— ნულარაფერს მეტყვი, — მითხრა და სახეზე ხელი აიფარა. ბიძაჩემი შემოეხვია, დაამშვიდა:

— არ იტირო, ცი, ჯერ ბავშვია, რომ გაიზრდება, ყველაფერს ნელ-ნელა ისწავლის.

— ამის გამო როგორ უნდა ვიტირო... — გაბზარული ხმით უპასუხა დედაჩემმა.

— წადი, შენს ოთახში, წიგნი წაიკითხე, რაც გინდა ის გააკეთე, ოღონდ წადი, — მომიტრიალდა ბიძაჩემი.

ვიდექი ჩუმად, ვუყურებდი დედაჩემს და განძრევასაც ვერ ვბედავდი. „ნეტავ იმ მგელს შევეჭამე, — ვიფიქრე, — მაგრამ მგელს რომ შევეჭამე, დედაჩემი ვერ გაუძლებდა დარდს, ამიტომ კარგია, ცოცხალი რომ დავბრუნდი“.

მეორე დღეს წინ გადმომსვა მათემატიკის მასწავლებელმა, სულ უკან რომ ზინარ და ხმას არ იღებ, არ შეიძლება ასეო. ფანჯრიდან გავხედე მთათა თეთრ ჯაჭვს. ისევ მომინდა იქ, შორს, დაკარგულის ძებნა, მომენატრა მგლის ყმულისას ტანში გაცრილი შიში და უკანდაბრუნების ბედნიერებაზე ფიქრი. ზურგზე ნემსისჩხვლეტისმაგვარი შეხება ვიგრძენი. მივიხედე. ზურა იყო. ვიფიქრე, ჩემი წვალემა უნდა-მეთქი, მაგრამ მაინც მივტრიალდი.

— ლუკა, საღამოს სათევზაოდ მივდივართ ბიჭები, ხომ წამოხვალ? წამო, რა.

თვალებში ჩავხედე. ისევ ისე მიყურებდა, როგორც მაშინ, ტყეში. როგორც დედაჩემი შეჭყურებდა გოჩა ძიას, როგორც მე ვუყურებდი ხოლმე გივი მასწავლებელს, ან მამაჩემის სურათებს ფოტოალბომში.

ისევ გავხედე კლდეებსა და მთებს, რომლებიც მიბჯენილიყვნენ თეთრ ღრუბლებს, მწვერვალტუჩები ახლოს მიეტანათ ცის ყურთან და ეჩურჩულებოდნენ ჩემს ფიქრებზე, ოცნებებზე, ნატვრებსა და სურვილებზე. დუღუნებდა ჩემი მფარველი ხევი, ორთქლი ამოსდიოდა პირიდან.

და ბედნიერი ვიყავი, რომ შინ დავბრუნდი.

\* მოთხრობა რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის პრიზიორია.

ბებიის აჩრდილი



ზეცაზე დგომით მიწას ვეხები...  
 ზეცად და მიწად ვნიშნავ ორ წერტილს...  
 როცა, ჩიტივით მსუბუქი ვხდები  
 და ვგავარ ფოთოლს ხიდან მოწყვეტილს...  
 თუმცა, ღრუბლების ჭაობშიც ჩავრჩი,  
 ფიქრით კვლავ დავსდევ მწიფე კუნელებს...  
 მე ვეფერები ბებიის აჩრდილს,  
 დარდით შეჭმულს და მაინც უვნებელს...  
 სულს რომ მიტკიებს მისი არყოფნით,  
 ფრთხილად ვეხებით ახლაც იმ შინდებს,  
 მზით ავსებული ტკბილი ნაყოფით,  
 რომ შემოგვკონდა სახლში სიმშვიდე...  
 სიმშვიდე ხან თუ შინდისფერია,  
 ხან საფუარის ფერზეც ფუკდება...  
 შემომამშველა იმ სიბერიდან  
 ჭრელი სიზმრებიც, მეწველ ფურებად...

.....

ბებიაჩემის დაფოთლილ ხელებს შემოვავარე მიწის ბელტები,  
 ხელებს, უფრო კი, დაკოჟრილ რთხმელებს და მზეც გავხადე უფრო მეტყველი...  
 როცა სიჩუმე მოვხაზე ცარციით, როცა სიშავეს წინწყლავს თეთრები,  
 ჩვენ სიზუსტითაც არათუ ავცდით... იმ ორ წერტილში მუდამ ვერთდებით...  
 მიწა მეძახის, ზეცა არ მიშვებს, დარღს შევრჩი ლურსმნად მინაჭვლები...  
 გზაც მექცა, თითქოს ბედის სანიშნედ, ქანცგაუმწყდარი ჭიანჭველების...  
 მზით გახუნებულ ფიჭვის კედლებზეც დრო ამოაძრობს ჟანგიან ლურსმნებს...  
 თუმცა, დილაც კი ცრემლნარევი ბგერებს, თვალზე მომდგარ სიჩუმედ უსმენს...

.....


თუმცა, ღრუბლების ჭაობშიც ჩავრჩი,  
 ფიქრით კვლავ დავსდევ მწიფე კუნელებს...  
 მე ვეფერები ბებიის აჩრდილს,  
 დარდით შეჭმულს და მაინც უვნებელს...

# ყაბლოლი პოეტნი „ანელოს“ გოცლონიზე

არცთუ დიდი ხანია, დაარსდა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ყვარლის ორგანიზაცია, რომელსაც პოეტი მანანა შატავიძე ხელმძღვანელობს. სასიხარულოა, რომ ეს ორგანიზაცია დიდი ილიას სამშობლოში ფუნქცია და იზრუნებს ყვარლელ შემოქმედებზე, მათ ჭირსა და ლხინს გაიზიარებს.

ლიტერატურული ჟურნალი „ანელი“ პოეტ იზოლდა იოსებთან 60 წლის იუბილეს ულოცავს! წარმატებას უსურვებს ყვარლელ მწერლებსა და პოეტებს, და ამ ნომერში მკითხველს მათ შემოქმედებას წარუდგენს.

## მანანა შატავიძე



### პოეტის ფიქრი

ორივე ერთად დადის ამ ქვეყნად,  
ორივეს გული ჰყავს ასპარეზი.  
ნეტავ, რომელი არის პირველი –  
ჯერ პოეტი თუ ჯერ სიყვარული?!  
არ ღირს პოეტი ლექსის გარეშე,  
არც სიყვარული ვარგა ულექსოდ...  
სიყვარულია, მზე რომ ამოჰყავს  
პოეზიაა, მზეს რომ არ აქრობს.

\* \* \*

ო, როგორ მინდა ისევ გიყვარდე,  
აღარ ტიროდეს სული იარას,  
გადამეყარო, გადამეხვიო,  
მითხრა, ჩემი ხარ – სხვისი კი არა.  
აღარ დამცინონ აკაცებმა,  
ხე უყვარს მართლა, კაცი კი არა,  
აღარ დამცინონ მინდვრის ქალებმა –  
თავაწეულმა ვარდმა, გვირილამ...  
ჩემს გულის ნატვრას შენ პასუხობდე,  
მინდვრად მოსული ია კი არა.  
განა არ იცი, განა ვერ ხვდები,  
ჩემს გულში დარჩი დარდად, იარად,  
მე შენი სუნთქვა რამ მენატრება,  
მზის ამოსვლა და ჩასვლა კი არა.

\* \* \*

ერთხელ იქნება, ცას  
ვარსკვლავი მოსწყდება,  
ისიც იქნება, რომ ჩემთვის ფურ-ირემი  
მოიწველება,  
ის ხომ რბეს ჩემთვის ინახავს.

ისიც იქნება,  
ცისარტყელა ამეცეკვება,  
ის ხომ ჩემსავით აღარავის  
მოეწონება.

მე დავენებლები გარიჟრაჟის  
წარმტაც აისებს,  
შემომავებებს ტრფიალებას  
ზეცის სიგრილვე,  
შენ, ატირდები, მიმატოვე,  
რადგან ოდესღაც  
და ჩემს სიყვარულს არ უშველე  
არანაირად.

შენ ატირდები მოცეკვავეს  
მნახავ როდესაც  
ცისარტყელების ფერი ოდეს  
გამალამაზებს,  
იღარდებ, ვიცი, ამაოებამ  
რომ აგიმრიზა  
და გაოცდები,  
მე უშენოდ რამ ამაცეკვა...  
ისიც იქნება, შეგეყრები  
და შემეყრები,  
მაგრამ გარდასულ სიჭაბუკეს  
აღარ ეცლება...

\* \* \*

არ მინდა სიყვარული  
არ მინდა სიყვარული  
არ მინდა სიყვარული  
ის ხომ ისეთია,  
როგორც ყელში  
წაჭერილი თითები....  
არ მინდა სიყვარული  
არ მინდა სიყვარული  
ის ხომ გაურკვეველია,  
როგორც დაბადება.  
არ მინდა სიყვარული  
არ მინდა სიყვარული  
ჩვილია ჭირვეული  
ველოდო, ველოდო,  
ძალიან ძნელია,  
როდის გაიზრდება.  
არ მინდა სიყვარული  
არ მინდა სიყვარული  
გული ხომ გამიხდება  
ჩიტვივით პატარა.  
არ მინდა სიყვარული  
ის ისე ტკბილია  
ის ისე მწარეა,  
როგორც განსაცდელი...  
არ მინდა სიყვარული  
ის ხომ გამაგიჟებს  
ის ხომ ამათრთოლებს,  
ის ხომ შემაყვარებს,  
ის ხომ მომადუნებს,  
ის ხომ გამახარებს  
და ეს ყოველივე  
გამხდის მე ბედნიერს...  
წაიღეთ, წაიღეთ,  
მე ყველას გვევდრებით  
ჩემი ფიქრები წაიღეთ...  
...ეს ლექსიც წაიღეთ.  
არ მინდა სიყვარული  
არ მინდა სიყვარული  
ეს დიდი გაცოცხლება  
დამიმსხვრევს იმედებს.

## ღია ბიბლიათვილი



### შობის დილა

აელვარდა ცისკრის რაში,  
ცა სიწმიდით მოჭედილა,  
მართლის ქება-დიდებაში  
გვითენდება შობის დილა.  
ხარობს ბაგა, მღერის ბინა,  
მწყემსებისგან ნათხოვარი,  
ღელას შვილი შეეძინა,  
სამყაროს კი — მაცხოვარი!  
ინატრე, რომ დაიბელო,  
რა სიკეთეც გულით გინდა,  
რწმენით გვაკვებს საიმედო  
მამა, ძე და სულიწმიდა!

### მფარველ ანგელოზს

ისევ შენებური  
სიბრძნით დამარიგე,  
შუქი მომაფინე,  
ლოცვად გამარინდე...  
ისევ მომაფარე  
შენი თეთრი რიდე,  
შენი სიანლოვით  
ბოროტს ამარიდე,  
თორემ უშენობა  
ნიშნავს უმწეობას!  
სევდით დაბნელებას,  
სულის უმზეობას!  
ლამის ჩავიჩოქე,  
ხელი შემაშველე!  
ისევ მაღლიანი  
ფერით შემამშვენე...  
ისევ უპატრონე  
ამ გულს, ამ მღელოსო,  
უფლით მოვლენილო,  
ჩემო ანგელოსო!



\* \* \*

მე უშენობის არ მტოვებს განცდა,  
 ციდან სასწაულს დღემდე მოველი.  
 ერთხელ რომ მოხდა, გიხილეს თვალთა,  
 გულმა შეიგრძნო ზღვა სიყვარული.  
 ო, მომიტევე, ზღვა ვერ დაიტევს,  
 მიწა მით უფრო, ცოდვის ბუდეა.  
 „ის“ სულ სხვა იყო,  
 „ის“ სულ სხვა არის,  
 და სხვად დარჩება –  
 ეს მიხარია.  
 მიწავ, სიცოცხლის არ ხარ მშობელი,  
 ნიადაგი ხარ ხორცის საზრდელად,  
 ერთადერთია სიცოცხლის წყარო,  
 მარადიული ერთადერთია.  
 ეს ჩემი სისხლი, ეს ჩემი ხორცი,  
 ეს პირობითად ჩემი სხეული,  
 ერთადერთისთვის მინდა ფეთქავდეს  
 ვიცოცხლო მინდა ერთადერთისთვის  
 ჩემი, შენი და მათი ღმერთისთვის!

\* \* \*

მიყვარს ღამე,  
 ცა ელვარე,  
 იღუმალის გამა ფერთა.  
 ადრე დილა... მწვანე მოლი  
 მოლზე ნამი,  
 ნამზე სხივი გამჭვირვალე...  
 დღისით მზე და...  
 ღამით მთვარე!

### ისევ ყვარლის მთებს

ქორული მზერა მოვავლე შენს მთებს,  
 გავინადირე ტყეშიც, მალულად,  
 რქაზე ვემთხვიე მშიშარა ირემს,  
 ფიქრმაც შეაკრთო თვალეხატულა.  
 ავეყვ სიმაღლეს, დათოვლილ მყინვარს,  
 ნისლს შევეკითხე, დაწოლილს მთაზე;  
 ჩემი სამშობლო ასე თუ გიყვარს,  
 მზეს შეურიგდი, ნუ ფიქრობ სხვაზე.  
 გამიჭირდება ამის გამხელა,  
 ეს სიღიადე სიღინჯეს მმატებს,  
 თვითონ ზეცაში ამიტაცებდა,  
 მეც და ჩემსავით დამზერილ ყვარელს!

### მრავალჟამიერ, თელავო!

მოგეპარება ნიაგი,  
 დილით მთებიდან ნელაო,  
 საღამოს კიდევ გითხარი,  
 მშვენიერი ხარ, თელავო!  
 ერეკლეს ნატრფიალევო,  
 ხმალო უჟანგო, ძველაო,  
 შენს ციხეებთან დავდგებით,  
 თუ დავჭირდებით ყველაო.  
 ცრემლი მადგება თვალეხზე,  
 როცა შენ ვერა გხედავო,  
 ფიალა ღვინით ავაგსე,  
 შენს სადიდებლად, თელავო!  
 კახური სისხლის ყივილი,  
 მრავალჟამიერ თანაო,  
 ისმოდეს ჟივილ-ხივილი,  
 ყველა შენს სახლიდანაო!



წმინდა ილიას ნაკვნარზე

თამარ სოლოლაშვილი-სეფაშვილი წმინდა ილია მართლის ნაკვნარზე დაიბადა და აღიზარდა. მრავალ ფიქრთა და გრძნობათა აღმძვრელმა ყვარელმა დაანათლა მას პოეზიის დიდი სიყვარული, ქართული სიტყვის უზადო და უზომო თაყვანისცემა, მისი ლექსები ერთგვარი აღსარებაა, კვნესაა სამშობლოდან განშორებული და მის ბედზე მუდამ მოფიქრალი ემიგრანტი ქალბატონისა.

მინდა, დაეულოცო თამარს ღვთით ბოძებული პოეტური ნიჭი და ვუსურვო ახალი შემოქმედებითი და ცხოვრებისეული წარმატებები. დაე, არასოდეს დაკარგვოდეს მას თანადგომის, სიყვარულისა და სიხარულის უნარი, რადგანაც,

სხვისი დარდის გაზიარება და სხვისი სიხარულით გახარება, მოყვასზე ფიქრი და ზრუნვა მისი სულის ყოველდღიური ბუნებრივი მღვდმარეობაა!

...ღმერთმა დალოცოს ის, როგორც პოეტი, დედა, ბებია, შესანიშნავი ქართველი მანდილოსანი და ინებოს, რომ სახელი მისი ჩაიწეროს წიგნსა მას ცხოვრებისასა. ამინ!

ქრისტესმეორი სიყვარულით,

**დეკანოზი ბენიამინი (ჩიხორლიშვილი),**  
ყვარლის ჭავჭავაძიანთ ტაძრის წინამძღვარი,  
პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი

შენ ვინ შემოგწვდება, – ცას სწვდება, საქართველო!

მეგონა შევძლებდი, უშენოდ დაზაფრულ  
ცხოვრებას გავლევდი – უთუოდ, დაღალულს,  
თუმცაღა აღმოვჩნდი, – ვინც ეძებს დაკარგულ  
ცხოვრების ბედნიერ წლებს, სადღაც გაფანტულს...  
უშენოდ გაზაფხულს ფერი არ შეცვლია,  
უშენოდ დღეები უკვალოდ ქრებიან,  
ვით მთვრალი, ბარბაცით დავდივარ...  
მწველია  
ის ათინათები,  
ჩემში რომ რჩებიან!  
მარჯნისფერ ღვინით ვარ მუდმივად ბახუსში,  
ასეთი შეგრძნებით ვარ შენი ნატრული,  
თუმც შენით ვძლიერობ მთვრალიც და ფხიზელიც,  
ქართველი სულ ყველგან ქართველობს, – ჩაგრულიც!..  
მე ჩემი სამშობლო სხვის მესვრის  
მარტოდ მყოფს,  
გულს მასობს, გიზგიზებს, მარკინებს, მაკლდეკებს,  
დანაღმულ გზას მიკვლევს, დღემდის რომ მოვედი,  
მის აფეთქებას მუდმივ რომ ველოდი...  
ეკლიან ბილიკმა გული დამიღარა,  
ღარდმა და ტკივილმა ზედ გადამიარა  
და მაინც, ეს გული მეფურად დიადობს,  
მასში ხომ ქართული მძლე სისხლი კიაფობს!..  
გავყურებ ქედებს და ნატვრად მაქვს ქცეული;  
უცხოელს ანახა, ბევრს, ქართლის მთა-ველი,  
ვერ ვნახე სადარი, ჩემს მთებს შეეჭიდოს,  
შენ ვინ შემოგწვდება, – ცას სწვდება, საქართველო!

## მაპატიე!

მაპატიე...  
უშენობა მაპატიე...  
შვილო, დედის მონატრება,  
დღე უსიტყვო, –  
მაპატიე!...  
შენი კეთილდღეობისთვის,  
ეს ტკივილი მაპატიე...  
სადარი რომ ქვეყნად არ ჰყავს,  
გრძნობას მტკიცეს, –  
მაპატიე!  
განთიადი მომავლისა  
შვილის, დედას რომ აფიქრებს...  
შრომა, გარჯა, მძიმე ხვედრი,  
წამით არც კი დააფიქრებს!  
ჩემ სამშობლოს მონატრება,  
გზად ტკივილი, –  
მაპატიე!..  
დედის ტვირთი, ქართველური,  
სიკვდილამდე, – მაპატიე!

## თუ გაგრძელდება სიცოცხლე ასე

ბარათაშვილის მერანს მიყვებით,  
საზღვრებს გავდივართ,  
ბოლო არ უჩანს,  
უკან კი გვრჩება ილიას მთები,  
სულს რომ არ აძლევს  
წუთს მოსვენებას.  
აკაკის გამზრდელს  
ხვალაც მოველით,  
თუ გაგრძელდება სიცოცხლე ასე,  
ჩვენი შვილები  
პატრონს ელიან,  
ბერძნების შვილებს  
ვუკითხავთ  
„გამზრდელს“.

## ეპიანოზი ბენიამინი (ჩისოხიძე)



### ვპოვე ტადარი

ვპოვე ტადარი მაღლით სავსე, სულის ხსნისაო,  
რეკენ ზარები და მიხმობენ ლოცვად,  
ვეღრებად...  
სასოი ჩემი შენზე დამიძს, ძეო ღმრთისაო,  
მეოხებასა შენსა, განა ვინ შეედრება?  
ბნელი ყოფილა ეს საწუთრო, დაუნდობელი,  
ყოველი კაცი ცრუ არის და ნილბით მავალი...  
ვღგავარ შენს წინა მუხლმოდრეკით,  
შენი მხმობელი,  
გამომინათე ბილიკები, შენკენ სავალი!  
მოთმინებით რომ ვზილო ჯგვარი, მძიმე და წმინდა,  
შემოვიკრიბო კრავნი ჩემი ეზოსაგანი.  
დავმწყსო ისინი შენს ზვარაკად, სხვა არა მინდა,  
უკლებლივ ყველა მოგითვალო – ჰოე და ანი!

### მე ლოცვად მიხმობს გეთსიმანია!

გეთსიმანიის ბაღში ვიჩქარი,  
რომ აღვასრულო მეც ლოცვა ბოლო...  
სძინავს ყოველთა, ღამეა წყნარი,  
მთვარე ანათებს მთის მწვერვალს მხოლოდ.  
ანგელოზები მხვდებიან გზაზე,  
მიყვები მე მათ თრთოლვით მოსილი...  
იმედის ცრემლი მადგება თვალზე,  
იქნებ ღმერთს შევხვდე მწარედ ცოდვილი.  
იქნებ შევიგრძნო მე მისი ოფლი,  
ლოცვის დროს სისხლად გადმოღენილი.  
გადასარჩენად ამ წუთისოფლის,  
რომ ლოცულობ და ჩვენ განდევნილი.  
მოვდივარ, ღმერთო, დაგიდგე უნდა,  
გამოვიკვლიე შენკენ გზანია...  
არ მიგატოვებ, ვიფხიზლებ მუდამ,  
მე შენთან მიხმობს გეთსიმანია.

# იზოცდა იოსაბიანი



## ა დ ა მ ი ა ნ ი

ისე ლამაზად უნდა იცხოვრო,  
 არ მიაყენო არვის ზიანი.  
 მათხოვარი რომ მათხოვარია,  
 მასშიც ეძებო ადამიანი!

თუ მის ღირსებას ფეხქვეშ გათელავ,  
 სულში, რომელსაც უძღერს იანი,  
 მაშინ მხეცი ხარ, კაცი კი არა,  
 არც უნდა გერქვას ა დ ა მ ი ა ნ ი !

სჯობს, სულში ია – ვარდი ახარო,  
 ეს არასოდეს არის გვიანი.  
 შეძლებ, განდევნო სული ბოროტი,  
 თუკი კაცი ხარ, ა დ ა მ ი ა ნ ი !

ბოროტ ზრახვებზე მალლა დადექი,  
 ეს არასოდეს არის გვიანი,  
 მეც წაგაქეზებ: „მიდი, ამაღლდი,  
 შენ ხომ კაცი ხარ, ა დ ა მ ი ა ნ ი !“

ნუ დააფასებ ამპარტავენებას.  
 თავმდაბლობა სჯობს, გულდარდიანი.  
 სული ეძებე: სათნო, კეთილი,  
 კაცში ეძებე ა დ ა მ ი ა ნ ი !

ყველა ბალახი, ბალახი არის.  
 ვაჟას უყვარდა დეკა-ღვიანი.  
 ილიას სევდას მთანიც კვნესიან:  
 „ყველა კაცია ადამიანი?!“

გაზულუქებულს ნუ გაუღიძებ,  
 სული არა აქვს სანდო, მთლიანი.  
 თავმდაბალს, სათნოს გულით მიენდე,  
 მხოლოდ ის არის ა დ ა მ ი ა ნ ი !

ცრუსა და მავნეს ნუ დააფასებ,  
 არ მიაყენო შენს სულს ზიანი,  
 უბრალო კაცის რწმენით იცხოვრე,  
 იყავი მართლა ა დ ა მ ი ა ნ ი !

იქნებ, შეცდომაც ბევრი მოგსვლია,  
 მაგრამ არასდროს არის გვიანი:  
 კაცში ეძებო პატიოსნება  
 და მათხოვარში – ა დ ა მ ი ა ნ ი !

სხვის ტახტრევანზე გული ნუ გწყდება  
 „დრონი მეფობენ, არა – მეფენი!“  
 ამაღლებული სულით იცხოვრე,

კარგ ადამიანს როგორც შეჰფერის!  
 ყოველი სიტყვა აწონე ისე,  
 სხვისი სული არ დააზიანო!  
 შენთვის არავის დაესვას კითხვა:  
 „რა დაგიშავე, ადამიანო?!“

ჩემი ოცნება, აუხდენელი,  
 დიდი ხანია რჩება ოცნებად:  
 კაცში ფასობდეს სინდის – ნამუსი,  
 თავმდაბლობა და პატიოსნება!

-----

ვინც მზედ იღვრება დაჩაგრულთათვის,  
 ღიმილზე-ღიმილს არ აგვიანებს,  
 იღბალთან ლელო გაატანინე,  
 უფალო, ასეთ ადამიანებს!

## საქართველო

ცვარნაფრქვევო ყანებო და  
 მზენაფრქვევო მინდორ-ველო!  
 მუხლზე ვდგევარ, შენს აღმასვლას,  
 უფალს შევთხოვ, საქართველო...  
 ღამით მთვარე ცას გინათებს,  
 ის საუფლო სანთელია;  
 შენს მთა-გორებს, დეკა-ღვია,  
 ცის ღიმილად აფენია.

კორღზე ყვავის ენძელები,  
 ეზოებში – ია-ვარდი.  
 დედის მკერდის ქვეშ ვფეთქავდი,  
 იმდროიდან შემეყვარდი.

მალლა, ზეცას უფალი მყავს,  
 დაბლა შენ ხარ – ერთადერთი,  
 ჩემს შვილებსაც ეს ვასწავლე:  
 აქ – სამშობლო, მალლა ღმერთი!

საინგილოს ცრემლები სდის,  
 სამაჩაბლოს – სისხლის წვეთი.  
 ხელს შორიდან ნატვრით მიქნევს  
 დაჩაგრული აფხაზეთი.

ლაზი აქვე, თურქეთში გყავს,  
 თუმც, მის ხმაშიც ისმის სევდა.  
 მესხი გიხმობს: „საქართველო,  
 სახლში დამაბრუნე, დედა!“

დიდი სევდით, გულისტკენით,  
 შორით ვუმზერ გაგრას, რიწას,  
 მჯერა, მალე დავაბიჯებთ  
 აფხაზეთის ქართულ მიწას!

მისხალ-მისხალ დასაკოცნო,  
 მოსარბენო მინდორ-ველო,  
 გამთლიანებული გნახო,  
 ამას ვნატრობ, საქართველო!



# მეჩაბ (მეჩფი) ფიხსხანაიშვილი



## ეს ცხოვრება

ეს ცხოვრება სოფელია,  
 მართლა წუთის სოფელი.  
 მზე კი მიდის თავის გზაზე  
 დედამიწის მშობელი.  
 მას მიჰყვება თან სიცოცხლე  
 ჩანასახის სადარი.  
 ნეტა, მზეო, მაცოდინა,  
 შენი დედა სად არი?!  
 ეს სამყარო ჩემი ჭვრეტით  
 უსასრულოდ დიდია,  
 დროის უვალ ბილიკებში  
 სადღაც ბეწვის ხიდია,  
 დიდი გზაა გასავლელი  
 გული ითვლის წამ-წამებს,  
 სულ რამდენი დილა მერგო  
 მოლოდინი მაწამებს.  
 ულევია ვარსკვლავეთის უნაპირო ზღვები,  
 სადღაც ძლიერ დავიბენი, ამერია გზები.  
 ისევ მიწას ვეჭიდები,  
 მე ვარ მიწის შვილი,  
 ცას შევცქერი გოაცებით,  
 როგორც დედას ჩვილი.  
 მიდის მზე და საოცნებო  
 თან მიჰყვება მზერა,  
 დროს კი ითვლის გამალებით  
 ჩემი გულის ძგერა.

## ეს ცხოვრება ვიცი ზღაპრად...

ეს ცხოვრება, ვიცი, ზღაპრად,  
 სიზმრად მომეველინება.  
 მე – პატარა უფლისწული,  
 სრულყოფილი ქმნილება;  
 შენ – ზღაპრული ფერია ხარ,  
 თვით მუხათა ასული.  
 პოეზიის მწვერვალებზე...  
 მეცხრე ცაზე ასული.  
 მერე უფრო ვითარდება  
 ჩემი სიზმარ-ფიქრები,  
 ნეტა, მეფის სასახლეში  
 თუკი მეფე ვიქნები,  
 შენ იქნები დედოფალი?..  
 აქ მთავრდება ზღაპარი.  
 დრომ რა უცებ გამოგვირთო  
 ჯადოსნური ლამპარი.  
 მაგრამ ამას აღარ ვნადვლობ,  
 გზა როგორი ფერია.  
 ერთხელ მეც ხომ მეფედ ვიყავ,  
 ახლა სხვათა ჯერია...

## აქაფებული ყავის სტიქია

აქაფებული ყავის სტიქია.  
 ჭიქაში მოჩანს მომავლის გზები?  
 – უკანასკნელი იმედები ამ გაზაფხულის.  
 – ნუთუ მიზანი ასე დიდია?  
 – აღელვებული ოცნების ზღვები.  
 – წინ ჟრიაბული ლითონის ფულის.  
 აი შემდეგი ჩემი + რიგია.  
 ჭიქა აენტო უცნობი გზებით.  
 დანალექებში ლანდების ხნული...  
 აბა, რა მოხდა ვერ გამიგია,  
 რამ გადარია ეს ფიგურები?  
 მიზნები მასზე რად ამიგია?!  
 ნეტა, რად მინდა ასე გავიგო,  
 თუ, მომავალი, როგორ ავიგო!

როცა

როცა აღარავის ელი,  
როცა სინანული გაქვს,  
როცა ფიქრები და ეჭვი  
არა, არ განებებს თავს.  
როცა მარტოობას უხმობ,  
როცა სიყვარული გკლავს,  
ლექსით დაიოკებ სურვილს,  
ნაღველს შემაპარებ კვლავ.  
როცა აღარაფერს გეტყვი,  
იგრძნობ ბედნიერად თავს?!  
ლექსი რომ არ იყოს ქვეყნად  
ნეტავ, რა მიშველის, რა?!

სურვილი

როცა ლექსს ვწერ და  
ვარ ლექსთან მარტო,  
უნდა იცოდე, რომ მაშინ გნატრობ.  
მინდა მოხვიდე... შემესო მზერით,  
მე ვიყო ნაზი... სულ ვარდისფერი.  
იყოს სიჩუმე... გულების თრთოლვა...  
გართ კი წვიმდეს... ან იყოს თოვა...  
იყოს სამყარო ცის და მზისფერი  
და არ დამთავრდეს ეს ყველაფერი.

ზაქხო ბუთიაშვილი

გ ა უ მ ა რ ჯ ო ს

გაუმარჯოს, ვინც ლექსის ზღვა დალიოს,  
ლექსით ხვდება აისსა და ალიონს,  
ვენაცვალე ლექსის გაქანებისთვის –  
ტატოს, ვაჟას, გოგლას და გალაკტიონს!  
გაუმარჯოს ლადოს, მურმანს – ვარსკვლავებს,  
გაუმარჯოს მუხრან მაჭავარიანს,  
გაუმარჯოს ლექსთა თანავარსკვლავედს,  
ვინც ლექსს ამბობს ფრთიანსა და გვარიანს!  
გაუმარჯოს პოეზიის გენიას,  
შოთას – სიტყვის უკვდავების ჯავარსა,  
გაუმარჯოს ყველა პოეტს, ჩვენთანს,  
გალაკტიონს – ლექსის მამამთავარსა.



\* \* \*

მეგონა გიყვარდი,  
მეგონა, გჭირდებოდი,  
მეგონა, უშენოდ  
ვერ ვიცხოვრებდი...  
თურმე ვცდებოდი და  
ვერ ვხვდებოდი,  
მუნჯი ფიქრებით  
მე რომ ვკვდებოდი.  
გახსოვს, რომ მითხარი,  
ძლიერ მიყვარხარო?  
სხვაში არ გაგცვლი,  
ერთადერთი ხარო?  
სიყვარულს მპირდებოდი,  
ნელ-ნელა ვგიჟდებოდი,  
თუმცა ვერ ხვდებოდი,  
როგორ მჭირდებოდი...  
ერთხელაც მითხარი,  
აღარ მიყვარხარო,  
მორჩა ყველაფერი,  
ჩემში აღარ ხარო...  
უბრალოდ დამივიწყე,  
შენ ძლიერი ხარო,  
ცხოვრება გააგრძელე,  
სხვებს ხომ უყვარხარო?!  
შენ ამ სიტყვებით  
გული მომიკალი,  
სული შემირყიე ამით  
უგუნურო...  
მე კი გაპატიე,  
ღმერთმა გაპატიოს  
შენი ჩადენილი საქმე  
უსულგულო!

# ბიოხბი იაბოხაშვილი



\* \* \*

ავე მარია  
გაზაფხულზე  
დოს მინორი  
რეს მინორი  
და მარიას ავეღევენე.  
ზეღმეტია აღნიშვნები  
ისე უკრავს კლავიშები  
თანაც მეც გრძნობით ვგრძნობდი,  
ჰანგებს როგორ ავეღევენე  
და თავს აღარ მანებებდენ.  
შემდეგ  
მღორე დო რე  
მი, ფა, სოლს,  
უფასებდა მირაჟებს  
და თან ყველას ჯინაზე,  
დასასრული გამოჩნდა.  
ავე-ღევენე მარიას  
დოდან დომდე დასასრულს  
და რადგან ზამთარია,  
მე ვნატრულობ გაზაფხულს.

მთა მეძახდა შვილოსა

მთა მეძახდა შვილოსა,  
ვაზი შვილიშვილოსა,  
ღვინოს ვსვამდი, ღვინოსა,  
დარდის სასიკვდილოსა.  
ვაზსა ვხნავდი, ვსხლავდი  
წალმის კონას ვკრავდი,  
შემდეგ ფურჩნა დამიქუნდა  
შეთქმულ ბატკნის გასაზრდელი  
ვაზს მტევანი გამოუჩნდა  
მზისგან წითლად დასაფერი.  
ეს მტევანი ახლა მკვავხე  
აბარაქებს მწიფე კახეთს.  
და მეც ვიწყებ რეცხვას ქვევრის,  
წავიმღერებ ქვევრულს ქვევრში.  
ვაზს დავწურავ მწიფე მტევნის,  
ჩემს გამოტილ ვენახებში.  
და ამ მტევნებს მზით ავსებულს,  
წამოვიღებ წნული გოდრით.  
სანამ ღვინოს ჩამოვწურავ,  
მოდით ყველა, ყველა მოდით.  
შემდეგ, ჩემი გულის ათ კარს  
სინარულით ვახშირხშირებ,  
წამოვაქცევ შეთქმულ ბატკანს  
და წალამზე ვაშიშხინებ.  
ვათამადებ კახურ ქუდას,  
რადგან დარდი გამიხუნდეს...  
მთა მეძახის შვილოსა,  
ვაზი შვილიშვილოსა,  
ღვინოს ვსვამდი, ღვინოსა,  
დარდის სასიკვდილოსა.

\* \* \*

ჩუმად  
აჭალარავებს ფანტელი მიწას,  
თან ფიფქი ფარავს ნაბიჯს მიწიანს,  
კიდევ ითოვებს ძალიან დიდხანს,  
გულმა ჩემკენ თუ გამოგიწია.  
თოვს,  
სიჩუმეა,  
ქალაქი ელის ხმაურის მაცნეს.  
ნაფეხურებმა გოგონა გასცეს.  
ჩუმად თოვს, ჩუმად  
და ის გოგონა მიირთმევს უმად.

## მისი ცხოვრებაც დიდგორია



*„ჩემი შთავონება საქართველოა, ჩემი სამშობლოს ლამაზ ბუნებას ვეფერები. ჩემს ნახატებში მინდა ჩანდეს ქართული ხასიათი, ისტორიული თემატიკა კი ამის კარგ საფუძველს მაძლევს“.*

**ილია პატაშური**

„ქართული ფერწერის დიდ ოსტატს, მშვენიერების და სილამაზის თაყვანისმცემელს, კეთილი გულის ადამიანს, ბრწყინვალე მოქალაქეს, ძვირფას ილო პატაშურს ეს პატარა სახსოვარი ჩემგან. გილოცავთ ახალ 1976 წელს, გისურვებთ ბედნიერებას, დიდ გამარჯვებებს ცხოვრებაში და შემოქმედებაში! სიყვარულით ლადო გუდიაშვილი. 28. XII. 1975 წელი“.

ლადო გუდიაშვილის ამ მიძღვნას რომ წაიკითხავს, რიგითი ადამიანი, უნებურად გაიფიქრებს: – გენიალური მხატვარი თავის უმცროს კოლეგას ასე რომ მიმართავს, უკვე ყველაფერი ნათქვამია და შეფასებაც მიცემული. აქ ილო პატაშურის ცხოვრებაცაა ჩატეული, რადგან სწორედ ლადო გუდიაშვილმა მისცა ბიძგი ჯერ კიდევ სრულიად პატარა, შვიდიოდე წლის ბიჭის ნიჭს, როცა ურჩია, ესატა და საჭირო გზა თავისით გამოჩნდებოდა. გამართლდა

დიდი მხატვრის გუმანი – ილო პატაშური დღეს გამორჩეული და გამოჩენილი მხატვარია, რომლის შემოქმედებასაც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს.

ილო პატაშურის შემოქმედებაზე, მის შესანიშნავ ხელოვნებაზე, საოცარ ოსტატობაზე არაერთ დიდებულ მხატვარსა თუ ხელოვნებათმცოდნეს გამოუთქვამს აზრი და შეხედულება, რომლებიც შესულია მის ადრინდელ ალბომებსა თუ კატალოგებში.

ძვირფასი მეგობრის ხელოვნებას ალტაცებაში მოჰყავს მნახველი, რისი შემსწრეც არაერთხელ ვყოფილვარ ილო პატაშურის პერსონალური გამოფენების დროს. ბუნებრივია, სამეგობრო კრიტიკიუმიდან გამომდინარე, ასეთი მოვლენები დიდად მასარებს და ბედნიერებას მანიჭებს.

ნათქვამია, „მხატვრის სული მის ნახატებშია განივთებული“ და ეს გამონათქვამი ჭეშმარიტებად ჩანს, როცა ილო პატაშურის ფერწერულ ნამუშევრებს ეცნობი. მისი მხატვრული ტილოების ფერთა გამა, უწინარესად, იმაზე მიგანიშნებს, რომ მისი ავტორი უთუოდ მთიელისათვის დამახასიათებელი პოეტური სულისკვთებისა და განწყობის კაცია. ამავე დროს მედგარი, შეუპოვარი, გაუტეხელი, ნაზი, დიდი სიყვარულის მატარებელი, ვაჟკაცი, პატრიოტი, ერის შვილი.

უყურებ ჩოხაში ლამაზად გამოკვართულ, ტანაშოლტილ ილო პატაშურს და ფიქრობ: – ალბათ ასეთები იყვნენ ძველი ქართველი მეციხოვნენი, ჩვენი ქვეყნის აბჯარასხმული რაინდები და მტერთან ორთაბრძოლაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმული მეომრები.

მიყვარს ილო პატაშური, როგორც წესიერი ქართველი კაცი და უღალატო მეგობარი, დიდ პატივს ვცემ და ვაფასებ მის შემოქმედებას, რადგან ესაა მისი სულის ყივილი, მისი გულის გამოძახილი.

მის მიერ შექმნილი დედის პორტრეტის ხილვისას გული გაგინათდება, შეგძრავს და შეგატოკებს, რადგან მასში საკუთარ დედასაც ხედავ, ვინც გაგაჩინა, გაგზარდა, გზაზე დაგაყენა, სამუდამო საგზლად

სიყვარული მოგცა, რითაც დადიხარ, დააბიჯებ ამ უკიდევანო სამყაროში და ახლა შენ ცდილობ, ეს საგზალი სხვას უწილადო დედისეულად.

ილო პატაშურის საოცარი ფერთა სამყარო გაჯადოებს და გატყვევებს. სულ გინდა უყურო მის ტილოებს, რომელზეც ისეთი მსუყე ფერებია დაუნჯებელი, მკურნალ მაღამოდ რომ ედება ადამიანის სულსა და გონებას.

რომელი ერთი უნდა გაიხსენო: „გაზაფხული“ თუ „მზესუმზირა“, „წვიმა“ თუ „მზიანი დღე“, „ქალი ყვავილებით“ თუ „ქალი ხურჯინით“, „სულის სავანე“, „მფარველი ანგელოზი“ თუ „ჩემი სოფლის ეზო“. აღარაფერს ვამბობ მის მრავალფეროვან უბრწყინვალეს „ნატურმორტებსა“ თუ „კომპოზიციებზე“, რომლებიც ჭეშმარიტად დიდოსტატის ფუნჯითაა შექმნილი.

ილია პატაშურის ფუნჯის ძალა მყისიერად მაშინ ვიგრძენი, როცა პირველად შევდგი ფეხი მის ბინა-სახელოსნოში და დიდ ოთახში მთელ კედელზე გაკრული უზარმაზარი „დიდგორის ბრძოლა“ ვინილე. საოცარი ექსპრესიით გადმოცემული ბრძოლის ველის ხილვამ გული ამიჩქოლა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მეც ამ ბრძოლაში უნდა ჩავბმულიყავი. არ შეიძლება მხახველს ასეთი გრძნობა გაუნდეს, თუ მხატვარმა თავად არ გამოიარა ეს ბრძოლა. ილო პატაშური მე დიდგორის ბრძოლიდან მოსული კაცი მგონია და ვფიქრობ, არ ვცდები, რადგან ყველა ჭეშმარიტი ქართველის ყოველდღიური ცხოვრებაც ხომ დიდგორია, სადაც ილო პატაშური საიმედო ძალად და საყრდენად ეგულვის.

ამ შემართებით და სამშობლოს დავითისებური სიყვარულით დააბიჯებს თავის სათაყვანებელ ქართულ მიწაზე დიდებული ქართველი ხელოვანი, გულითადი მეგობარი და ბრწყინვალე ფერმწერი ილია პატაშური, რომელიც ვაჟასებურად დღედაღამ ამას დუდუნებს: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე“...


აფერუმ, ილო პატაშურის მოუდლელ მარჯვენას!..

### ივანე ჯავახიძე,

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი, საპატიო პროფესორი

# ძვირფასი დღეების გახსენება

## ჯამბუჯი ჯიშახიანი



### „ლადოს ხეივანი“

„არის ლენხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი... და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი“, – ბრძანებს ვახუშტი.

და მეც მივყვები გზას ლენხუმისაკენ. გზა ცხენისწყლის ხეობას ასდევს, ლანქერად მომსკდარა ცხენისწყალი... ავად ეხლება ტინს. კალაპოტში ვეღარ ეტევა. ნაპირიდან გადმოსულა და ჭალები დაუტბორავს. ნაფოტივით მოათამაშებს ძირიანად მოთხრილ ხეებს... ალბათ ასეთი გულზვაგვიანი თუ ნახა მაშინაც პოეტმა, როცა აღმოხდა: „გულამტყდარი, ბრაზიანი, ცხენისწყალი, ავი წყალი“.

გელავერს გავცდით. სოფელ ბანგვეთთან ოკაცე ერთვის და აქედან ცხენისწყალი თითქმის ლენხუმის ქვაბულამდე კირქვის ვიწრო არტახებშია მომწყვდეული. ამ ვიწროებში უფრო იგრძნობა მისი გულზვაგვიანობა. ხეობის გასწვრივ, ლვედიდან მოყოლებული ჯონოულამდე, ხელმარცხნივ, ასპის კლდეები ჩამოსხეპილან. მარჯვნივ კი, ოყურეშიდან – ხვამლის მთის ფრიალოები იღანდება... ლეგენდარული ხვამლის კლდეები. „ამ კლდეში არის ქვაბი გამოკვეთილი, მტრისგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთსადები“. გზად – ზუბის ციხეა, ანუ „ციხე თაკვერი“. აღრეფეოდალური ხანის საქართველოს მშვენიერი ძეგლი. წინ სოფელი ლარჩვალაია. აქედან მურის ციხემდე გაშლილა ლენხუმის ქვაბული.

ესეც ბარდნალა, ლადო ასათიანის მშობლიური სოფელი...

„...გახსოვს სოფელი ბარდნალა, ბარდნალელების ბორანი, ვარდებიანი ბარდნალი, ბულბულთა ნაამბორალი...“



ლადო ასათიანი

სოფლის ცენტრში სასოფლო ცენტრის თავმჯდომარეს, ჭიჭიკო ხეცურიანს შევხვდი. ერთად გავემართეთ ლადოს სახლ-მუზეუმისაკენ, რომელიც მთავარი გზიდან სულ სამასიოდ მეტრზეა.

სოფელში ფირნიში დგას, მუზეუმისკენ მიმავალ გზას რომ მიანიშნებს გამვლელს... შარშან, პოეტის დაბადებიდან სამოცი წლისთავის

ზეიმის დღეებში დაუდგამთ იგი. ახლა ამ გზაზე გამვლელი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს ლადოს ბარდნალას... იგი უთუოდ შეივლის მის სახლში, რათა პატივი სცეს საყვარელი პოეტის ნათელ ხსოვნას.

...ზუსტად 35 წლის წინათ, 1943 წელს 23 ივნისს წავიდა ჩვენგან ლადო ასათიანი. ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე. სულ 26 გაზაფხულს მოესწრო იგი. მისი პოეტური ბიოგრაფია კი ხუთიოდე წელს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, ამ მცირე დროის მანძილზე პოეტმა შეძლო შეექმნა და მომავალი თაობისთვის დაეტოვებინა ძვირფასი მემკვიდრეობა, რომელსაც გატაცებით კითხულობენ დღესაც. დროის ჟანგი ვერაფერს აკლებს პოეტის ლექსებს, რადგან „მრავალ მათგანს აზის ნამდვილი სიმწიფის ბეჭედი და ისინი შექმნილია ჭეშმარიტი ოსტატ-შემოქმედის ხელით“.

სახლ-მუზეუმში გულკეთილი და სათნო მასპინძელი ლამარა ჭაბუკიანი შემოგვეგება... ოთახის შუაგულში ჰკიდია პოეტის დიდი, ფერწერული სურათი, საიდანაც ოდნავ სევდიანი თვალებით შემოგვცქერის. სურათის ქვემოთ, თიხის სურამში, წითელი ყაყაჩოებია. ყაყაჩოები – ლადოს პოეზიაში მრავალგზის შექებული. მარტო ომახიანი „კრწანისის ყაყაჩოები“ რად ღირს...

„...ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადლარნო ოძითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“...

იქვე ყაყაჩოების მშვენიერი ფერადი ფოტოც ჰკიდია, ტარიელ ჭანტურიასა და ჯანსუღ ჩარკვიანს მიუძღვნიათ მუზეუმისთვის.

შესასვლელთან, ხელმარჯვნივ, დგას წიგნების კარადა, რომელშიც გამოფენილია პოეტის დღემდე დასტამბული თხუთმეტივე კრებული; აქვეა ლადოს მეგობარი პოეტების – მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიას, გიორგი ნაფეტვარიძის კრებულები. კარადის შუაში, ყველაზე თვალსაჩინოდ დევს ნიკა აგიაშვილის „ჭაბუკებად დარჩნენ მარად“, წიგნი, რომელმაც დავიწყების მტვერი გადააცალა ბევრი ნიჭიერი პოეტის სახელს; წიგნი, რომელიც სი-

ყვარულით მიიღო ქართველმა მკითხველმა. აქვე დევს გალაკტიონის, ჰიუგოს, ლევან ვოთუას, ირაკლი აბაშიძის, მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მურმან ლებანიძის, რევაზ ინანიშვილის და სხვათა წიგნები. კარადის თავზე დგას ცისფერი სარწყული, სწორედ ის, რომელზეც 1942 წელს წერდა პოეტი: „თავაწეული, ზვიადი, განა ჩია და საწყული, თვალნათლივ მასსოვს ჩვენს სახლში, ერთი ცისფერი სარწყული, გარშემო ლაჟვარდისფერი სინათლის მიმომფენელი, იჯდა პატარა სუფრაზე, ისე ვით ლურჯი ფრინველი“... ეს ის სარწყულია, რომელსაც განაწამები პოეტი ნატრობდა, სიცხით გათანგული, ავი სენით სიკვდილის წინ... „...კვლავ შენ გნატრულობ, რომ მკერდზე სიცოცხლის წყარო მასხურო, ბავშვობასავით ცისფერო, მამაპაპურო სარწყულო“...

კუთხეში დგას ლადოს საყვარელი ტახტი, რომელზეც პოეტის დედის ხელით მოქარგული ყურთბალიში დევს. ტახტი 1941 წელს, თებერვლის ერთ სუსხიან დღეს რომ აგონდება, პოეტს აბასთუმანში... „ვიდრე სიკვდილი გამახვევდეს ბნელ მოსასხამში, ვიდრე სიკვდილის ჭვავი გულზე დამესობოდეს... უკანასკნელად დამაწვინეთ ჩემს ოდა სახლში, უკანასკნელად, ვიდრე თვალნი დამეცსებოდნენ. უკანასკნელად პაპიჩემის გაჯორკნილ ტახტზე დამიგეთ მაგრად, დამხურეთ შავი ნაბადი, უკანასკნელად, უღრტვინველად მამყოფეთ ასე, ვიდრე სიკვდილი შფოთვიან სულს გამინაბავდეს.“

გვერდით, საწოლ ოთახში, ტარიელ და ავთანდილ ვართაგაგების მიერ შესრულებული ლადოს პორტრეტი ჰკიდია, რომელიც პოეტის ქალიშვილისთვის, მანანასთვის მიუძღვნიათ მამის გარდაცვალების ოცი წლის თავზე...

მაგიდაზე დევს შთაბეჭდილებათა წიგნი, რომელიც სავსეა აღფრთოვანებული ჩანაწერებით. ამიერიდან აქ უფრო ხშირად მოვა მადლიერი მკითხველი, ლადოს პოეზიის მრავალრიცხოვანი თავყანისმცემელი...

გარეთ გამოვვდი. ორნამენტებით მოჩუქურთმებული აივნიდან თვალი მოვავლე პოეტის ეზო-გარემოს, რომელსაც სათუთი, მზრუნველი ხელი ატყვია.

„ლადოს ხეივანი“, „ლადოს ხეივანი“, – ჩამესმის თითქოს უხილავი ხმა....

არადა, რა კარგი იქნება, სოფელ ბარდნალას ამ მშვენიერ ხეივანს „ლადოს ხეივანი“ რომ დარქმეოდა! მამინ აქაური ახალგაზრდები მეტის გულისყურით მიესიყვარულებიან ამ ჭალებს, დაასუფთავენ, დააკრიალებენ, შემეჩხერებულ ადგილებში ახალს ჩარგავენ, მიესათუთებიან.... ერთი სიტყვით, ახალგაზრდობა შეძლებს საყვარელი პოეტის სახელობის ხეივანს სულ სხვაგვარი პეწი და ლაზათი მისცეს.

...ლადოს ხეივანი... მართლაც, რა კარგი იქნებოდა!

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 18 ივლისი, 1978 წ.

# ლილია ჟიხოშვილი-სახლთსაუბრები



## მამიდა

„სიყვარული არასოდეს ბერდება, მხოლოდ თოვლი უბერდებათ მწვერვალებს!..“

ვაჟა ოთარაშვილი

„...გერმანული ენა ამბობს: Die See ზღვა – მდღერ. სქესის. Der See ტბა – მამრ. სქესის. გენიალურია, ქალი ნამდვილად უსაზღვროა, როგორც ზღვა და კაცი ნამდვილად შემოსაზღვრულია, როგორც ტბა“.

გრიგოლ რობაქიძე

– ყური მოკვარი, თუ მართლა ზღვაზე საუბრობთ?! – იკითხა თინამ, რომელმაც ის-ის იყო ზღურბლს გადმოაბიჯა.

– დედა, მამიდა ზღვაზე მიყვება... და, კიდევ სიყვარულზე!..

– არ დაიღალეთ წარსულის მოგონებით? ღია, ამას კიდევ გაბრუნება უნდა, ისედაც ღრუბლებში დაფრინავს; ჯობია გაკვეთილებს მიხედოს, საცაა გამოცდები დაეწყება... ოღონდ არ იმეცადინოს, საათობით იჯდება და შენს შეთხზულ თუ ნამდვილ ამბებს მოისმენს...

– ელისო, არ ღირს ყველაფრის დრამატიზება! ცოტა ხანს ვისაუბრებთ და მერე ისევ გააგრძელებს მეცადინეობას...

– ლევანმა დარეკა?

– კი, დარეკა, ცოტა შემავიანდებო.

– კაი; დავისვენებ; ამასობაში, ალბათ ლევანიც მოვა.

მამიდამ და მძისშილმა საუბარი განაგრძეს, თუმცა გაეშმაკებული ანკა უკვე ხვდებოდა, რომ ღია მამიდა რაღაც-რაღაცებს ტოვებდა, რაღაცას ბოლომდე არ ყვებოდა; რაღაცნაირად, ბოლომდე არ

იხსენებოდა. ამით განაწყენებულმა პირდაპირ აჯახა:

– ასე განათლებული, ლამაზი ქალი გასათხოვარი რატომ დარჩი?! ისე, არც ახლაა გვიან...

– ნუ მაწყვეტინებ, თუ გაინტერესებს გიყვები და მომისმინე, თუ არა და... მეათე კლასში რომ გადახვალ, ასე ვთქვათ, ცოტათი კიდევ რომ წამოიზრდები, ჩემს დღიურს წაგაკითხებ და მაგ კითხვაზე პასუხს მაშინ მიიღებ; ახლა კი დავასრულოთ, ეხლანდლებს ნერვები არ გყოფნით, მაინცდამაინც არც კითხვით იკლავთ თავს...

ანკასაც სწორედ ეს უნდოდა, გაეგო მართლა ჰქონდა თუ არა მამიდას დღიური... ახლა კი შეეძლო მოეძებნა, მთავარი იყო უფროსები სადმე წასულიყვნენ, მერე კი მერე... მოკვდებოდა და თავის სურვილს მაინც აისრულებდა, ყველაფერს გაიგებდა, რაზეც ასე შეფარვით საუბრობდნენ მშობლები, მამიდა და მისი მეგობარი ქალები... რანაირად უნდა მოეთმინა მეათე კლასამდე... – არა, ესენი ვერ არიან კარგად... რომ იცოდნენ ჩემს დაქალებთან რა თემებზე ვსაუბრობთ?!

დღე დღეს მისდევდა; ანკას ეს ამბავი გამოცდებმა მიავიწყა კიდევ, რომ სრულიად შემთხვევით, წიგნის თაორების მორიგი ქექვისას, სათავისო, – იოლი, გასართობი წიგნის „ძიებისას“ – საბჭოთა ეპოქის დროინდელი ძველ რვეულს წააწყდა, რომელიც თავისთვის მშვიდად იყო მიყუდებული და თითქოს ყურადღებასაც ნაკლებად იქცევდა, რომ არა გარეკანის მოძველებული ღიზინი, მის მყუდროებას, ალბათ, არავინ დაარღვევდა.

ანკამ გადაფურცლა, გაკრული ხელით ნაწერი ძლივს ამოიკითხა, მერე თვალი შეაჩვია და... – ღია მამიდას „დღიური“ ხელთ ჰქონდა! წიგნები სასწრაფოდ მიაღაგა, ისე რომ არაფერი დატყობოდათ, ოთახის კარი საგულდაგულოდ ჩაკეტა და როგორც სჩვეოდა, წიგნების კითხვას ხან ბოლოდან იწყებდა, ხან მეექვსე გვერდიდან, ახლაც ჩვევას არ უღალატა – კითხვას შუა გვერდებიდან შეუდგა.

**11 ივლისი 19... წ.** ჩემო ანაბელ! – რამდენიმე საათია, რაც ქობულეთში ჩამოვედით... უსაშველოდ წვიმს; ირგვლივ არაფერი საინტერესო; ყველგან სინესტე, სისველე და წვიმის წვეთები. თბილისის ზვატის შემდეგ ძნელია ამასთან შეგუება, თანაც ზღვასთან ასე ახლოს არც კი ვყოფილვარ! მალე მინდა მისი სიდიადის ხილვა...

მოსალამოვდა თუ არა, შეწყდა წვიმის წვეთების გულის გამაწვრილებელი წკაპაწკუპი; ქოლგით ხელდამშვენებული სანაპიროს მიუყვებო. აი, დასრულდა ქვის შენობების წყება, შემდეგ გრძელი ქვის ღობეც და – აღრენილი, გულჩამღვრეული ზღვა უზარმაზარ ზვირთებს მოქუფრულ ცას უერთებს; ყველაფერი რაღაც ავისმომასწავებლად შავადაა

აფერადებული... უკან ცივად მოვბრუნდი... ხმის-  
ამოუღებლად შევწექი ტენით გაჟღერებულ ლოგინში...

**15 ივლისი 19... წ.** ჩემო ანაბელ! – წვიმის მიუხე-  
დავად, არ წყდება დამსვენებლების ყოველდღიური  
ფაციფუცი – ზოგი ვარჯიშობს, ზოგი საუზმეს იმზა-  
ლებს, ზოგიც მაგნიტოფონს ჩაჰკირკიტებს... და არის  
გნიასი და ვაი-უშველებელი... არაფრის გაგონება არ  
მინდა! ყოველთვის მაღიზიანებს ყოფითობის ერთ-  
ფეროვნება და მსგავსება ყველგან და ყველაფერში...  
დღეები ზღაზვნით, ძალზე მონოტონურად და, მაინც,  
სწრაფად გარბის...

**19 ივლისი 19... წ.** ჩემო ანაბელ! – დღეს დილით  
ხმაურმა გამომავლიდა. ეზოში ვილაკები ირეოდნენ;  
ზედა სართულზე ჩემოდნები, სხვადასხვა ზომისა  
და წონის ხელბარგი აჰქონდათ... მის დანახვაზე  
რატომღაც გამეღიმა, იდგა შუაგულ ეზოში მზის  
სათვალთ, თუძცა გრძნობდა, რომ იმ წუთებში ის  
არაფრის მაქნისი არ იყო... ამომხედა და დაუდევარი  
ნაბიჯებით კიბეს აუყვია.

თითქოს მის ჩამოსვლას ელოდაო, შუადღისას  
მზემ გამოანათა; სადილის შემდეგ ყველანი ერთად  
სანაპიროსკენ გავემართეთ... ჩვენდა უნებურად,  
დავწინაურდით – ვყვებოდით ჩვენს მეგობრებზე,  
უნივერსიტეტზე, გამოცდებზე... პირველად ვიყავი  
ასე, ნახევრად შიშველი ვაჟის გვერდით და სულ არ  
მრცხვენოდა; ახლაც მიკვირს საკუთარი ვითომდა  
თავისუფლება...

**24 ივლისი 19... წ.** ჩემო ანაბელ! – ...ის შეს-  
ანიშნავად ცურავს, ჩემს დასანახად, თუ მართლაც  
აქვს ამის სურვილი ტივტივებმდე გადის; მე კი, –  
მე მოუთმენლად ველი, ველარც წიგნს კვითხულობ  
და აღარც კენჭებივით მიმოფანტული ადამიანების  
თვალიერება მიზიდავს – ან კი რა სანახავები არიან,  
წვანან ქვიშაზე და რაც შეიძლება მონდომებით  
მზეს ეფიცხებიან, მერე კვლავ წყალში შედიან, ეს  
უფროსები; რაც შეეხება ჩვენს ტოლებს – ისინი  
კარტით, ბურთით, ბადმინტონით ირთობენ თავს...  
ერთმანეთს უღამიან, კამათობენ და კინკლაობენ...

მშვენიერია ჩვენი ეზო – თალარითა და მსხ-  
მოიარე მსხლის ხეებით, ნატიფი ყვავილნარითა და  
მხოლოდ სუბტროპიკებისათვის დამახასიათებელი  
საოცარი სურნელით გაჟღერებული; საღამოობით,  
ამ ყველაფერს, საღამოს ბინდის უხილავი ფერები  
და ჭრიჭინების გაბმული ჭრიჭინი უერთდება...  
გვიანობამდე ვსხედვართ და ერთმანეთს ვუამბობთ  
საკუთარ „თავგადასავლებს“; ერთმანეთს ვუმტ-  
კიცებთ მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამ-  
სახურდიას, ლევან გოთუას, გურამ რჩეულიშვილის  
და სხვათა შემოქმედების უპირატესობას... ვდავობთ  
კონსტანტინე სავარსამიძის მართოსულობის მიზე-  
ზებზე... სხვები? – სხვები ჩვენს ირგვლივ სხედან,  
როგორც აუცილებელი რეკვიზიტი და წამდაუწუმ

დაღებული პირითა და თვალების სრესით, ციდან  
მიწაზე გვიშვებენ; საოცარია მაგრამ არ გვწყინდება  
ეს „ერთფეროვნება“...

**27 ივლისი 19... წ.** ჩემო ანაბელ! – დღეს დედამ  
ნება დამართო და მე და ის კინოში წავიდეთ! საკმაო  
მანძილი გავიარეთ, რათა ქალაქის ცენტრში მოვხ-  
ვედრილიყავით. ამ ხნის განმავლობაში პირველად  
მაცვია საგარეო კაბა – დეკოლტეთი, თეძოებზე  
მომდგარი, ქვემოთ ე.წ. კლოშით; შავში არეული  
შვინდისფერი ხვეულებით, კარგი ხარისხის აბრე-  
შუმის. ძალიან მიხდება! გვერდით მივყვები და რაც  
შეიძლება ვიპრანჭები; ვხედავ, ჩვენსკენ მომართულ  
ცნობისმოყვარეთა მოწონების მზერას, ამას ისიც  
გრძნობს და უფრო მეტად იბღინებდა...

**29 ივლისი 19... წ.** ჩემო ანაბელ! – რა კარგია  
ხანდახან სიგიჟეები!... სანაპიროზე ვირუჯებოდით,  
რომ ჩვენგან ძალზე შორის ბათუმის გემი ჩამოვდა,  
რომელიც ერთ საათში უკანვე ბრუნდება. წასვლა  
უცბად გადავწყვიტეთ... არავისი შეგონება არ გვეს-  
მის... სანაპიროს ის მონაკვეთი სულმოუთქმელად გა-  
ვირბინეთ; გასავლელი ცოტადა გვრჩებოდა, ძლივს  
ვსუნთქავდით... აღარ მივბობდით, მივიდიდით და  
ვხედავდით, როგორ ტოვებდა გემი ნაპირს... ვერ  
მივუსწარი... გაოფლიანებულები, კრიჭაშეკრულები,  
გულდაწყვეტილები დავბრუნდით უკან...

**31 ივლისი 19... წ.** ჩემო ანაბელ! – ადრინა  
დილაა, ცხელა. მზის უშველებელი დისკო ზღვის  
უსასრულობას დაყრდნობია და სითბოდ იღვრება...  
უკვე ზღვაში ვართ შესულნი. წყალი თბილია და  
მშვიდი, მომცრო ტალღებით ნაპირს ელამუნება; იქით  
გავტყლაშუნდი, აქეთ მოვტრიალდი და! – თევზები,  
ბრტყელი, ნაფოტა თევზები; წყლის სითბოსგან  
გათამამებული ჩემს გარშემო გუნდად დაცურავენ.  
– არიქა! – ვიყვირე მთელი ძალით – პირსახოცი  
გადმომიგდეთ, თორემ ხელიდან მისხლტებიან!..  
ჩვენები დაფაცურდნენ, შეიქნა ჟრიაშული და ყიჟინა...  
ჩემმა მონდომებამ თავისი ქნა და სამი მოზრდილი  
თევზი ნაპირზე მოვისროლეს... კინაღამ დავიხრჩე, მე  
ხომ ცურვა არ ვიცი!.. ტაფა შემწვარი თევზით უკვე  
ცარიელია, თანაბრად გავიყავით; მთელი დღე ენა  
არ გაიჩრებია: – ხედავთ, როგორი ყოჩაღი ვარ?!  
სამი თევზი დავიჭირე, თქვენ კი... ცურვა ვიცი, თო,  
ესაო-ისაო, ასეთები ვართ, ისეთები!..

**3 აგვისტო 19... წ.** ჩემო ანაბელ! – უაზროდ  
ცხელა... ჩვენები ქოლგებს ახუნებენ, სანაპიროს  
კი არ ტოვებენ... მან გამოსავალი მონახა, მოდი,  
ცოტა იქით წავიდეთ, ვნახოთ „იქით“ რა ხდება. არ  
დამიყოვნებია, რაღაც ზედმეტად აფუსფუსებული  
ავედევნე... – ლია! აჩიკო! აბა თქვენ იცით, შორს არ  
წახვიდეთ! – ყურს არ ვუგდებთ. ორივენი ქუდებს  
ვისწორებთ, მას ტყავის კეპიანი ქუდი ხურავს, მე  
კი – თეთრი ტილოსი, ცხვირამდე ჩამოფხატული.



მაგრად გარუჯულები და ძალიან სასაცილოები ვართ... გზას მივუყვებით... რა უნდა იყოს „იქით“, ჩვენგან პატარა წყლის შენაკადს იქით... პატარას ვამბობ, თორემ რომ შევედით – წელამდე მოგვწვდა! უცბად თავბრუ დამეხვა, შემეშინდა... მან უთქმელად გამომიწოდა ხელი და... მინდოდა უსაშველოდ გაგრძელებულიყო ეს გზა, მეცქირა წყლისთვის და შორს დარჩენილი იქითა ნაპირისთვის... ხავსმოღებულ ლოდებზე ჩამოვსხედით. აჩიკო დაიხარა და ლამაზი კენჭების შეგროვება დაიწყო, თან ჩემთან ამოწმებდა მათ ფერადოვნებას... ბოლოს მეღუბებით დამშვენებული ხელისგულებიც დამანახა; ცოტა არ იყოს ზიზღით შევხედე ბუნების ამ საოცრებებს, თითქმის წყლად რომ ქცეულიყვნენ და თითებს შუა მოენახათ გზა...

**18 დეკემბერი 19... წ.** ჩემო ანაბელ! – მენატრება!.. კალენდარზე ხუთი თვე ჩამოიფურცლა... ტაქსი მონდომებით კეცავს კილომეტრებს; სწრაფი კადრებით მეკარგებიან ხეები, შენობები, მანქანები, ტროტუარებსა და გადასასვლელებზე მოსიარულეთა სილუეტები... მექანიკურად ვუსმენ მძღოლს, რომელიც დროის ამ მცირე მონაკვეთში თითქმის არ გაჩერებულა... ტაქსი ისე მიადგა მისი სახლის სადარბაზოს, რომ ვერც კი შევნიშნე, ვერც აჩიკო დავინახე, რომელიც იქვე ორიოდ ნაბიჯზე იდგა. მანქანიდან კი არ გადმოვედი, გადმოვფრინდი. – ღია! – ჩემი სახელი სადღაც შორიდან შემომესმა, ინერციით მივტრიალდი. ის მანქანასთან იდგა და ხელს მიქნევდა... ცოტა არ იყოს, დაბნეული მივესალმე მძღოლს... უკან მოვიტოვეთ ნაცნობი სანახები; ძლივს დაიღია ერთფეროვანი მოსაწყენი პეიზაჟების წყებაც... სიხარული ისევ, მზის ოდნავ მბჟუტავ სხივებს მოჰყვება...

მანქანა მოყინულ ადმართს შეუყვია. ნელა, ტაბათით მივიწვევთ წინ; ყურს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეხმიანება მათი საუბარი... ერთბაშად მოიქუფრა, ჰაერიც უფრო ცივი და სუფთა გახდა; თურმე თიანეთისკენ მიმავალ გზას მივყვებოდით, ესეც სიურპრიზი! გამიხარდა, იმავ წამს მირზას სახე დამიდგა თვალწინ... მონდომებით ვიწვევ მადამოს თვალიერებას: დათოვლილ მთებს ვაკე ადგილები ცვლის; თოვლის ქურქში გახვეული, განძარცვული ხეები თავმომწონედ იმზირებიან; ერთგან ღრუბლებს მიბჯენილმა ეკლესიამაც გამოგვაყოლა თვალი... მე კი, მინას მიკრული, მანქანის მონოტონურ ხმებს ვაყოლებ – „დედამიწა შეიძოსა თეთრი სამოსელით / თეთრ კარავებს დაემგვანენ ატეხილი მთები, / მახსოვს შენი გუნდაობა უხელ-თათნო ხელით, / ახლა მინდა შენი ნახვა, ახლაც მენატრები.“ / „თქვენ, ხეებო, თქვენ მაინც ჩააგონეთ ნამდვილად, / რომ ლოდინით დავდუმდი, / რომ მონა ვარ ამ ავის, / რომ ასეთი კარგი ვარ / და ასეთი

სათუთი...“ / უცებ მისი ხმა მაფხიზლებს: – რატომ მოიწყინე? ძალიან გთხოვ, ნუ ხარ ასე სევდანარევი გამომეტყველებით... – არა, სრულებითაც არა ვარ მოწყენილი, გეჩვენება... გულში კი ვფიქრობ, რომ იცოდეს, როგორ გამახარა; თან ვგეგმავ, რომ ზაფხულში (ჰმ, ზაფხული...) აუცილებლად ამოვალთ და დავხედავთ მირზას ეზო-კარს...

რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ უკან უნდა დავბრუნდეთ, რადგან ზემოთ და ზემოთ გზა მოყინულია; მძღოლმა მკვეთრად მოატრიალა საჭე, ნელ-ნელა ქვევით ვეშვებით... ჩამოვივაკეთ კიდევ... სამანქანო გზას მარჯვენა მხარეს თიხის ოსტატებს ათასნაირი ჭურჭელი გამოუტანიათ გასაყიდად; ჯარისკაცებით ჩამწკრივებულან – დოქები, ჭინჭილები, სურები, ჯამები, ქოთნები, ფიალები, პატარა და დიდი ქვევრები და რა ვიცი კიდევ რა. მანქანას ვაჩერებთ; ორივენი გადადიან, მარტო ვრჩები, მოლოდინით გავყურებ მის გზას. მალე ბრუნდებიან; აჩიკო თიხის სურას მაწვდის: – ამ დღის მოსაგონებლად გქონდესო...

მანქანა საღამოს შუქ-ჩრდილებს შეერია... ყურის ძირში ჩასაფრებული ყოველდღიურობა მთელი ძალით ჩაგვბლაუჭებოდა და თავისკენ გვეწყოდა; თვალსა და ხელს შუა გალუული ერთი სანუკვარი დღე გაპარულიყო.

**11 მარტი 19... წ.** ჩემო ანაბელ! – დილიდან კარგ განწყობაზე ვიყავი; რამდენჯერმე მოვისმინე ჯო დასენის „ლუქსემბურგის ბალი“, მირეი მატიეს „პარიზი“, „მარსელიოზაც“ კი... და რალაცნაირად აფორიაქებულმა ვისაუხმე; მანანასა და მარინას დაუურეკე და ჩემი განწყობა მათაც გადაედე... დიდხანს ვიფიქრე მიზეზზე, მაგრამ ვერ მივაგენი... ასე 5 საათი იქნებოდა, კარზე ზარია, არავის ვაცლი; კარს ვაღებ: – აჩიკო, შეენ?! დგას ხელში ყოჩივარდებით – ლამაზი, ბედნიერი ღიმილით... მოულოდნელობა და სიხარული ერთმანეთში ამერია; პირველი ყვავილები ამ წელს! ყველას მან დაასწრო – დიდსაც და პატარასაც, ნაცნობსა და უცნობდს... სულ სხვად იქცა ჩემთვის; იდგა რაინდული კეთილშობილებით სავსე და თითქოს მისი სახით ციდან დაშვებულიყვნენ ზნემაღალი – ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ფიცხი დ'არტანიანი და ბოლომდე ამოუცნობი დონ კიხოტ ლამანელი...

**28 მარტი 19... წ.** ჩემო ანაბელ! – მეორე კვირა გავიდა, ჩემი ყოჩივარდები კი ისევ ფერზე არიან. ძალიან ველოლიავები, ისე ვეფერები, როგორც უსუსურ, თოთო ბავშვებს. ყველას თვალებში ჩაგყურებ, ვაკვირდები – ხომ არაფერი აწუხებთ, ჭკნობა ხომ არ ეპარვიათ: – ჩემო კარგები, ხატულებო, სანდომელებო, კეკლუცებო! ყოველ დილა-საღამოს

ერთსა და იმავეს ვუძეორებ... ლარნაკი ღამით გარეთ, აივანზე გამაქვს. ამ დროს ძალიან მეცოდებიან, სინათლიდან – სიბნელეში, სითბოდან – სიცივეში... ვიცი, არ დაზრებიან, რადგან სწორედაც სიცივეში, თოვლქვეშ ამოჰყოფენ თავებს, ანდა სულაც არ ჩნდებიან, თუ თავად არ მოიძიე თოვლის საფარქვეშ...

**15 ივნისი 19... წ.** ჩემო ანაბელ! – ვერა და ვერ მოვიცალე შენთვის, ჰოდა, ახლა გიყვები; აჩიკომ დამირეკა, უნივერსიტეტის გუნდთან ერთად მალე იტალიაში მიფერინავ ორი კვირითო. ჩემი ამბავი ხომ იცი, მაშინვე ხასიათი გამიფუჭდა; ვთხოვე იქნებ სარამოს სადმე წავიდეთ, კარგო, ასე მოვხვდით ფუნკულორზე... ის მშვენიერ ხასიათზე იყო, მე კი ისე ვიყავი შებოჭილი, რომ ლაპარაკს ძლივს ვახერხებდი, დანა პირს არ მიხსნიდა... ღამაზად გადაშლილი ხის ქვეშ ჩამოვსხედით; როგორც ტკიპა, ისე მივეკარი, თვალები მივლულე და მხოლოდ მისგან წამოსული სითბოთი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სურნელითღა ვსუნთქავდი. დრო უკანმოუხედავად გარბოდა; სიმაღლისთვის შესაფერისი სიგრილით გაჟღენთილი ნიავე ნაზად ეფერებოდა მიდამოს; ღრუბელთა ცალკეული ნაფლეთები ნელ-ნელა ერთმანეთს უერთდებოდნენ... ირგვლივ წვიმის სუნი დატრიალდა. ცოტაც, და – ხეთა ფოთლები, ბუჩქები, სკამები, პარკის ბილიკები წვიმის თავშესაფრად იქცნენ. წამოვდექით, საზაფხულო კაფეს შენობას შევეფარეთ, არც ვაციე, არც ვაცხელე და კისერზე ჩამოვეკიდე! ვუკოცნიდი თვალებს, წამწამებს, სახეს, ამას ისე სულმოუთქმელად ჩავდიოდი, თითქოს იმის თავს ვინმე მართმევდა... აჩიკო თავშეკავებით შეხვდა ჩემს „თავდასხმებს“, ეტყობოდა რომ მომავალ მგზავრობას და მასთან დაკავშირებულ საფიქრალს მოენუსხა, ცდილობდა ჩემი და საკუთარი ფიქრების მოგონებებით გაფანტვას... – მერე, მერე რა მოხდა? – ვკითხე უაზროდ.

– მერე წავაგეთ თამაშები და ძალიან დაღლილები, დამტკრეულები წამოვედით; რა თქმა უნდა, მატარებლით, ერთ-ერთ გაჩერებაზე ოდესელი ცოლქმარი ამოვიდა და ორკაციანი კუპე დაიკავეს, სადაც სხვა კუპეებისგან განსხვავებით, მაცივარიც ყოფილა ჩამონტაჟებული... ყველანაირი მარავი – ფულისაც და საკვებისაც – ამოწურული გვაქვს, არადა უსამველოდ გვშია; აღარც ჩვენი თანაგუნდელის ერთი ყუთი ხილი გვედება მალამოდ, აქეთობას ბიძამ რომ გამოატანა. ბიჭები, რომელთაც ცოტაოდენი გროშები კიდევ შერჩენოდათ, კარტის თამაშს შეუდგნენ, მოგებული მატარებლის რესტორანში მიდიოდა, დანაყრდებოდა და ბრუნდებოდა; მე, როგორც მათზე რამდენიმე წლით უმცროსს, ამ საქმეში არ მრევენ... როგორც იქნა, ერთ სტანიცასთან მატარებელი შეჩერდა. რა გინდა, სულო და გულო, გლეხებს გასაყიდად რომ არ გამოეტანათ; ჩვენმა ცოლ-ქმარმა

ერთი პატარა სათლი შემწვარი ქათმით აავსეს და მაცივარში მოაყუჩეს. მოსაღამოვდა, ცოლ-ქმარი გვერდით ვაგონში ნაცნობებთან „დადავიდნენ“... დამშეული ბიჭები, რიგრიგობით, იპარავენ შემწვარ ვარიკებს... იმ ღამეს არაფერი; დილით ატყდა უსიამო ხმაური, ალიაქოთი, გამეხებული მწვრთნელი ვაგონში დარბოდა და „დამნაშავეს“ ეტებდა... ბოლოს ჯარიმა გადაიხადა და ჩვენც გულზე მოგვეშვა...

ერთხელ, ზამთრის არდადეგებზე, მამაჩემმა ჩემს მეგობართან ერთად გემით ყირიმში გამიშვა. ყველანი შილიფად ვართ ჩაცმულნი, რადგან ზამთრისთვის შეუფერებლად უჩვეულო სითბოა... იალტაში ქალაქის დათვალიერებას გადავყვეთ და ვერც კი შევნიშნეთ ამინდის მკვეთრი ცვლილება. სანაპიროზე რომ დავბრუნდით, სადღაა ჩვენი გემი?!.. სახლისოდენა ტალღებს რომ არ დაეზიანებინა, შიგ შუაგულ ზღვაში გაეყვანათ, წარმოიდგინე, რა დაგვემართებოდა!..

ყურს ზღვის გრუხუნის მომწვდა; აზვირთებულ ტალღებს სანაპირო გაელოკა. ნერწყვს სიმლაშე შეპარვოდა, თოლიების ჭყვივლს ყურთასმენა მიჰქონდა. თვალნათლივ დავინახე ქვიშაში მყარად მდგარი თხუთმეტოდე წლის უშნოდ აწოწილი ბიჭი; იდგა მეგობართან ერთად, ზღვიდან მონაბერი ქარი ქოჩორს უწეწავდა, მოულოდნელად დატრიალებული სუსხისგან ტანში აბაბანებდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ თხუთმეტის იყო და, ამდენად, შიში და უიმედობა სადღაც შორს, მისგან შორს მიყუჟულიყვნენ...

აგრილდა, უსიამო ნიავე ქარში გადაიზარდა. ტრამვაის ვაგონში ხმის ამოუღებლად ჩავსხედით; ტრამვაი მონოტონური გრუხუნით ქვევითკენ დაეშვა. ქალაქი, ელნათურების გადამკედე, თვალ-მარგალიტებით დამძიმებულ ლანგარს დამსგავსებოდა... ნათლად ჩანდა ქაშუეთი, სიონი, მეტეხი, პრიალა ქამარივით დაკლაკნილი მტკვარი, მასში ჩაკარგული ხეთა ჩრდილებით... ვაგონში ჩვენს გარდა არავინ იყო და მანც სუფევდა სიტყვისა და გრძობების დამთრგუნველი გარემო...

**24 ივნისი 19.. წ.** ჩემო ანაბელ! – ამქვეყნად ლოდინი ყველაზე მოუთმენელი რამაა... თვითმფრინავის ილუმინატორიდან აუხდენელ ზღაპარივით ვხედავ ადრიატიკის, ლიგურიისა და ტირეტის ზღვებით გარშემორტყმულ, ლურჯ-ზღვისფერ ტონებში მოთამაშე, ხმელთაშუა ზღვაში შეჭრილ, მჭიდროდ დასახლებულ მიწის უზარმაზარ მონაკვეთს – იტალიას – მრავალრიცხოვანი წვრილ-წვრილი კუნძულებითა და აპენინის ნახევარკუნძულით, ალპების სამხრეთი კალთებით და მდინარე პოთი... კენახებით, ზეთისხილისა და ციტრუსების ბაღებით დახუნძლული... გაკრთნენ ნაცნობი და უცნობი,

შორეული და მახლობელი მაცოუნებელი, უბერებელი სახელები: რომი, ნეაპოლი, გენუა, მილანი, ტურინი, ტოსკანა, სან-რემო, ვატიკანი, ფლორენცია, ვენეცია... მიქელანჯელოს, რაფაელის, ბოტიჩელის, დანტეს, გალილეოს, ბოკაჩოს, პაგანინის, ვერდის, პუჩინის, კარუზოს, ლანცას, ჯილის, ფელინის, ძეფირელის, ვისკონტის, ტოტოს, მანიანის, ლორენის, მასტროიანის, ჯინა ლოლობრიჯიდას სახეები; ლეგენდად ქვეული რობერტინო ლორეტი მხოლოდდა ჩემთვის მღერის „სანტა ლუჩიას“...

წყალში გარინდული გონდოლები, მუშტრის მომლოდინე გონდოლიერები, სან მარკოს ტადარი, დოჟების სასახლე, რიადტოს ხიდი, სან ჯორჯო მავლორე, ვენეცია მინორე... — ხო, ჩემო კარგო, ოცნებით ვენეციაც მოვიარე, ერთ აუწერელი სასწაული, მუდმივი დღესასწაული...

**27 თებერვალი 19.. წ.** ჩემო ანაბელ! — სამზარეულოს მაგიდას ვუზივარ. სიჩუმეა, საათის წიკწიკის ხმაც ამ სიჩუმეს შერწყმია... ტელეფონი არ რეკავს; ის სადღაც ცხრა მთას იქით გადაიკარგა... ცრიატი ფანტელები მიწის ნაგლეჯებსა და სკვერის მარტოსულ ხეებს უსურვილოდ ეცემიან... სუსხია. გავყურებ მომლოდინედ მზირალი დათოვლილ მთებს და რაღაც მშურს ჰორიზონტზე ჩამავალი მზის სხივის...

— გავანაწყენე?! მაგრამ რატომ, რა მიზეზით, რა მოხდა?! — ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ გამიგია... მაინც, სად წავიდა სიყვარული?! — ვცდილობ უამური ფიქრები აქეთ-იქით მიყვარ-მოყვარო... — როგორ მომნატრებია მასთან საუბარი, ახლა ვიგრძენი, ახლა როცა ალუბლის ლიქიორმა თავისი ქნა, ცოტათი გაათბო ტვინის ხვეულები...

ტელეფონის ზარი არღვევს ჩემს მყუდროებას; არა, ის არ არის; არადა რამდენს მივცემდი, ოღონდაც კი მისი ხმა გამეგონა... მაგრამა არაა. თუმცა, რა დარჩენია ჩემთან?! მე კი მართლა მეგონა, რომ გულთან ერთად ჩემი სიხარულებიც ვაჩუქე და მომავლის ლამაზი სიზმრებიც... სად, სად დამეკარგა უცებ, აწყვეტილი დილივით?.. რატომ დაავიწყდა მთავარი — სიყვარული, სიხარულთან ერთად, ტკივილიცაა და პატიებაც, მოთმინება, პატარ-პატარა გაუგებრობებიც და ბავშვური ბუტიაობაც...

საინტერესო სიტყვაა „გაცნობა“, იცი, რითი, იმითი რომ „ცნობას“ შეიცავს; ჩვენ კი ვერც კი მოვასწარით ერთმანეთის შეცნობა, რომ ცუდი მოცეკვავეებით ფეხარეულები ჩვენ-ჩვენს სკამებთან დავბრუნდით, იმის მაგიერ, ცოტათი გავწვალე-

ლიყავით და ცეკვა ბოლომდე გვესწავლა... თვალებს ვზუჭავ და ნეტარებით ვივსები, როცა მისი ხამხამები დაწვებზე მეხება. ვერ ვითმენ და ენის წვერით თითოეულ ღერს ველოლიავები; სიამოვნებისაგან განაბულს მავიწყდება, რომ თვალები სტკივა... როლებში ვიჭრები, შეიძლება შემომეჭამოს ეს უღამაზესი სარკეები... — არა, ის არ არის ჩემთან, მე კი მეგონა, რომ ერთი ხელის გაწვდენაზე იყო...

ამასობაში ქარიც ამოვარად და ფანტელები სულ ზუზუნით გადარეკა, მერე ქმინვასა და გუგუნს უმატა... ჩვენები ჯერ არ დაბრუნებულან... მინდა ღილაკს თითი დავაჭირო, მისი ნომერი სულმოუთქმელად აგკრიფო და ვუთხრა, რომ ინგრევა ყველაფერი, რომ შიშის ზარსა მცემს სისინა ქარი და მენატრება ჩემს ციხესიმაგრედ... მაგრამ არ შეიძლება და ჩემს სურვილზე უსურვილოდ ვიღებ ხელს...

— ანკა! გამოდი, ვსადილობთ! ანკა, არ გესმის?!

— მოვივარ!

— რას ჩაკეტილხარ? კარი გააღე, დროზე გამოდი, ყველაფერი გაცივდა!

— ვმცადინებ, ხუთ წუთში გამოვალ!

— ნეტამც არ იქნება; გამოდი გელოდებით!

ანკამ რვეული ფაცხაფუცხით დახურა და წიგნების უკან შეჩურთა. სარკეში საკუთარ თავს თვალი შეავლო, თმა გაისწორა, კარი გამოაღო და სასადილო ოთახისკენ გაემართა. თავს უჩვეულოდ გრძნობდა, თითქოს რაღაცას მიხვდა, მაგრამ რას ვერ გაეგო...

ლია მამიდა მაგიდასთან დამჯდარიყო და დანარჩენების მოსვლას ელოდა; ტელევიზორს იშვიათად უცქერდა, ძირითადად ფრანგულ ენაში მოსწავლეების მომზადებითა და წიგნების კითხვით იყო დაკავებული. ამჯერად გაშეშებული მხერა ტელევიზორისთვის მიეპყრო, საიდანაც საშუალო ასაკს გადაცილებული ქალბატონი ტელემაყურებელს თავის მოსაზრებებს უშურველად უზიარებდა: — „ერთმა, ქალების „მცოდნე“, გამოცდილმა კაცმა თქვა, ერთმანეთის მსგავსი ქალები არ არსებობენ. ქალები განუმეორებლები არიან; თითოეულს ინდივიდუალური შიფრი აქვს. ის ისევეა როგორც ტელეფონი — აკრეფთ არასწორად, თუნდაც ერთ ციფრს და შეერთება არ მოხდება. ასე ეს... ჰოდა, ფართოდ გაახილეთ თვალი, ყურადღებით მიუგდეთ ყური თქვენს გულის ძვერას და ეძიეთ ქალი („შერშე ლა ფამ!“ (ფრანგ.), ბუნების მარად ამოუცნობი საჩუქარი!..“



სიზმარი წუხანდელი

ცხოვრება ჩაეშვა ოცნების გრიგალში,  
არა ჩანს სიმშვიდე, არ ფასობს ზნეობა.  
საწუთრო აცრემლდა, გაბაცდა რიჟრაჟი,  
მეწყერმა ჩარეცხა შიშველი ხეობა.  
მხრებით შესდგომია ცას ჩუმი მყინვარი,  
სიზმარი წუხანდელი მგონია ცხადი.  
აჰა, დანარჩენი კვლავ ისევ წინ არის  
და უფალს დავესესხე დუმილი დარდის.

არ ცხრება

გაგიღე გული, როგორც ბჭისკარი,  
ისევე ხვალის იმედით ვცოცხლობ,  
ჟამი-ჟამ, როცა შენკენ ვიჩქარი,  
შორი ვარსკვლავი ციაგებს მხოლოდ...  
ეს რა უაზროდ შემომამთენდა,  
არ ცხრება ზარი მოთქმა-გოდების,  
ღრუბელი მთვარეს სითბოს ართმევდა,  
ვზივარ ცივ ქვაზე და... გელოდები.

როგორ ვალმერთე

ვერ გამოვიჩენ მაშინ მე სიბრძნეს,  
როცა ბერძუნის დავკოცნი ფესვებს;  
ეს უსასრულოდ გაშლილი სივრცე,  
გაუცხოებას წკვარამში ეძებს.  
ნუთუ ეს სხივი ისევ შენა ხარ?  
მიუწვდომელი და მოლულუნე;  
განთიადისას მინდა მენახა,  
ვნების ქარცეცხლი როგორ გუგუნებს.  
როგორ ვალმერთე ნატვრა ამგვარი,  
როგორ გაეჩარხე დროსთან ჭიდილი...  
დღეს ზეობაა გულში ნათქვამის,  
ეჰ, თვითნებურად ცეცქავს წისქვილი.

აბოლდა

ქუფრდება დაისის ცის კიდე  
და მალე იწვიმებს.  
ღამურის კამარა ვიხილე,  
ბელურა იძინებს.  
ჭილყვავებს განცხრომაც აწამებს,  
მზარავი ხმა ისმის.  
ცრემლები მისველებს წამწამებს,  
ელვა ცეცხლს გაისვრის.  
აბოლდა მიმქრალი კანდელი,  
გარემო დადუმდა.  
ღიღინებს აკვნების გამთლელი,  
ბადაგი ჩადუღდა.  
სადარო ზმანება ვინიშნე,  
ძლივს მბჟუტავ სანთელთან.  
მამლების მესამე ყვილზე,  
სულეთში გათენდა.

სიმშვიდის ხიბლი

ღიღის სისხამზე კვნესის ჩიორა, –  
შველას ითხოვსო, შველას მამული.  
ახლად ფეხადგმულ შვილს გულში ვიკრავ,  
გამძაფრდა ჭერში ფორთხვა ღამურის.  
ვერ დავიოკე ოხერი გული,  
ზამთარი წასვლას ჯერ არ აპირებს;  
ცაცხახებს ყინვის ქათქათა სული,  
სიმშვიდის ხიბლი მარცვავს ნაპირებს.

# ახილც ალქსიშვილი



## საქართველო გადარჩება

გადარჩება საქართველო,  
არ დავეყაროთ ფარ-ხმალი,  
ასე კარგი მთა და მდელო,  
ქვეყნაზე არ არის...

გადარჩება საქართველო,  
არ დავეყაროთ იმედი,  
ქვეყნაზე არ არსებობს,  
ჩვენისთანა ელემი...

გადარჩება საქართველო,  
თუ ერთ მუშტად დავდგებით,  
დიდგორელნო, არაგველნო,  
თქვენთან დავიმარხებით...

გადარჩება საქართველო,  
მფარველობით უფლისა,  
ალავერდი ალავერდობს,  
მზესავით დგას უბისა...

გადარჩება საქართველო,  
ქართველებო იხარეთ,  
ღმერთმა მოქცეთ სიყვარული  
ორთავ თვალის სინათლე...

გადარჩება საქართველო  
და წყალობაც მოვა ღვთის,  
გავუფრთხილდეთ მთას  
და მდელოს,  
წინაპრების მოტანილს...

გაიბრწყინოს საქართველომ,  
რწმენით, წესით ადათით,  
ჩვენი ქვეყნის სადღეგრძელო,  
იყოს აწ და მარადის...

## სევდა

ახლაც დამწვარ გულის,  
შვება არის ლექსი,  
გულის – დატანჯულის,  
სულის – უკურნელის...

ვერ იყიდი გრძნობას,  
ოქროთი და ვერცხლით,  
ქარი არის ქროლვა,  
ელვა არის ცეცხლი...

გულში დამალული,  
ტრფობა მენანება,  
მტკივა, მაგრამ უფლის  
ლოცვა მეხმარება.

## სიყვარულზე...

გაზაფხულის დღეა ძალზე მშვენიერი,  
შემიყვარდი, იცი? და ვარ – ბედნიერი.  
ლამაზი ხარ, მართლაც, შენ ხარ ღვთისნიერი,  
სათუთია სიყვარული, თანაც ღმობიერი.  
გაფრთხილება უნდა, ბრძოლა უდიერი,  
როცა გიყვარს ვინმე, არ ხარ მიწიერი,  
შენ დაფრინავ ცაში, როგორც ზეციერი....  
მიიწურა ეს დღეც, ძალზე მშვენიერი,  
ჩემი რომ ხარ, ღვთის ვარ ღიდად მაღლიერი.

## არჩევანი

რა სჯობია სიყვარულის გაცემას,  
სიძულვილი არის კაცთა დაცემა,  
ჩვენ ვაკეთებთ ცხოვრებაში არჩევანს,  
ვინ ემმასთან, ვინ უფალთან დარჩება.

უნდა შევძლოთ მართალი გზის არჩევა,  
სიკეთის და ბოროტების გარჩევა,  
ერთმანეთი გვიყვარდეს და გვახსოვდეს,  
დიდება ღმერთს, არასოდეს დაგვტოვებს...

## ამირ ორი (AMIR OR)



ამირ ორი (Amir Or) ცნობილი ისრაელელი პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატორი. დაიბადა 1956 წელს თელ-ავივში. გახლავთ 12 პოეტური კრებულის ავტორი. მისი ლექსები 40-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი და დაბეჭდილი სხვადასხვა ენაზე გამოცემულ 22 პოეტურ ანთოლოგიაში. პროზაული ნაწარმოებებიდან ბოლო ორმა რომანმა „ფრთები“ და „სამეფო“, ამირ ორს ფართო საერთაშორისო აღიარება მოუტანეს.

მინიჭებული აქვს ისეთი მაღალი ჯილდოები და პრემიები, როგორცაა: საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის პრემია (ბერძნული ეროტიკული პოეზიის ივრითზე თარგმანისათვის); ფულბრაიტის სტიპენდია შემოქმედთათვის; ბერნშტეინის პრემია; შტეფან მიტროვ ლიუბისას საერთაშორისო ლიტერატურული პრემია (2014); პრემია „ევროპული პოეზიის ატლასი“

(2016). ამირ ორი გახლავთ საზოგადოება „ჰელიკონის“ და „ებრაულ-არაბული პოეზიის სკოლის“ დამაარსებელი, გაეროს ევიდით დაფუნდებული ორგანიზაციის „პოეტები მშვიდობისათვის“ ისრაელის წარმომადგენელი, რედაქტორობს ჟურნალ „ჰელიკონს“ და ჟურნალ „ატლასის“ ებრაულ გამოცემას, არის მრავალი საერთაშორისო ლიტერატურული გამოცემების რედაქტორების წევრი.

### ენა ამბობს

ენა ამბობს: ენამდე  
არის ენა. ენა ნაკვალევია  
დალაქავებული.  
ენა ამბობს: ახლა მოისმინე.  
ისმენ. გაისმა  
ექო.  
აჰა, აიღე სიჩუმე და იყუჩე  
აჰა, აიღე სიტყვა და თქვი:  
ენა ჭრილობაა გამოსული ენიდან,  
საიდანაც მოედინება და მოედინება სამყარო.  
ენა ამბობს: არის, არ არის, არის  
არ არის. ენა ამბობს: მე.  
ენა ამბობს: მოდი, ერთიც ვთქვათ – შენ,  
მოდი მოვსინჯოთ – შენ; მოდი, თქვი  
უკვე ნათქვამი.

### ეპიტაფია

გადაუხვიე გზიდან, სხვა გზით იარე,  
თუთის ბალში და ვენახში შეისვენე.  
წყალთან, ჩრდილში, თეთრი ქვის ქვეშ,  
ვწევარ მე, უდროოდ გარდაცვლილი, ყრმა ხელმწიფე.

ცივი მარმარილოა ჩემი სახე და ჩემი მკლავი.  
ტანთ მხურავს გვიმრა, ზედ მაყრია ხმელი ფოთოლი,  
არ წავსულვარ შორს,  
ოდესღაც მეც ხომ ვცოცნლობდი.

გადაუხვიე გზიდან, სხვა გზით იარე,  
მერე მოდი და გულზე დამაწურე ცირცელი.

## აქ

აქ არის ჩემი აღიარებითი ჩვენება:

ორმოცდაათი წლის მამა რვა წლის შვილს (რასაც ვერ ხედავ),  
სიტყვებს ლექსებად ღვრის, უყვარდა, სძულდა (ვერც ამას ხედავ), ნადირივით ძრწოდა.  
ჩაკლული სული, შფოთი, გახეთქილი ტუჩი, ბასრი მზერა (ამას კი ხედავ).  
ის, რასაც სარკე გატყუებს, არის ნამდვილი (თითქმის) – ორგანოზომილებიანი პირადობის  
მოწმობა და

ძებნილის სახე ჩარჩოში;

პორტრეტი, წამის მოლოდინში გარინდული, და სული ბრბოსგან გათელილი.

მერე სული?

აბა, რა ვთქვა სულზე ისეთი, რაც ჯერ არ უთქვამთ?

აქ, არის არარაობიდან ამოზრდილი პურის თავთავი,

და აქვეა დანა,

იმ თავთავის მოსაცელი.

## ტადართან

ტადართან / ასადი პურს მათხოვრობს/ აბდალა მათხოვრობს ფულს. იქვე/ საკმევლისა  
და სიწმინდების/ ჯიხურებს შორის

მუსტაფა ვარსკვლავებს მათხოვრობს/ ისაია მათხოვრობს სიყვარულს/ მათხოვრის  
ფიალებით ხელგაწვდილები მათხოვრობენ.

მანსური სიმართლეს მათხოვრობს/ ყველა გამვლელისგან/ ჯალალი თავისუფლებას  
მათხოვრობს / ომარი – სიცოცხლეს.

და ის? / ის არაფერს მათხოვრობს/თუმცა, ჯერ არც არავინ სწირავს რამეს.

მისი სამათხოვრო ფიალა სავსეა /მზერით, ცქერით / მოწყალე ფიქრით/ მოწყალე  
სიტყვით/ ჰაერით, ცეცხლით, მიწით, / სამეფოებით / ელექსირით/ შველით/ ხსნით.

აყირავენ ფიალას/ ცლის / ფიალა კვლავ სავსეა.

„ძვირფასო მე“ – ზედ აწერს/ პირთამდე ავსებს ღვინით/ ერთიანად გადაჰკრავს;  
ვაჰ, ისევ სავსეა!

ამსხვრევს ფიალას/ ამსხვრევს/ მაგრამ ახლა კიდევ უფრო სავსეა/ ნამსხვრევებში  
გამრავლებული.

ტადართან / ასადი ხორცს მათხოვრობს / მუსტაფა – ზრემს / ომარი – კედლებს.

მასთან/ ტადართან/ არ არის

ტადარი.

## სიმღერა

ვერ გავჩუძლები,

მინდა ვიმღერო.

ვერ გავჩუძლები,

ვერ ვწყნარდები.

თოკზე მოსიარულესავით

თავბრუდახვეული ჩემი სიმღერა

არ შეწყდება.

მინდა ვიცეკვო,

ალმაფრენას ნუ შემობოჭავ,

გამოდი, ვიცეკვოთ!

ვერ გავჩუძლები,

სტრიქონებს შორის  
ქარიშხალიც რომ ამოვარდეს, –  
ნუ მთხოვ!  
შენი ბრალია, მეგობარო,  
ჩემი სიყვარულის,  
შენი სიყვარულის.  
წყაროს რაკ-რაკი გულს მიხალისებს და  
ფიკუსის მწვანე ფოთლები  
თვალის ჩინს მიმწვანებს.  
მოდის დილა და სული მკარნახობს:  
შემოქმედო, სიმღერა შენი  
ჩემ სულის სიმებზე აკვნესე.  
თან ისე, რომ შენი სული არ შეწუხდეს,  
ჩემ სულში ხეტიალით თვალი არ დაღალო,  
მე ვნებისაგან დაცლილი ვგდივარ, ხის მორივით,  
და მკურნალს დავეძებ ამაოდ.  
მინდა სამყარო შენ გამიფერადო,  
მიყვარდეს მხოლოდ და არ მეშინოდეს,  
საკუთარ გულს თამამად მივანდო,  
ჩემი სტრიქონები და მათი სიცოცხლე.  
აჰა, ეს ჩემი ხელია – შენი კალამი  
ამოწვი ლექსი  
შენ გულის ფიცარზე.

## გაკვეთილები

1

ალიონზე,  
ქარზე დარწეული  
ტოტების ენა  
მინდა ვისწავლო.

2

მეც დამიბერე ქარო,  
მასწავლე,  
სულში სიტყვები როგორ ვარწიო.

3

გაშალე ჩემი ტოტები  
და მითხარ, როგორ ვიქცე ხედ  
რომელიც ვარ.

4

მიწის წიაღიდან ყვავილების სურნელებამდე  
ჩემი სიგრძე-სიგანე,  
ჩემი ცხოვრებაა გადაჭიმული.

5

ფოთლები მიჰქრიან  
ფოთლები მოჰქრიან,  
მეც მიმაქროლებენ.



## როცა მივედი ღმერთთან

ბრმა ვიყავ, როცა მივედი ღმერთთან.  
შორიდან მესმა მისი ლტოლვა,  
მისი სუნთქვა, მისი ოხვრა,  
მისი ღრიალის, რისხვის,  
მომაკვდინებელი გრგვინვის და  
ყმუილის ხმა.  
და მე შევეხე იმის ფოთლებს, მის განთიადს,  
მისი პირიდან ამოსულ სუნთქვას,  
და ჯერ კიდევ თბილ ზურგს.

შიშველი ვიყავ, როცა მივედი ღმერთთან.  
თავბრუს მახვევდა მისი ხმა, სუნი, ანაბეჭდები,  
როდესაც ბალის წიაღს თავს აფარებდა  
„მაწანწალა“, დევნილი, უარყოფილი.

როცა მივედი ღმერთთან, ჩავჩურჩულე:  
შეიცან თავი შენი! და საკუთარ თავს მოვეხვე;   
როცა მივედი ღმერთთან, მარტო ვიყავი.

## რისთვის უნდა გაისარჯონ

რისთვის უნდა ეძებონ ჩემისთანა მოქალაქე?  
ცხოვრებაში თითო თითზე არ დამიკარებია;  
უსაქმურობა ფუნდამენტურ პრინციპად გავიხადე.  
მაშინაც კი, როცა სადმე რამე აზრი გამოძიოქვამს,  
სხვისი იყო – გარემოებიდან გამომდინარე  
ცარიელი სიტყვების რახა-რუხი,  
თვითკმაყოფილი მოსაუბრის დასადუმებლად.  
რა ხეირია ჩემგან? არაფერი –  
წინააღმდეგობის გაწევაც არასდროს მიცდია, ვლუმდი  
როცა დევნიდნენ, იჭერდნენ, სპობდნენ –  
ყველა მთავრობას ქედს ვუხრიდი.  
ახლაც, დაველოდები, ვიდრე საფრთხე გადაივლის;  
და მერე ჩემს პატარა სიამებებს დავუბრუნდები.

ინგლისურიდან თარგმნა  
**მანანა ღუმბაძე**

# შანთი მახსრინანი



*სომეხი პოეტი, მთარგმნელი, სომხეთის მწერალთა კავშირის გამომცემლობის დირექტორი, ჟურნალ „ნარცისის“ რედაქტორი, მრავალი წიგნის, სტატიის, თარგმანის ავტორი, სხვადასხვა პრემიის ლაურეატი.*

## ჩემი სამოთხე

მე არ ვიქნები იქ,  
მშვენიერი შუქების ელვის ქვეშ.  
სხეული ცოდვის საკრავია.  
მე არ ვიქნები იქ...

...და როგორც მედიუმს,  
მე სიზმრად მომეჩვენა —

ბალი ამოდრავდა.  
ხელიდან გაშვებული მტრედების გუნდით,  
განთიადმა ჩაიარა ხეებს შორის;  
უბეში ჩაუძვრა, კალთები აუწია...  
ფერი გაუღვიძა,  
ფოთლები აუჟღერა  
და მომეჩვენა, თითქოს  
ყვავილების თაიგულებზე ხილი იქცა  
ჩვილების წილ ძუძუსთავებად;  
ძლიერი ტოტები წვენს იწოვენ  
ყლორტებისაკენ

და პატარა ბავშვების ძილში  
ოქროსფერი შხეფები იფრქვევიან  
შადრევენებიდან;  
ხეების ფონზე მფრინავი მეტეორი  
მოწყვეტილი ვარსკვლავია  
და ვხედავ:

ცა პირველი — ფშატის ხეები,  
ფშატის ყვავილები;  
ვაშლის ხეები — მეორე ცაზე —  
ვაშლის ყვავილები;  
მესამე ცაზე — ყურძნის ჭია,  
თავისი ხვეულებით,  
მსხლის ხეები, მსხლის ყვავილები —  
მეოთხე ცაზე;

მეხუთეზე — ჭოჭინაა\*,  
ბროწეულის ხეები, ბროწეულის  
ყვავილები;  
ატმის ხეები, ატმის ყვავილები —  
მომდევნო ცაზე;  
ხოლო მეშვიდეზე — ჭერმის ხეები,  
ჭერმის ყვავილები —  
შვიდი სართული, შვიდი ცა  
შრიალებს ერთიანი სუნთქვით  
და ჰაერი შვიდი ცის ხილის  
სუნთქვით ივსება —  
ამ განვრცობილ-გატყორცნილი  
სიზმრისთვის და  
ჩემში აღძრული გრძნობებისათვის —  
მადლობელი ვარ:  
მე უკვე აღარ მახსოვდა,  
რომ ორი სიზმრის შეჯვარებით  
და მრავალი მცენარის შეჯვარებით  
მექნებოდა ბალი — სამოთხე —  
ერთი თვალისდახამხამება დროში —  
ერთდროულად — წამიერად,  
შენი ხედვის სიმაღლეებში —  
ციცაბო კლდეზე  
და შენგან — ჩემს უძირო სიღრმეში  
ამოკვეთილი.  
უფალო! მოვალე ვარ, მადლიერი ვარ, —  
შენ უნდა დაიფარო,  
ეს ყველაფერი შენითაა,  
რაც აღმოცენდა ჩემგან,  
ჩემი სხეულის გაზაფხულიდან,  
ერთი სართულით დაბლიდან —  
ჩემი საკრავიდან.

\*ჭოჭინა — ჩვილის სატარებელი

## ანარეკლი

მჩქეფარე, მოშხუილე მდინარიდან  
მხოლოდ გამოძახილი შემორჩა სსოვნას:  
თუ —  
არვინ იცოდა  
და არ გაუგიათ,  
სად წახვედით  
ჩემი ბილიკიდან;  
— როგორ ვქანაობდით

უსაზღვროებაში  
მშვენიერი სხივების მსგავსად –

ავტირდები, საცაა...  
თუ –  
ცის ღრუბელი იყავით  
მუდამ თეთრი,  
– ხეხილი და ვარდის ნერგები  
მუდამ მწვანე;  
გულის სიღრმიდან  
მუდმივი სილუურჯე ცისა –  
მაშ, სად წახვედით?..

## მ უ დ ა რ ა

1  
მოიმძინარე თავი,  
როცა არაფი არ გინდა,  
წერა არ გინდა,  
მოწევა არ გინდა...  
გძინავს 1 დღე, 2 დღე, 3 დღე, 4 დღე, 5 დღე...  
მოიმძინარე თავი,  
ვითომ არავის ნახვა გინდა;  
შენივე სიზმარი – ნებიერი ფრენა  
და შენი ნავარდი გააგრძელე  
შენს ქვეყანასა და მსოფლიოში,  
შენს ნაშენებში:  
შედი დედაქალაქთა დედაქალაქ ანიში;  
ნახე, ვინ დარჩა, ვინ აღარ არის;  
ვინ დაბერდა, ვინ ახლა დაიბადა;  
შემოიარე ბალები, შეჩერდი ქოხების წინ;  
შეხვდი დაკარგულებს  
და ჩაიძირე გრძნობების,  
ემოციების მდინარეში;  
შემდეგ გამოდი, ჩაისუნთქე ჰაერი,  
ვაშლის სურნელი,  
სომხეთის შუასაუკუნეების დასასრულს  
მიუახლოვდი;  
ნახე ცის სილუურჯე  
იგივენაირია, თუ სხვანაირი?  
მოსინჯე ღვინის გემო;  
იგრძენ ცრემლი სინათლისგანაა,

თუ სიბნელისგან?

დილაა ნათელი, თუ ღამე?  
მწვერვალზეა კარგი, თუ უფსკრულში?  
თუ ომი არ არის, რას შერებინ?  
ნახე ქუჩები თავიანთ ადგილას არის?  
ეკლესიები, ქვრივები, ქალები,  
ბავშვები, ბაბუა და შვილიშვილი...  
ვინა მეფობს?  
ვინ, როგორ, რომელი ინტონაციით?  
ფრინველის, გალობის, ცრემლის...

ბიჭები მოითმენენ, მოიცდიან –  
ფრუნზე, არტაში, ჰრაჩია, ჰოვიკი, ვარლენი  
ზუსტად ჰრიფსიკის „კრაზიროკში“ –  
1 დღე, 2 დღე, 3 დღე, 4 დღე, 5 დღე,  
6 დღე, 7 დღე...

თავი მძინარედ მოაჩვენე.  
ბიჭები მოიცდიან –  
1 დღე, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 დღე,  
10 დღე, 11 დღე...  
მოაჩვენე, რომ ამინდის ბრალია,  
თოვლი მოდის და  
საშინელი ქარიშხალია;  
ხოლო შენ, არმენ, ლეთარგიული ძილიდან  
გამოდი გარეთ,  
გამოიყოლე უბეში შენახული  
მთელი მინიატურული ემოციები,  
რომლებიც ფეთქავენ შენს სტროფებში.

2.  
ის, მტრედევით, ჰაერში კითხულობდა  
შენს ლექსებს, მელოდიურს.  
მე მეგონა, ჟანგბადის ბალიში მომაგლიჯე, –  
ხეებს, ბუჩქებს, მალლობებს, ადამიანებს  
აკვარიუმში ერეკებოდა სინათლე ელვისებური.

მე ცუდი ნიშნისა არა მჯერა.

მაგრამ როცა იკეცებიან  
შენი ქვეყნის ანგელოზების ფრთები,  
რადაცა ორმაგად სრულდება...  
და იქნებ შენამდეც მოვიდა  
ძალაგამოლეული ფრთების ტლაშუნი...

იცოცხლე ასე – ერთი ცხოვრება,  
დაიძინე ერთი უსასრულო ძილით  
დაიძინე უსასრულო ძილით  
და მზესუმზირის თვალებით გაიხსენ  
მეშვიდე ცაზე,  
სადაც მარადიული  
სული შეკქმნის პოეტ-არმენს –  
„სახელითა მამისათა და ძისათა და  
სულისა წმიდისათა. ამინ.“

\* \* \*

ეს – ქვეყანაა,  
ქვეყანაში – ჩემი ქვეყანა,  
სადაც, ერთი ნახეთ,  
ცოდვებით მოძრაობს ყველაფერი...  
მაპატიეთ მე –  
ცაში ხომ არ მოვინანიო;  
ეს – ქვეყანაა,  
ქვეყანაში – ჩემი ქვეყანა...

ვწერ სინათლესთან ერთად, –  
ალბათ შენ დაგეძებ, –  
ვწერ სიბნელეში, –

აქაც შენ დაგეძებ,  
რომ გითხრა:  
– აი, ასე, დავიბადე და ვცოცხლობ.

ვიძინებ მესამე თვალთ გახელილი.  
მეგონა, ტკივილი ავიცილე,  
მაგრამ ბავშვმა ხელახლა გაიღვიძა,  
ბავშვი ატირდა;  
ვარ დაბნეული,  
ჩემი გული მყისვე გამოჩნდა:  
მე გონებით ბრმა არა ვარ,  
ჩემი გონება შენ გაანათე.

\* \* \*

სადა გაქვს გული ქვეყანავ?  
ქვა ფეთქავს – გულია,  
ხეხილი ფეთქავს – გულია,  
მდინარე ფეთქავს – გულია,  
ფეთქავს შენი მიწურები, სოფლები –  
საზღვარი და ცა.

შენ ჩემი გულიდან ამალლდი,  
მე – შენი გულიდან,  
და მთელი ქვეყანა  
ერთი და იმავე გულის ფეთქვით  
ტრიალებს შენთან ერთად.

\* \* \*

სიყვარულით იცოცხლე  
და გაიარე;  
სიყვარული გაქრეს  
და გაიაროს.  
ნახო ერთი ახალი  
მზე,  
ნახო სინათლით  
მოხაზული ქვა;  
– ხეებს ზემოთ  
ამომსკდარი წარმონაქმნი;  
– მთვარის მტვერი –  
ყვავილის მიწა...  
სიყვარულით იცოცხლე  
და გაიარე;  
სიყვარული გაქრეს  
და გაიაროს.

# მოცარტის წერილები

მამისადამი,

ვენა, 15 დეკემბერი, 1781

ჩემო ძვირფასო მამა,

12 რიცხვში შენი გამოგზავნილი წერილი ახლა მივიღე. ჰერ ფონ დაუბრაავაიკი მოგიტანს ამ წერილს, საათს, მიუნხენურ ოპერას\*, ექვს გრავირებულ სონატას\*, სონატას\* ორი კლავირისათვის\* და კადენცას\*. რაც შეეხება ჩემსა და პრინცესა ვურტემბერგის მეცადინეობას\*, ყველაფერი დასრულდა. საქმე იმპერატორმა გააფუჭა, და რომ იცოდე, ვის, სალიერის სასარგებლოდ. პრინცესასთან ერცჰერცოგმა მაქსიმილიანმა გამიწია რეკომენდაცია და მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, რომ მოიფიქრებდა, მას სხვასთან მოლაპარაკება არ ჰქონია, მაგრამ სიმღერის შესწავლის პედაგოგად იმპერატორმა სალიერი შესთავაზა. პრინცესამ თქვა, რომ ამის გამო ძალიან წუხს. რაც შენ ვურტემბერგებსა და შენზე მითხარი, შესაძლოა, ჩემთვის საუკეთესოდაც შეტრიალდეს.

ძვირფასო მამა, შენ მოითხოვ ჩემს წინა წერილში\* დაწერილი სიტყვების ასხნას. რა მოხარული ვიქნებოდი, ჩემი გული რომ შენთვის უფრო ადრე გადამეშალა. მაგრამ შენმა საყვედურებმა დამაფრთხეს, როცა ამბობ, რომ ამ თემაზე სასაუბროდ უდროოდ დრო შევარჩიე — რაც არ უნდა იყოს, ამაზე ფიქრი არასოდესაა უდროოდ. ძალზე აღელვებული ვარ, რადგან შესაძლოა, მუდმივი შემოსავალი გამიჩნდეს, რომელიც უფრო კომფორტულად ცხოვრების საშუალებას მომცემს და შემდეგ კი — შევძლებ დავოჯანდე!

ეს იდეა ასე რატომ გაშინებს? გეძუდარები, საყვარელო მამა, მომისმინე. ვალდებული ვიყავი, ჩემი მიზნები შენთვის გამომხილა, უფლება უნდა მომცე, ჩემი მიზეზები გითხრა, რომლებიც ძალზე საფუძვლიანია. ბუნებამ ჩემში ხმა ისე აღიმადლა, როგორც სხვა ადამიანებში, შესაძლოა, უფრო მეტადაც, ვიდრე სხვა გაუთლელ ყმაწვილებში. უბრალოდ ისეთი ცხოვრება აღარ ძალმიძს, როგორც თანამედროვე

ახალგაზრდა კაცებს. პირველი ის, რომ ჩემში ბევრია რელიგიურობა, მეორე, ჩემი მეზობელი ძალიან მიყვარს და მის მიმართ ღრმა პატივისცემას ვგრძნობ, რომ ეს უცოდველი და უმწიკვლო გოგონა შევაცდინო. მესამე, ჭირის დღესავით მძულს და მეშინია ათასნაირი დაავადებების, ჩემს ჯანმრთელობაზე მეტად ვზრუნავ, რომ მეძავებთან ურთიერთობებით რაიმე ხიფათი დავიმართო. შემძლია დავიფიცო, ასეთი სახის ქალებთან ურთიერთობა არასოდეს მქონია. გარდა მაგისა, ასეთი რამე რომ მომხდარიყო, არ დავიმალავდი. ცოდვის სურვილი მამაკაცებში ბუნებრივია და მასთან წინააღმდეგობა ძნელია და ამიტომ არ შეგპირდები, რომ თუ ერთხელ შევცოდავდი, პირველივეზე გავჩერდებოდი. მიუხედავად ყველაფრისა, გეუბნები, რომ ჩემს ცხოვრებას მე სიმართლეზე ვამყარებ.

გარწმუნებ, ეს მიზეზი (როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს) საჩქარო არ არის. ჩემი დამოკიდებულება იქით მიდის, რომ უფრო მეტად მიჩნდება სურვილი, ვიცხოვრო წყნარ ოჯახურ გარემოში ვიდრე შფოთიანი ცხოვრებით. მე, რომელიც ბავშვობიდან არ ვიყავი ჩვეული, საკუთარი თავისთვის მიმეხედა და მეზრუნა ჩემს ნივთებზე, თეთრეულზე, ტანსაცმელზე და ამიტომ უფრო მეტად ვფიქრობ ცოლზე. ხშირად დროს ისე, უქმად ვატარებ, ბევრ რამეს ყურადღებას არ ვაქცევ.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ცოლი ცხოვრებას ძალიან გამიიოლებს (თუნდაც იმ შემოსავლით, რაც ახლა მაქვს), რადგან უაზრო ხარჯებს თავიდან ავირიდებ. მართალია ხარჯები სხვაც ბევრი იქნება, მაგრამ როცა

იცი, რომ ისინი აუცილებლად გაჩნდებიან, უკვე შემეზადები. მოკლედ, ცხოვრებას აზრი უნდა მიცე, ჩემი აზრით, უცოლო კაცი მხოლოდ ნახევრად ცოცხლობს. აი ასეთია ჩემი წარმოდგენები და რა ვქნა?! ამ ამბის გამო ძალიან ბევრს ვფიქრობ და ვმსჯელობ, ჩემს გადაწყვეტილებას არ შევცვლი.

ვინ არის ჩემი სიყვარულის ობიექტი? კიდევ ერთხელ გეძუდარები, არ შეშინდე. ერთ-ერთი ვე-



ბერების დებიდან არა? დიახ, ის ვებერია, მაგრამ არც ჟოზეფა, არც სოფია, არამედ კონსტანცა – შუათანა და. ერთ ოჯახში რამდენი სხვადასხვა ხასიათის ადამიანია! უფროსი და ზარმაცი, მასიური და ვერაგი ქალაი, მელასავით ცბიერი. მეორე და – მაღამ ლანგი მატყუარა, ბოროტი და კოკეტკაა. ყველაზე უმცროსი კი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, რომ ჩამოყალიბებული ხასიათი, კარგი ზნის, საყვარელი პატარა არსებაა. ღმერთმა დაიფაროს, რომ ვინმემ არ შეაცდინოს და მსხვერპლი გახდეს. შუათანა და – ჩემი ძვირფასი კონსტანცა ამ ოჯახის წამებულაი, სწორედ ამიტომ მას კეთილი გული აქვს, ყველაზე ჭკვიანი და მოკლედ მათში საუკეთესოა. მთელს სახლს ის უვლის, ყველაფერზე პასუხისმგებელი ისაა და მათი აზრით კი, კონსტანცა მაინც არაფერს აკეთებს.

ჩემო ძვირფასო მამა, უამრავი ფურცელი შემიძლია გავავსო იმ სცენების აღწერით. რასაც მათ სახლში მოვსწრებებარ. თუ გაინტერესებს. შემდეგ წერილში მოგწერ. უმჯობესია ჩემს გასაჭირზე ლაქლაქი შევწვიტო და ჩემი საყვარელი კონსტანცას ხასიათი უკეთ გაგაცნო. ის მახინჯი არ არის, მაგრამ არც ლამაზია. მის მთელ სილამაზეს ორი პაწაწინა შავი თვალი და მშვენიერი ფიგურა შეადგენს. ის ძალიან ჭკვიანი არ არის, მაგრამ საკმაოდ კეთილგონიერია, რომ ცოლისა და მეუღლის მოვალეობა შეასრულოს. ეს სრული ჭეშმარიტებაა, რომ მას ექსტრავაგანტულობისკენ აქვს მიდრეკილება, მაგრამ ამის საპირისპიროდ მის დასაცავად ვიტყვი, რომ ის გამონაცვალეებსაა მიჩვეული; მართალია, დედამის ბევრის საშუალება არასოდეს ჰქონდა, მაგრამ დანარჩენებისთვის რაღაცას ახერხებდა და არა კონსტანცასთვის. ის სიამოვნებით ჩაიცვამდა სადად, გემოვნებიანად და არა მდიდრულად, კიდევ ბევრი რამ, რაც ქალებს სჭირდებათ, ის საკუთარი ხელით აკეთებს; თმასაც ყოველდღე თვითონ იყენებს. უფრო მეტიც, იცის, სახლს როგორ უნდა მიხედოს და მსოფლიოში ყველაზე კეთილი გული აქვს. მე ის ძალიან მიყვარს და მასაც ვუყვარვარ. მითხარი, თუ შეიძლება ჩემთვის უკეთესი ცოლი ვინატრო.

ერთი რამ აუცილებლად უნდა გითხრა, როცა მე ეპისკოპოსის სამსახურიდან წამოვედი, ჩვენი სიყვარული ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო, გრძნობა სინაზესა და ყურადღებაში დაიბადა, იმ დროს, როცა მათ სახლში ვცხოვრობდი.

აქედან გამომდინარე, რასაც ვნატრობ, ეს პატარა მუღმივი შემოსავალია (რისიც, მაღლობა ღმერთს იმელი მაქვს), ამის შემდეგ აღარ შევწვიტო გთხოვო, რათა ეს საცოდავი გოგონა ვიხსნა, რომ მე და ის ერთად ვიყოთ, და მაშინ ყველა კმაყოფილი დარჩება. შენ რა, ჩემ გამო ბედნიერი არ იქნები? და, რასაკვირველია, ჩემი რეგულარული შემოსავლების ერთი ნახევარი შენია.

საყვარელო მამა, ჩემი გული გადავიშალე და ყველაფერი ავიხსენი. ამჯერად ჩემი ჯერია, რომ შენი ბოლო წერილის გამო ახსნა-განმარტება გთხოვო. შენ მწერ, რომ მე ვერც კი წარმოვიდგენდი, შენ როგორი აღელვებული იყავი, როცა შეიტყე, რომ მე ვითომ შეთავაზება გამიკეთეს და მასზე პასუხი არ გავეცი. ამ ყველაფრიდან ვერაფერი გავიგე, რადგან მსგავსი არაფერი ყოფილა. გთხოვ, შეიბრალებე შენი ვაჟი! ათასჯერ გიკოცნის ხელებს, ყოველთვის შენი მორჩილი ვაჟი,

ვ. ა. მოცარტი

### შენიშვნები:

- (1) ოპერა „იდემენო“;
- (2) სონატა ვიოლინოსა და კლავირისათვის;
- (3) სონატა დაწერა 1781 წლის ნოემბერში;
- (4) კლავირი – ფორტეპიანოს ძველი სახელწოდება;
- (5) კადენცა – ვირტუოზული სოლო პასაჟი ბოლოსკენ შესრულებული;
- (6) მოცარტს პრინცესასათვის მუსიკის გაკვეთილები უნდა მიეცა;
- (7) ეს წერილი დაიწერა ვენაში, 5 დეკემბერს, 1781 წელს: „შენ ამბობ რომ მე არ უნდა დაგივიწყო! რომ შენ ვიხარია, რომ ის არ მანიჭებს დიდ სიხარულს. მაგრამ თუ იმ აზრს უშვებ, რომ მე შენი შემიძლია დაგივიწყო, ეს აზრი გულს ძალიან მტკენს. შენ მეუბნები, ყოველთვის მახსოვდეს, რომ მე უკვდავი სული მაქვს. ამას არა მარტო ვფიქრობ, არამედ მჯერა კიდევ. თუ ეს ასე არ იქნებოდა, აბა მაშინ ადამიანებსა და ცხოველებს შორის რა განსხვავება იარსებებდა? ზუსტად იმიტომ, რომ ვიცი და მჯერა ამის, ამის გამო ვერ შევძელი ყველა შენი ოცნება ისე შემესრულებინა, როგორც შენ ელოდი. აბა, ნახვამდის.“

ცოლისადმი,

ვენა, 7 ივლისი 1791

ჩემო საყვარელო, ძვირფასო, პაწაწინა ცოლიკო!

ვიცი, რომ მაპატიებ, მაგრამ დღეში მხოლოდ ერთი წერილის გამოგზავნას ვახერხებ. მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ის უნდა შევინარჩუნო – და ჩემგან არაფრით გავუშვა. ყოველდღე დილის 7 საათზე მასთან სახლში მივდივარ.

ვიმედოვნებ, რომ ჩემი გუშინდელი წერილი უკვე მიიღე. საჰაერო ბუშტის სანახავად არ წავედი, ვფიქრობ, არაფერი განსაკუთრებული იქნებოდა. ღმერთო ჩემო! ვენის მაცხოვრებლები როგორ ზეიმობენ! ახლა ისინი მზად არიან, ხოტბა შეასხან მას, თითქმის ბოროტადაც.

შენს წერილში ისეთი რამაა, რაც ვერ შევძელი, წამეკითხა და გამეგო. შენ წერ: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი პატარა ქმარი დღეს პრატერში იქნება უზარმაზარ კომ. და ასე შემდეგ.“ ვიმედოვნებ, რომ სიტყვა „კომ“-ში კომპანიას გულისხმობ, ხოლო უზარმაზარში რას გულისხმობ, ვერ ვხვდები.

უთხარი საუერმაიერს,\* რომ მისი კერისკენ გასაქცევად არ მეცალა და პირიქით, როცა მე მასთან მივდიოდი, ის სახლში არასოდეს იყო. უბრალოდ სამი გულდენი მიეცი, ისე, რომ არ აატირო.

ერთადერთი ოცნება მაქვს, ჩემი საქმეები მოვაწესრიგო და შენთან ერთად ვიყო. ვერც კი წარმოიდგენ, უშენოდ როგორ ცუდად ვარ. ვარ აღვიწერ, რას ვგრძნობ, შენთან განშორების სიმწარეს და საშინელ სიცარიელეს, რომელიც ძალიან მტკენს გულს. ეს ისეთი გრძნობაა, ვერაფრით შეეწინააღმდეგები, და ყოველდღე უფრო და უფრო ცუდად მხდის. როცა მახსენდება, ბადენში\* როგორ ვიქორწინეთ – როგორც პატარა ბავშვებმა და ახლა კი აქ როგორ მოწყენილი და უიმედოდ მარტოდ ვარ. საქმეც კი არ მანიჭებს სიამოვნებას. სამუშაოს ხშირად ვწყვეტ და შენთვის ორიოდ სიტყვის დაწერას ვახერხებ, მაგრამ ეს სიამოვნებაც დიდხანს არ გაგრძელდება. თუკი ფორტეპიანოს მივუჯდები და ჩემი ოპერიდან\* რამეს ვიმღერებ, ეგრევე ვჩერდები, რადგან გრძნობები მერევა. მორჩა! როგორც კი წერილს მოვრჩები, უნდა სადმე გავიარო. ახალი ამბავი არაფერი მაქვს. იცი, გავგებდავ და გეტყვი, რომ ბადენის ხატება ოღნავ მოუძწიფარი იყო, რადგან სინამდვილეში ყველაფერი როგორ საწინააღმდეგოა.

წავალ და აფთიაქართან ვიკითხავ, სად შეიძლება სამკურნალო თაფლის წამალი შევიძინო და მას აუცილებლად გამოგიგზავნი. თუ საჭირო არ არის, გირჩევ ნაღების კრემი აილო, ვიდრე ბრენდი.

ნახვამდის, ჩემო საყვარელო პაწაწინა მეუღლე.

მუდამ შენი,  
მოცარტი.

### შენიშვნები:

1. ზედმეტი სახელი ფრანც ზავიერ სასმაიერის, მოცარტის მეგობარი და მოსწავლე იყო;
2. ისტორიული ოლქი სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში;
3. ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“.

მიხაელ პუჩბერგს,

ვენა, 12-14 ივლისი, 1789 წ

ძვირფასო მეგობარო და პატივსაცემო ძმაო\*,

დიდება ღმერთს! ჩემს ყველაზე უარესს მტერსაც კი არ ვუსურვებდი ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში ყოფნას. და თუ შენ, ჩემო ძვირფასო ძმაო, მიმატოვებ, ჩვენ – ყველანი დავიღუპებით, მე – შენი უიღბლო და უდანაშაულო მეგობარი, ჩემი ცოლი და ბავშვი. ცოტა ხნის წინ, როცა შენთან ვიყავი, ძლიერი სურვილი მქონდა, შენთვის ჩემი გული გადამეშალა, მაგრამ გამბედაობა არ მეყო. მხოლოდ ახლა გულის კანკალით გწერ, მაგრამ შენ რომ არ მიცნობდე, როგორი ვარ და რომ არ ვიცოდე, რომ ჩემი მდგომარეობა გადარდებს, ნამდვილად არ მოგწერდი. ვიცი, რომ ჩემი გულწრფელობის გჯერა და იმისაც, რომ ჩემი სასოწარკვეთილი მდგომარეობა ყურადსაღებია.

უფალო ღმერთო! გწერ არა იმიტომ, რომ მადლობა გადაგიხადო, არამედ იმიტომ, რომ გთხოვო! იმის მაგივრად, რომ ჩემი ვალები გავისტუმრო, ამის სანაცვლოდ, პირიქით, დახმარებას და უფრო მეტ ფულს გთხოვ! თუ მართლა გესმის ჩემი, გაიგებ ჩემს ტანჯვას, თავს არ შეგაწყენ იმის მოყოლით, რომ ჩემმა ავადმყოფობამ უსახსროდ დამტოვა.

მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი საბრალო მდგომარეობის მიუხედავად, გადავწყვიტე, კონცერტები სახლში გამემართა, რომ იქნება არსებული ხარჯები რამენაირად მაინც ამენაზღაურებინა, თან შენი მეგობრული თანადგომის იმედიც მქონდა, მაგრამ ეს გეგმაც ჩამეშალა. საუბედუროდ, იღბალი ჩემს წინააღმდეგაა, არა მარტო ვენაში, ფულის შოვნა არსად არ შემიძლია.

ორი კვირის წინ ჩემი ხელმძღვანელების სია გავაგზავნე და მხოლოდ ერთი სახელი დარჩა – ბარონ ვან სვიტენის. 13 რიცხვში ჩემი საყვარელი, პატარა ცოლი უკეთესობისკენ წავიდა, მეც ალბათ კვლავ შევძლებ მუშაობას, ნეტა ეს ყველაფერი თავს არ დაგვტყდომოდა. რაც არ უნდა იყოს, ხალხი მამშვიდებს და მეუბნებიან, რომ ჩემი ცოლი უკეთ არის, თუმცა ორი დღის წინ ძალიან ცუდად იყო და მეც თავზარდაცემული და სასოწარკვეთილი ვიყავი. გასულ ღამეს, 14-ში, მას კარგად ეძინა და თავს უკეთ გრძნობდა, დილით უფრო იმედიანად ვიყავი. ვგრძნობ, მუშაობის სურვილი მკლავს, მაგრამ ამწამს მე სულ სხვანაირი რაღაც მაწუხებს.

ჩემო ძვირფასო და საყვარელო ძმაო, ჩემი ახლანდელი მდგომარეობა უკვე კარგად იცი, მაგრამ ამასთანავე იცი, რა პოტენციალი მაქვს. ამიტომ მოდი, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც დაგვგებეთ, ასეა თუ ისე, გესმის ჩემი. ამ პერიოდში მე ექვს მსუბუქ სონატას\* ვწერ კლავესინისთვის, პრინცესა ფრედერიკასთვის და ექვს კვარტეტს\* მეფისთვის. კოხელუჩი ფარავს ხარჯებს. ჩემი შრომა შედეგს გამოიღებს. ერთ ან ორ თვეში ჩემი ბედი უნდა გადაწყდეს, თუმცა, ჩემო საყვარელო მეგობარო, ჩემი განცდების მიუხედავად, შენ არაფერს რისკავ. ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, შეძლებ თუ არა, რომ კიდევ მასესხო 500 გულდენი, სახამ ჩემი

საქმეები არ მოგვარდება, მე გარანტიას ვაძლევ, რომ დაგიბრუნო თვეში 10 გულდენი და ამის ვალდებულებას ვიღებ ორ-სამ თვეში. მთლიან თანხას მაშინ დაგიბრუნებ, როცა შენ მოითხოვ, თუ არადა, ვადასტურებ, რომ შენი მევალე ვიქნები მთელი სიცოცხლის მანძილზე. ვიცი, რომ ვერასოდეს შევძლებ სათანადოდ მადლობა გადაგიხადო შენი მეგობრობისა და სიყვარულისთვის. მადლობა ღმერთს, სულ ესაა. შენ უკვე ყველაფერი იცი, გთხოვ, ნუ გაბრაზდები, თუ ფიქრობ, რომ შენი ნდობით ვსარგებლობ და გახსოვდეს, რომ თუ არ დამეხმარები, მაშინ შენი მასონი მეგობრის ყველაფერი, პატივისცემა, სულის სიმშვიდე და შესაძლოა, სიცოცხლეც განადგურებული იქნება.

მარად შენი მადლიერი მსახური, ნამდვილი მეგობარი და ძმა,

ვ. ა. მოცარტი.

სახლში, 4 ივლისი, 1789

ოჰ, ღმერთო! – მიჭირს ამ წერილის გამოგზავნა, მაგრამ ეს უნდა გავაკეთო! ავადმყოფობა რომ არ დამტყდომოდა თავს, არ დამჭირდებოდა უსირცხვოდ მეთხოვა ჩემი ერთადერთი მეგობრისთვის. მაგრამ იმედი მაქვს, მაპატიებ, რადგან კარგად მოგეხსენება ჩემი მდგომარეობის კარგი და ცუდი მხარეც. ცუდი დროებითია, ხოლო კარგს კი ხანდახან წუთიერი ცუდი შეანელებს ხოლმე. ნახვამდის. და ღვთის გულისათვის მაპატიე, გთხოვ, მაპატიე! – და – ნახვამდის!

## შენიშვნები:

- (1) მიმართავს, როგორც მასონ ძმას, მოცარტი მასონთა ლოჟის წევრი გახდა 1784 წელს.
- (2) მან ამათვან მხოლოდ ერთი დაასრულა: კლავირისთვის 576 მისი ბოლო იყო.
- (3) მან დაასრულა მხოლოდ სამი: კლავირისთვის 575 (1789წ.), კლავირისთვის 589 და 590 (1790 წ.).

*ინგლისურიდან თარგმნა მაკა სეფაშვილმა*

*ანთოლოგიიდან „კომპოზიტორების წერილები“ (გამოიცა 1946 წელს ნიუ-იორკში, შემდგენლები და რედაქტორები – გერტრუდა ნორმანი და მირიამ ლუბელ შრიფტი).*



# ილია ჰინი დივისი



უელსელი პოეტი და პროზაიკოსი უილიამ ჰინი დივისი (1871-1940) ნიუპორტში (მონმუტშირი), მეტრატეირის ოჯახში დაიბადა. ახალგაზრდობაში გაემგზავრა ამერიკაში, ნიუ-იორკში, იქიდან ქლონდაიკში გადავიდა. ცხოვრების დიდი ნაწილი მანწალობაში გაატარა. კანადაში უბედური შემთხვევის გამო დაკარგა ფეხი, რის შემდეგაც ლონდონში დაბრუნდა. 1905 წელს გამოაქვეყნა ლექსების პირველი კრებული *The Soul's Destroyer*, რომელმაც ბერნარდ შოუს მოწონება დაიმსახურა. შოუს შუამდგომლობით მას მცირე პენსია დაენიშნა. 1923 წელს დაქორწინდა. მეუღლე ემა ქმარზე ბევრად უმცროსი იყო.

დივისი თავისი დროის ერთი უპოპულარესი პოეტთაგანი იყო. მან თავი მთლიანად ლიტერატურას მიუძღვნა. სიცოცხლეში გამოოსცა პროზაულ თხზულებათა 10 ტომი, რომელთა შორისაა ორი რომანი და ავტობიოგრაფიული

ხასიათის ნაწარმოებები და ლექსების 26 კრებული. დივისის მიაკუთვნებენ ე. წ. გეორგიანელ პოეტთა (Georgian Poets) ჯგუფს. ასე უწოდეს პოეტებს, რომელთა ლექსები შევიდა ანთოლოგიების ხუთტომეულში სახელწოდებით: „გეორგიანული პოეზია“.

პირველი ტომი სერიისა, რომელთა გამოცემლები ჰაროლდ მონრო და ედუარდ მარში იყვნენ, ინგლისის მეფის ჯორჯ მეხუთეს გამეფებიდან მეორე წელს გამოიცა, და ეს იყო 1912 წელს. ის მოიცავდა 1911 - 1912 წლებში შექმნილ პოეზიას. გამოქვეყნებული პოეტური ნიმუშების უმთავრესი მახასიათებლებია: რომანტიზმი, სენტიმენტალიზმი და ჰედონიზმი. ჯგუფის ყველაზე რელიგიური წარმომადგენლები არიან: რუპერტ ბრუკი, რობერტ გრევისი და დევიდ ჰერბერტ ლოურენსი.

დივისი წერს უბრალო, შეუმჩნეველ ადამიანებზე. მისი ლექსი ბუნებრივი და მსუბუქია, ხასიათდება მოულოდნელი დაბოლოებებით, რაც ახლებურად დაგვანახვებს თვალმიჩვეულ მოვლენებს. პოეტის შემოქმედების მთავარი თემებია: ბუნების სურათები, სოფლის პეიზაჟი, ყოველდღიური ყოფა, ცხოვრების ჭირ-გარამზე ფიქრი.

დივისის პოეზია ქართულ ენაზე თითქმის არ არის თარგმნილი. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ მისი ერთი ლექსი – „მოცალები“ რუსუდან ბრეგაძისეული თარგმანი.

## მოცალები

## მისნობის ჟამი

ღირს კი სიცოცხლე, თუ ზრუნვით სავსეთ  
დრო აღარ გვრჩება, ცხოვრებით დავტკბეთ?

მისნობის ჟამი ჩამომდგარა,  
მთვარის ელვარე  
ჯადოსნურ ჯოხის დაქნევითა გაქვავებულა  
ხე ტანმაღალი, შეფოთლილი,  
აღარ რხეულა.

დრო აღარ გვრჩება, ხეთა ტოტებქვეშ  
ციკანთ თუ ბატკანთ დარად გავშტერდეთ:

გვრძნობ ირგვლივ საგნებს,  
თვალისჩინი მერთმევა თუმცა,  
დედაბუნებას ჩემნაირად შეჰკვრია სუნთქვა.

დრო აღარ გვრჩება, ვუცქიროთ ციყვსა,  
ტყეში, ბალახში ვით მალავს თხილსა:

ჩქამი არ ისმის, ჯადოქმნილი  
ყოველი მოსჩანს,  
ძილი გაუტყდათ თავებს, ჩიტებს,  
ცხენსა თუ ძროხას,

დრო აღარ გვრჩება, ვუმზიროთ წყაროს,  
ვარსკვლავითა რარიგ კიაფობს:

სჯერათ, წამისწინ სასწაული  
უეჭვოდ მოხდა,

დრო აღარ გვრჩება, ვჭვრეტდეთ ლამაზმანთ,  
მათ ნატიფ ტერფთა, როკვითა მავალთ:

აყურადებენ, მოელიან ნიშანსა, როცა  
მიწიერს უნდა დაუბრუნდნენ

დრო აღარ გვრჩება, მანამ ვუყუროთ,  
სანამ ღიმილი ბაგეთ გაუპობთ?

სულდგმულნი ყოფას.

არ ღირს სიცოცხლე, თუ ზრუნვით სავსეთ  
დრო აღარ გვრჩება, ცხოვრებით დავტკბეთ.

## სილამაზე

სამი რამეა ქვეყანაზე ისე ლამაზი,  
 თვალს რომ ვერ მოსწყვეტ,  
 მონატრებ ხილვადა კაცი:

ერთი ნავია აფრიანი, გასული ზღვაში,  
 ფრინველთა დარად ფრთებს რომ  
 ლალად შლის;

მეორე ელვა მზეკაბანის, პურის ყანაში  
 მზისა და ქარის ალერსი თუ თამაშ-თამაში;

მესამე ტურფა ყმაწვილქალი,  
 სახეკეკლუცა,  
 ყრმას რომ შეჭხარის,  
 მყოფს ჯერაც მუცლად.

## წუთისოფელი

როს გაზაფხულზე პაწაწინა იები ლურჯად  
 ფურისულებში ჩაკარგულნი აქა-იქ ჩანან,  
 როს მწვანე შტოზე ჩიტუნები  
 გალობენ ლალად,  
 ახალჩენილი ღელეებიც ამღერდნენ უნდა;

როს იფარფატონ უნდა გან-გან  
 ჰეპლებმა მალე,  
 თითქოს იურჩეს და გაუსხლტნენ  
 დედაბუნებას,  
 კვლავ ძველებურად უნდა მოჰკრათ  
 თვალი ფუტკრებსაც,  
 ტკბილსურნელოვან ხეობებში,  
 ტაფობთა თავზე;

როს ქობამოშლილს მოჰგვანან მთვარეს  
 ვერცხლისებრ თეთრი ღრუბლის ფთილეები,  
 როს ეს ქვეყანა ასე ხარობს,  
 ჩემთვის ყოველი  
 მალე, სულ მალე აიფარებს ღამის პირბადეს.

სარკეს როცა ვუმზერ,  
 ვხედავ მხოლოდ თავსა,  
 თუ ჩავხედავ გუბეს —  
 საოცრებას მრავალს.

## შარახვეტია

მოიზლაზნება ვით ლოკოკინა,  
 ლამაზ, გრძელ ვერცხლის ბილიკებს აგებს,  
 მეც ისე ზანტად ვიძვრი, მოვდივარ,  
 თუმც ნაფეხურებს მიწას ვერ ვაჩნევ.

ვარ უტყვი ჩიტი, როს იცვლის ბუმბულს,  
 ყმაწვილებივით ვიძინებ ადრე,  
 დღეში ვჯერდები ორიოდ ყლუპ ლუდს  
 და ვერ ვშორდები ქალსა ერთადერთს.

ოჰ! ეს ცხოვრება, ფუჭი, ზოზინა,  
 მოსაწყენი და ერთფეროვანი!  
 რა უსაქმოც ვარ, შარახვეტია,  
 ისეც ყასიდად ვმღერი თავმკვდარი.

## ძალი სიყვარულისა

არ გთხოვ, მიქროლო ვით ნიაგმა,  
 თუნდა გრიგალმა,  
 ხომალდთ რომ ახლავთ ნავსადგომსა  
 თუ გამლილ ზღვაში,  
 თუკი არ მოხვალ, არ მეახლვი და არა გნახავ,  
 არ მაგონდები, არ ვისურვებ შენთანა კავშირს.

სანამ თვალს მოგკრავ, მორაკრაკებ  
 ჩემსკენ ვით წყარო,  
 ყინვას დაუზრავს ჩემი სულის ნაკადულები,  
 მაგრამ მალევე გალხვებიან ყინულნი, კარგო,  
 შენი ხმის სმენით, ყურთ მოწვდომით  
 და გაგონებით.

შენს სიახლოვეს ფლოტილიის ვარ  
 ამირბარი,  
 ზღვაში გემების ჩადირვისა მაქვს ნეტარება,  
 ამიჩქროლდება ვენა-ძარღვი და  
 სისხლი ჩქარი  
 ჩქევას დამიწყებს, ჩემს კაკალ გულს  
 უმაღ მისწვდება.

## ფიქრი

სარკეს როცა ვუმზერ,  
 ვხედავ მხოლოდ ბრიყვსა,  
 თუ ჩავხედავ გუბეს —  
 სახეს ბრძენკაცისას.

## ფანტაზიის სახლი

უტკბესო ბავშვო, ფანტაზია, მოდი, მიაბე,  
ან როგორ გაჩნდი, ან ვინ იყვნენ

შენი მშობლები;  
ჰქონიათ განა ოქრო-ვერცხლი, ქამხა-ატლასი,  
ეზო-მამული, სასეირნო წინ ვრცელი ბალით,  
ზურმუხტისფერ და ძველთუბელებს  
ციხესიმაგრით?

სიღარიბეში, ქოხში გაჩნდი ამ ქვეყანაზე,  
ჩემი კეთილი მამა იყო მარტოდენ აზრი,  
ძვირფას დედიკოდ მომეგვლინა მიამიტობა;  
და განცვიფრების, გაოცების ველურ ნაყოფზე  
ავიდგი ფეხი, გავიზარდე და ვისაზრდოვე.

## შუაზაფხულის ღამის ავღარი

ღამეა, ელვა, ქუხილი, წვიმა.  
ვჭვრეტ მრუმე ღამეს,  
დაფჩენილს პირსა;  
კბილებს ელვარეს,  
წამით ჩენილსა;  
ისმის ხორხოცი  
და ცრემლი ღხენის  
ყვავილს თუ ჩიტსა  
ზედ ედინება  
ღვარად გულმკერდსა.

*ინგლისურიდან თარგმნა მაია ცერცვაძემ*

## ჩვენს იმანში:

\* \* \*

ვღგავარ და გავცქერი ჩვენს ჭალებსა და იორს. ისევ მწვანედ გამოიყურება ყველაფერი, მაგრამ მაინც რაღაც დაცოტავებულად, გაღარიბებულად მეჩვენება მიწა, მობუზულადაც კი. ვერ შეძლო მან ჩვენი შვილების დაპურება, დავანება, და ჩვენც გავიქეცი, გავიფანტენით აქეთ-იქით. ზოგნი ახალ მიწებსაც კი ვეძებთ სამყაროში.

ის კი მაინც გველის, აი, ასე, მორიდებულად...

\* \* \*

აპრილ-მაისში ჩვენი მინდვრები გაუღენთილი იყო ქინძის სურნელით, მაისის ბოლოს აყვავდებოდა პური, ივნისში მწიფდებოდა მარწყვი. ამათ სურნელებას რა შეედრება ქვეყნად! სად არის, სად წავიდა ყოველივე ეს? სად წავიდა მზეკაბანი, კურდღელაურობა, ზღვასავით ღელვა! უფხო პური ხომ აღარ მიმოიქცევა ნიაზე ადრინდებურად! სადღა ისმის მწყერების „ქვიტკირო“, ან მწყერჩიტების ჭყრიალი, ან ლურჯი ყაპყაპების ყაპყაპი! ჰერბიციდებმა მოსპეს, მანქანებმა დააფრთხეს, ბოლმა ჩაახშო ის სილამაზენი და სურნელებანი, ძმებო!

\* \* \*

გაგრა, ჩამოვედი თუ არა, სიზმარი ვნახე: ჩვენებიც იქ იყვნენ — დედაჩემი, ჩემი ბიძაშვილი ზუტა, ჩემი გამზრდელი გვარდიანთ ქეთუა. ვეკითხებოდი, — თქვენ რაღა გინდათ-მეთქი აქ! გათენდა, დარდად ამყვა, — რა იყო, რატომ ვნახე ისეთი რამე? გავედი ზღვისპირა სახლის გვერდზე და რასა ვხედავ: ჩვენი ვენახის ყვავილები, ბევრი, ბევრი, როგორც ვენახში იცის ხოლმე — ნამგადაფრქვეულები, გახარებულები.

უცებ გადამეყარა დარდი.

## სიყვარულის წყარო

## თამაზ ბაბიოშვილი



კაცი წყაროს ფლობდა.  
ჩამოიარა მგზავრმა, სთხოვა:  
– ერთი ყლოუბი დამალევიწინე, სიცხით ვიწვი.  
კაცი წყაროს გადაეფარა და მგზავრი ცივი უარით გაისტუმრა.  
კაცს ამ დროს სინდისი შეესწრო და უსაყვედურა:  
– რატომ არ დაალევიწინე, მან ხომ ძალიან ცოტა გთხოვა...  
– რა ვიცი, მეგონა, ბევრი უნდოდა.  
კაცს წყარო მალევე დაუმრა.  
გავიდა ხანი.  
ჩამოიარა იგივე მგზავრმა და კაცს ისევ სთხოვა:  
– ერთი ყლოუბი იქნებ გამოიმეტო, სიცხით ვიწვი.  
კაცი შეიშმუშნა.  
– მოდი და დალიე რამდენიც გინდა.  
მგზავრი დამშრალ წყაროს დაეწაფა და ერთი ყლოუბი ძლივს დაადინა, მაგრამ მოსულიერდა.  
ამ დროს კაცს სინდისი შეესწრო და უთხრა:  
– რა ადვილად გაიმეტე ყველაფერი, როცა ალა-რაფერი გქონდა, მაგრამ შენთვის „არაფერი“ მისთვის „ყველაფერი“ აღმოჩნდა.  
კაცმა პასუხის თქმა ვერც კი მოასწრო, რომ წყარომ ისევ ჩუხჩუხი დაიწყო.

## ნი-ორი ორი-ონიდან, ანუ გაპარული გოგო

ენამწარე კი ხარ, მაგრამ, სინამდვილეში, ძალიან კარგი ვინმე ხარ, რამდენი სიკეთის მოტანა შეგიძლია, შეიძლება ითქვას, ადამიანების პირადი მცველი ხარ, ავადმყოფთა მკურნალი, მოკლედ – ჯანმრთელობის ელექსირი... თან რა გრძნეული არომატი გაქვს... გამორჩეული ყველასგან... რა თეთრი კაბა გაცვია, ანგელოზს ჰგავხარ... ვიცი, ჰო, ვიცი, რომ დედამიწიდან ამოხვედი, მწვანე ფოჩები ამოიტანე, მიწის ქვეშ კი სრულყავი შენი არსება, იქ დაგვირგვინდი, შეიმოსე სიფრიფანა ფურცლებით... ვიცი, ნიორი გქვია, ჰო, ნი-ორი, ისიც ვიცი შენ შესახებ, რომ ზაფხულიდან გაზაფხულამდე მსახურებ, მაგრამ გაზაფხულზე რაღაც გემართება... საიდუმლო სულა ხორციელდება; გინდა, რომ აქ, მიწაზე იყო, შენიანებთან, ისევ მათ შეეწიო საქმეებში, მაგრამ რაღაცა ძალა ზემოთ გეწევა. ამ დროს თუ დაგიჭირეს და მიწაში ჩავლეს, მაშინ ყველაფერი ჩვეულებრივად წარიმართება, ანუ შენ ისევ სასიცოცხლო, მარადიულ წრებრუნვაში

ჩაერთვები, ნახევარი წელიწადიც არ დაგჭირდება, რომ განახლებული დაუბრუნდე ამ ქვეყანას, მაგრამ ეს ხომ, ვხვდები, რალაცნაირად გლის და ხანდახან, რომელიმე გაზაფხულზე მაინც სურვილი გიჩნდება, რომ არავინ, არავინ შეგეხოს, გაფუებული და გამთბარი მიწით არ დაგვარონ და ისე, ისე, რომ ვერვინ გაიგოს, სადღაც... გაიპარო...

ადრე სულ მიკვირდა, რომ იტყოდნენ, ნიორი გაიპარაო, ახლა შენი მესმის, ჩემო კარგუნია, შენ ხომ თეთრი კაბა გაცვია და მწვანე თვალები გაქვს... თეთრი კაბა... რომელსაც შენი აქ ყოფნის ნიშნად, ტოვებ და შენ თავად კი... უსხეულო და მსუბუქი, სადღაც, სადღაც მიიპარები... ერთი შეხედვით, ასე ჩვეულებრივი და კაცობრიობაზე მოამაგე, ძალიან რომანტიკული და უცნაური ხარ... შენგან თუ რამე, ჩემდა უნებურად, შემომესწავლება, დაე, ყველაფერი გაზაფხულს დაბრალდეს!...

## ორი ძაფი

თუ ათავისუფლებ ერთს, თავისუფლდება მეორეც, როცა ისინი ერთმანეთზე არიან გადაჯაჭვულნი.

ერთ უჯრაში ორი, ერთმანეთში გადახლართული გრძელი ძაფი ცხოვრობდა – თეთრი და შავი.

გოგონას თეთრი ძაფი სჭირდებოდა. თეთრი ძაფის გორგალი რომ ვერსად ნახა, კუთხეში მიყუჟულ ამ გადახლართულ ძაფებს მიაგნო; ხელში აიღო, დახედა:

– თეთრო ძაფო, კაბა მაქვს გასაკერი, შენი დახმარება მჭირდება, მაგრამ ვხედავ, გადახლართულხარ ცუდად...

– მართალი ხარ, გამომხსენი აქედან და დაგეხმარები, – უთხრა თეთრმა ძაფმა.

გოგონამ კალთაში ჩაიღო ერთმანეთში აბურღული ძაფები და პაწია თითებით თეთრი ძაფის გამოხსნა დაიწყო.

დიდხანს იწვალა, იწვალა, მაგრამ ბოლოს თეთრი ძაფი მაინც მთლიანად გამოაცალკევა შავი ძაფისაგან. თეთრმა ძაფმა შვებით ამოისუნთქა.

– აუუჰო! – გაიზმორა გათავისუფლებული შავი ძაფიც, გოგონას მუხლებთან დაეცა, დიდი მადლობა გადაუხადა და სწორ გზას დაადგა.

გოგონამ ორივე ძაფის მადლი მოისხა; კაბაც დაიგვირისტა.

## პირველი ამოსვლა

დიდი ხნის წინათ, უდაბური ტყის პირას ცხოვრობდა ძალიან კეთილი და ყოჩაღი კაცი, რომელსაც ჩვევად ჰქონდა ქცეული გამხმარი ხეების ერთად შეგროვება. ეგონა, დაღუპულ ხეს მწუხარებას შეუშუბუქებდა, თუ ხელს შეახებდა და ფრთხილად მიიტანდა უსიცოცხლო ხეების გვერდით. ყოველი მათგანის დაღუპვა მწუხარებას ჰგვრიდა.. ღმერთს ევედრებოდა, მათ ჭირისუფლად მაინც მამყოფყო. უკვდავებას ნატრობდა კაცი, თუმცა სურვილს ქორფა ბალახსაც კი არ უმხელდა (აღამიანი ხომ, მის გარდა, იქ არავინ ცხოვრობდა).

ხანი გავიდა. მორების უზარმაზარი მთა დასცქეროდა თმათეთრ ბერიკაცს. მაინც დაბერებულიყო...

ერთ დღესაც, ტყიდან ხე რომ გამოჰქონდა, მძიმე ეჩვენა, ძალიან მძიმე. სიკვდილის მოახლოება იგრძნო... მაინც მიიტანა მთის ძირამდე. დანახებით გადახედა მიდამოს, ფიქრით ყველა ხეს სათითაოდ ჩამოუარა, მიეფერა. გული რომ იჯერა, მორებს შორის მუხის დიდი ფულურო მოძებნა, შიგ შევიდა და ცრემლებს გზა გაუხსნა. ნაღვერდალივით ცხელი იყო გულიდან წამოსული ცრემლი; გამხმარ შემას დაეცა... ხანძარი გაჩნდა... მას შემდეგ იწვის იქაურობა...

ალის მსურვალეა ჩვენამდე აღწევს.

კაცმა გულით ინატრა უკვდავება.

კაცს თავისი სიცოცხლე სხვებისთვის სჭირდებოდა.

კაცი მზედ იქცა.

## ხმის დედოფალი

ძალიან დიდი ხნის წინათ ლერწმის ყვავილიდან იშვა ცეროდენა, უმშვენიერესი ხმის დედოფალი. ის ძალიან კეთილი იყო და არ სურდა, რომ ერთადერთი ყოფილიყო. ბრძანა, ლერწმის ყველა ყვავილიდან მისი მსგავსი დედოფალი შობილიყო. ასე გაჩნდა უამრავი ხმის დედოფალი. ერთმანეთისგან ხმის ტემბრით თუ გაარჩევდით, თორემ სულ ერთნაირები იყვნენ.

გაჩნდებოდა თუ არა ხმის დედოფალი, იმ წამს ადამიანს ეძებდა, რომ მასში ჩასახლებულიყო და მასთან ერთად ეცხოვრა. ადამიანები კი, ხომ იცი, როგორები არიან, დიდები – განსაკუთრებით, დაგიწყებენ, რატომო,

რადლო, არ მიხდოდა და ამიტომ, უმეტესად, ისინი უფრო ჭკვიან და სათნო არსებებში – ბავშვებში სახლდებოდნენ, მუსიკის ენას ჩუმად ასწავლიდნენ. ასეთი ბავშვი რომ გაიზრდებოდა, მომღერალი ხდებოდა. ხმის დედოფალი გალობდა ადამიანის ენით და მსმენელს ატკობდა.

მომღერალი კი, განსაკუთრებით მაშინ, თუ სახელოვანი გახდებოდა, ხმას ძალიან უფრო ხილდებოდა, უფრო სწორად კი, ხმის დედოფალს ეფერებოდა, სითბოს არ აკლებდა, თბილ-თბილი რძით და თოხლო კვერცხით უმასპინძლებოდა, მაგრამ თუ სათანადო პატივს არ მიაგებდა, მაშინ ხმა ეკარგებოდა და მომღერალი ხმის გარეშე რჩებოდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ხმის დედოფალი დაბრუნებია ძველ პატრონს, მაგრამ ეს იშვიათად, რადგან, ხმის დედოფალი რაკი თავისი ნებით სახლდებოდა ადამიანში, უფლება ჰქონდა, თუ არ მოეწონებოდა სამყოფელი, თავისი ნებით წასულიყო მისგან და სხვა, უფრო ღირსეული პატრონი ეპოვა.

ხმის დედოფალი ისე ციცქნა იყო, მის წასვლა-მოსვლას ვერავინ ამჩნევდა, მხოლოდ სმენით აფასებდნენ და სცემდნენ თავიანთს.

ადამიანს თუ კარგი ხმა ჰქონდა, ღვთის რჩეულად თვლიდნენ და ეს ნამდვილად ასე იყო, რადგან ღვთის მეტმა, მართლაც, არავინ იცოდა, რა ეწადა ხმის დედოფალს უცნაურესობას!

## მთვარისკაბიანი გოგონა

მზე ამოვიდა ბრიალა; გოგონას აჩუქა უცხო თვალის ჩინი, იმის მხედველი, რასაც სხვანი ვერ აღიქვამდნენ და გოგონამ ძალიან ბევრი რამე დაინახა. რა ეთქმოდა გოგონას მზისთვის? – მხოლოდ დიდი მადლობა გულუხვი საჩუქრისათვის.

მზეს ისე შეუყვარდა გოგონა, რომ ყოველ თვე ახალ კაბას უგზავნიდა. ყველა ოქროცურვილი იყო. გოგონა იცვლიდა კაბებს. ახალი კაბა ყოველთვის პაწია იყო, მერე თანდათან იზრდებოდა, ბოლოს, თვის დასასრულს, კვლავ პატარავდებოდა...

გოგონას გული სიხარულით ევსებოდა; ასეთი კაბა ხომ მას ერთადერთს ჰქონდა.

ღამით, როცა მზეს ეძინა, გოგონა, თავის ციურ კაბაში გამოწყობილი, ცაზე დაეხეტებოდა და ღელამიწას ანათებდა ხოლმე.

არავინ იცოდა, რომ ეს კაბა დიდი მზის გამოგზავნილი იყო და ისიც არავინ იცოდა, ასეთ ძვირფას სამოსელში გამოწყობილი გოგონა, წყვდიადით მოცულ არემარეს ნათელს რომ ჰფენდა, ამით სამადლობელს უხდიდა შორეულ, ზეციურ მეგობარს...

ან სხვა რა შეეძლო...

სიყვარული ხომ მიიღება და გაიცემა კონკრეტული მისამართით და, ამავე დროს, უმისამართოდაც – საყოველთაოდ, ღიად, უმურველად – ეს მზისგან ისწავლა.



**ივანე ჯავახიძე,**


საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი

**შეხვედრა  
გიორგი ოჩიაურთან**

(დასასასრული.  
დასაწყისი იხ. „ანეული“, 3, 4, 2016 წ.)

**ი.ჯ. – თქვენი მეგობრების წრე**

**გ.ო.** – დიდი ჯგუფი ჩემი მეგობრებისა, ეს არის ჩემი დიდი განცდის საგანი. ადრე წავიდნენ უახლოესი მეგობრები, რომლებიც არა მარტო ჩემთვის იყვნენ მნიშვნელოვანი. სატრაბახოა და ვტრაბახობ კიდევ, რომ თითქმის ყველა მათგანი საქართველოში ცნობილი პიროვნება იყო. მხატვრებში მეგობრობა ცოტა რთულია. მყავდა რამდენიმე, რომელთაც დღევანდელ სიტუაციაში დავშორდი, ეს პოზიციები მძიმე დღეებში ისე გაიყო, გამჟღავნდა, რომ გვეუხერხებოდა ერთმანეთის ნახვა, ერთმანეთთან ურთიერთობა და აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა პოზიციაზე ვიდექით არა მარტო იმ დღეებში, როგორც ჩანს, მანამდეც, ეს დადასტურდა, ამიტომ ბევრი მეგობრის საქციელი ჩემთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და დავშორდი. ვისთანაც მაქვს ურთიერთობა ჩემს მეგობრებთან, ისინი მიტანენ, თუ მე ვიტან მათ, პოზიცია უცვლელი მაქვს. ეს ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია მგონია, მათთვის ეს პოლიტიკური პოზიციაა. შეიძლება ორივე ერთია, ამის ახსნა რთულია, მაგრამ ამის შეცვლა წარმოუდგენელი მგონია. წარმოუდგენელია, ნორმალურ ადამიანს სხვა უნდოდეს საქართველოსათვის, რაც მე მინდა. ეს არის ყველაზე პრიმი-



**გიორგი ოჩიაური**

იტოული, ყველაზე უბრალო, ყველაზე ადამიანური მდგომარეობა რაც მე მაქვს. მეჩვენება, რომ ყველა სხვა პოზიცია არის პოლიტიკური ან სოციალური გარყვნის შედეგი. ამას ჩემთვის გამართლება არ აქვს. ვიტანთ და ალბათ, მივიტანთ ბოლომდე ამ ჩვენს ურთიერთობებს, რადგან უკვე ნათესაობაშია გადაზრდილი და ამას ვეღარ დავარღვევთ. ახალ მეგობრებს ვეღარ შევიძენ, ამ ასაკში ეს აღარ ხდება.

**ი.ჯ. – ხელოვნების რომელი დარგი გიყვართ?**

**გ.ო.** – ჩემი აზრით, სახვითი ხელოვნება და მუსიკაა ხელოვნება. თუ ლიტერატურასაც გულისხმობთ, ჩემთვის, რა თქმა უნდა, ლიტერატურა ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმაა ყოფის. მაგრამ, მაინც, ყველაზე მაღალი ფორმა სულიერი გამოხატვის, ყველაზე შეუცნობადი სფერო, ალბათ მუსიკაა, ვგულისხმობ მხოლოდ კლასიკურ მუსიკას. ეს არის ყველაზე ღრმა ხელოვნება. არ ვთვლი, რომ მუსიკოსები ყველაზე ღრმა ადამიანები არიან, ეს უცნაური ფენომენია. ღრმა ხელოვნებას და ღრმა მუსიკასაც ხშირად არცთუ ისე ღრმა პიროვნებები ქმნიდნენ. სახვით ხელოვნებაში პიროვნებებიც დიდები იყვნენ. დიდ ხელოვნებას ვგულისხმობ. ახლა მიქელანჯელო, ლეონარდო კაცობრიობისათვის ისეთი ფენომენალური მოვლენებია, როგორც მუსიკას არ ჰყავს, ვერ შევადარებ მათ ვერცერთ სიმაღლეს. როლანს აქვს მაგალითად, მიქელანჯელო, ბეთჰოვენი. ბეთჰოვენი შეიძლება ალბათ, ვაგნერიც, დანარჩენი პიროვნებები ამ სიმაღლისა მუსიკალურ სამყაროს არ ჰყავს.

თვითონ მუსიკაა სულიერი მდგომარეობის ძალიან მაღალი გამოვლენა, ირაციონალური. შეუცნობადის გამოვლენის ყველაზე დიდი შანსი აქვს მუსიკას.

**ი.ჯ. — როგორ უყურებთ თქვენს შვილსა და შვილიშვილს, ხელოვნებაში რომ წავიდნენ?**

**გ.ო.** — ეს ხელს უშლის მათ. იძულებით ცენზორივით ხარ. არ მაქვს ცენზორის ბუნება, მაგრამ ისინი როგორც ფიქრობენ, მაქვს და შევზღუდე. ამას ძალიან განვიცდი. როგორც ჩანს, მათ აქტივობას შევუშალე ხელი.

**ი.ჯ. — სახელოვანი მამის შვილობა ზომ არ მოქმედებს ამ შემთხვევაში?**

**გ.ო.** — არ ვიცი რამდენად აქვს ბავშვს სახელოვანი წინაპრის განცდა, ან ვარ თუ არა სახელოვანი, მაგრამ მეტი გამოცდილება რომ მაქვს, ფაქტია. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ცალკე რომ გვეცხოვრა, შეიძლება არ შემეზღუდა. ისე აშკარად ნიჭიერები არიან და ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. ისე არის ერთი კანონზომიერება, თუ გვარში ერთი მწერალი ან მხატვარი იბადება, უმრავლეს შემთხვევაში, შემოქმედებითი პროცესი გვარში აღარ გრძელდება.

**ი.ჯ. — დავუბრუნდეთ ვაჟას...**

**გ.ო.** — ჩემთვის იგი იმდენად ბუნებრივია, რომ რაიმე განსაკუთრებული როლი ვაჟას ჩემს ცხოვრებაში არ ჰქონია, რადგან იმ სამყაროში გავიზარდე. ეს ჩვეულებრივი ყოფა იყო ჩემთვის. მახსოვს, ჩვენთან იზრდებოდა დეიდაშვილი, ჯუთიდან წამოიყვანეს პატარა, მოსისხლეობის გამო. რომ მოიყვანეს, ლექსები იცისო, თქვეს, მე მაგ ასაკში ლექსები არ ვიცოდი. ის დადგა შუაში და უცებ „მზემ დაიხურა პირბადე“ დაიწყო, მან ლექსების გარდა სხვა არაფერი იცოდა და ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ასეთ ლექსებზე იზრდებოდა ჩვენი თაობა.

ახლა ქართულ ტელევიზიას რომ ვუყურებ, ბასტი-ბუბუზე და მისთანებზე რომ ზრდიან ბავშვებს, ეს მათ დეგენერაციას იწვევს და მინდა ვთქვა, რომ იმ ბავშვმა, ჩემმა შინშმა სხვა რამე არ იცოდა, ასე ვიყავი მეც. იქ სხვა რამეს, ვაჟას გარდა, ვერ გაიგონებდი. ან ვაჟას „ვეფხი და მოყმე“. ჩემს სოფელშია დაწერილი, ის კაცი მახსოვს ვინც დაწერა — გიორგი ჯაბუშანიური. რატომღაც ახლა ბევრი გამოთქვამს აზრს, რომ ტყუილია ცოცხალი იყოს ის კაცი, ვისაც ახსოვს ამ ლექსის შექმნაო. ერთი გამოკვლევა წავიკითხე (არ მინდა ლიტერატორის გვარი ვთქვა), ვინც ამას ამბობსო (მე მგულისხმობდა), თავისი უკვდავებასთან ზიარების დადასტურება უნდაო, რაღაც რთული ფორმულა იყო.

გალაკტიონსაც მოვესწარი და დიდ ქართველ მხატვრებსაც, მაგრამ იმიტომ კი არ მოვესწარი ჩემი უკვდავება დავადასტურო, არამედ იმიტომ,

რომ იმ დროში ვცხოვრობდი. გიორგი ჯაბუშანიურსაც მოვესწარი, ჩვეულებრივი ხევსური იყო, არხოტელი და ბებიჩემს არც მოსწონდა. ერთხელ, სტუდენტობისას, მეგობრებთან ერთად შუაფხოში ვიყავით და ამ ლექსზე ვსაუბრობდით, ისე როგორც ახლა გვესმის. ვამბობდით რა გენიალურია. ბებიჩემი გარეთ იჯდა მატყელს ართავდა და ჩვენს საუბარს რომ ყური მოჰკრა, ესეც ლექსიაო, თქვა „იარებოდა დედაი“, ფუ! და გაბრაზებული სახლში შევიდა. იმათთვის ეს არ არის კარგი ლექსი. თუნდაც ვაჟა. ამ გარემოში ისიც ჩვეულებრივია.

გვიამბობთ ამბავს, რომელსაც ვაჟას იუბილეზე შევესწართ ერთხელ. მგონი, პირველი ვაჟაობა იყო ჩარგალში. დიდი სუფრებია გაშლილი. არხოტიდან მოვდივართ მე, ლადო მესხიშვილი თავისი ბავშვებით, ერლომ ახვლედიანი, გეიღარ ფალავანდიშვილი და გიორგი შენგელაია. იქ სუფრასთან მიგვიპატიჟა გოგი ანდრონიკაშვილმა. კეიფობთ. ვიღაც ქალს წკეპლით პატარა დეკეული მოჰყავდა სახლში. ამ დროს, სუფრაზე „მრავალჟამიერი“ დასჭექქეს, ეს დეკეული, შეშინებული მოტრიალდა და ჭალისკენ გაიქცა. სასოწარკვეთილმა ქალმა ჩამოუშვა ხელები და დაწყევლა ვაჟა-ფშაველა: „ის ბრუტიანი ცოცხალიც არ გვაყენებდა და ახლა მკვდარიც აღარ გვაყენებს აქ“-ო. განა მან არ იცოდა, რომ ის გენიოსი იყო, მაგრამ მათთვის ის ჩვეულებრივია, ჰაერივით არის, მთასავით არის, წყალივით არის, კიდევ გაბრაზდება და დაწყევლის კიდევ, რომძროხა თუ ხბო სახლში ვერ შეყავს. ვიღაც მოსულები, ვითომ ვაჟა-ფშაველაზე გადარეულები ქეიფობენ და ვაჟა-ფშაველას პატივისცემას არქმევენ. იმ ქალს, შენ ვერ აჯობებ, იმან იცის ვაჟას ნამდვილი ფასი, მაგრამ ისინი ჩვეულებრივად, როგორც თავის წევრს ისე უყურებენ, მაგალითად, როგორც არაგვს, როგორც ყველაფერს.

**ი.ჯ. — ლელა ბალიაური იყო თქვენი ბებია...**

**გ.ო.** — ბებია იყო, მაგრამ რომ გეთქვათ, ბალიაურიო, არ დაგელაპარაკებოდათ, იმიტომ, რომ ის წიკლაური იყო. ხევსურეთში ეგაც არ ნიშნავს არაფერს — გვარი. წიკლაურებში კიდევ გვარებია და ის იყო გიორგაანთ ქალი, ეგენი გიორგანები იყვნენ და ამით „ძალიან ამაყობდნენ“. „ძალიან ამაყი ქალი იყო. ერთხელ შევესწარი, შვილი — ლადო ბალიაური დაპატიმრებული ჰყავდა, დედაჩემი და დეიდები ძალიან მშრომელები იყვნენ, საქონელსაც უვლიდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, მაგრამ ამას, როგორც სავალდებულოს ისე სთხოვდა და სულ ტუქსავდა. ერთხელ რაღაცაზე ეჩხუბებოდა, ეკამათებოდა და ოთანში რომ შევდივარ, მის თვალზე ცრემლი დავინახე. „ბერდედას“ ვეძახდით ჩვენ. ხევსურულად ბებიას „ბერდედა“ ჰქვია. გაგვიყლი, გადავირიე, მის თვალზე ცრემლი არასოდეს არავის

უნახავს. უკვე დიდი ვარ, მივედი და დედაჩემზე და დეიდებზე ვეუბნები: – ბერდელა, ეს რა არის, ამით რა გაგიბედეს, რა გითხრეს ისეთი, ცრემლი რომ გდის-მეთქი.

– მათ ვინ უყურებს, შენ ხომ არ გგონია მაგათ მომადინეს ცრემლი. ცრემლი იმიტომ მომდის, რომ ახლა გავიფიქრე, ჩემმა ბიძებმა და გიორგათ კაცებმა რომ მნახონ, ბალიაურები რას მიბედავენ, მაგაზე მამდის ცრემლიო – მიპასუხა. აი, ასეთი ამაყი ქალი იყო ჩვენი ბერდელა.

**ი.ჯ. – ბერდელა ცნობილი ქალი იყო. მას ხომ ანა კალანდაძემ ლექსი უძღვნა, გურამ თიკანაძემ კი ფოტო გადაუღო და „ქალი-საუკუნე“ დაარქვა.**

**გ.ო.** – საერთოდ, დიდი პატივის ღირსი იყო ჩემი ბერდელა. თავისი მაგალითით ძალიან ბევრი მოგვცა ჩვენ, შვილიშვილებს.

**ი.ჯ. – მთქმელიც იყო?**

**გ.ო.** – არა, არა, აბსოლუტურად არაფერი გრძნობა არ ჰქონდა, არც უყვარდა, არც პატივს სცემდა მელექსეებს. მისთვის რაღაც სხვა იყო მთავარი. ხომ გაიბნეთ, ჩემმა ბაბუამ (დედის მამას ჩვენთან ბაბუას ეძახიან, პაპას არ ეძახიან) თათიამ, თავი რომ მოიკლა, მას სთხოვა: – მაპატიე, გასაზრდელ შვილებს რომ გიტოვებო და არ აპატია. ასეთი ამაყი იყო და არაფერი, მამაკაცური ღირსების გარდა, მის პატივისცემას არ იმსახურებდა აბსოლუტურად. არც შრომა, არც პოეზია. ისეთ ხალხში გაიზარდა, ვისთვისაც მთავარი ღირსების გრძნობა იყო. ისინი ღირსების მატარებელი ხალხი იყო. როგორ შეიძლებოდა ქისტებზე ცუდი გეთქვა, ისინი ღირსეული ხალხი იყო და ეს უნდა აუხსნა ახლა თბილისში გაზრდილს. კარგ ინტელიგენტებს ესმით, თუ რა მოსწონდა ბერდელას და როგორ არ შეიძლება მტრის ლანძღვა. როგორი მტერიც არ უნდა იყოს, ის უნდა აქო, ეს არის ღირსება და ბეზიაჩემი ასე იყო გაზრდილი. როგორ შეიძლებოდა მას ოდნავ რაიმე აუგი ეთქვა. მას კი არა, არხოტში ვარ კაცი გაზრდილი და არხოტიონმა რომ ღლიღველზე ანუ ქისტზე, ანუ ინგუშზე, როგორც ჩვენ ვეძახით ლიტერატურულად (ეგ ყველაფერი ერთი და იგივეა), როგორ შეიძლება არხოტელმა თქვას ოდნავ დამამცირებელი, ოდნავი აუგი, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ არსებობს ოჯახი მოსისხლეობის გარეშე.

უკვე დასრულებული მხატვარი ვიყავი, მახსოვს, დედაჩემმა, რომელიც ორი თვის გათხოვილი იყო, ქისტებმა რომ ქმარი მოუკლეს და შემდეგ აღარ გათხოვილა, თავისი ქმრის სისხლიანი პერანგი გამოატანა იმ პატივის გამო, რომ მკვლეელი ძალიან კარგი ვაჟკაცი იყო. არ არსებობდა ქისტზე ვინმეს აუგი ეთქვა, თუ იტყოდა, თვითონ იყო დამცირებული. შესაძლოა მოეკლათ კიდევ, მაგრამ რომ

გაელანდათ და აუგი ეთქვათ, გამორიცხული იყო. ეს ღირსების საზომიც იყო, ე.ი. ასე არ უნდა დამდაბლებულიყავი.

**ი.ჯ. – ბ-ნო გოგი, თქვენ საქმის კურსში ბრძანდებით, როგორი მდგომარეობაა დღეს ხევსურეთში?**

**გ.ო.** – დღეს ძალიან მიმიყა ხევსურეთის მდგომარეობა. ჩრდილოეთით არხოტი, უმნიშვნელოვანესია საქართველოს ეროვნული სტრატეგიისათვის. 1951 წელს მილიციის ძალით გადმოსახლეს, შემდეგ შატილში გზა გაიყვანეს და ხალხის გარკვეული ნაწილი თითქოს დაბრუნდა, დამკვიდრდა კიდევ, მაგრამ არხოტი ფაქტობრივად მოიშალა.

1991 წელს, პრეზიდენტის ხელმოწერით 14 სახლის მშენებლობა ბიუჯეტშიც იყო შეტანილი, პროექტიც შედგენილი იყო, 14 სახლის ასაშენებელი თანხის გამოყოფაზე სიგუას უნდა მოეწერა ხელი, რაც არხოტს დაამკვიდრებდა, იმ კატასტროფის შემდეგ ზურაბ ქუთელიამ სიგუას საბუთებიც შეუტანა ხელმოსაწერად, მაგრამ სიგუამ არხოტის საქმეს და არხოტელებს შეაგინა, ხელიც არ მოაწერა და მათ შორისაც გაწყდა ურთიერთობა. სამი ოჯახი დარჩა ახიელში, ალბათ ისინიც ვეღარ გაძლებენ, წამოვლენ და დამთავრდება ყოველივე. ღმერთმა ქნას, ვინმემ იზრუნოს მათზე. პირიქით ხევსურეთშიც, ბარიდან რომ შებრუნდნენ უკან და დასახლდნენ ისევ, დაკარგეს თავიანთი ტრადიციები, გაირყვნა მოსახლეობა, გაჩნდა ძალიან ბევრი ინფორმატორი, კომკავშირული ღონისძიებები სიახლე ჰგონიათ და რაც ძალიან ძვირფასი იყო, ტრადიციებზე ხელი აიღეს. ამან ხევსურეთის ზნეობრივი სიმაღლე ძალიან დასწია. ადრე ძალიან მნიშვნელოვანი და დიდი კოდექსი ჰქონდა ხევსურეთს, ახლა ეს ყველაფერი მორღვეულია და რაც მთავარია, ეს რღვევა გრძელდება. კომუნისტური იდეების დანერგვა ძალიან ინტენსიურად მიდიოდა, იქ რომ ვსწავლობდი, მაშინვე ვხედავდი ამას, ჩემს თვალწინ ხდებოდა ყოველივე. თანამედროვეობის ნიშნად ითვლებოდა, თუ სარწმუნოებაზე უარს იტყოდი, თუ კომკავშირელი და დამბეზღებელი იყავი.

მაგალითად, თუ იცით ივანე წიკლაურის ძალიან განმარტებული ლექსი „რამ დამაბერა“. იქ არის ეგ ყველაფერი. იგი ერთ-ერთი აქტიური კომკავშირელი იყო, ნებაყოფლობით რომკას იარაღი აჰყარა, სალოცავებში ზარები ჩამოხსნა, ქალებს ტრადიციული წესების დარღვევას აიძულებდა, მოუწოდებდა, რომ ეს ჩამორჩენილობაა და ა.შ. დაბეზლებაც აკისრებინეს, მკვლელობაშიც მიიღო მონაწილეობა, პოლიტიკაშიც. ძალიან კარგი, უღამაზესი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მაშინ რა უნდოდა მის შეცდენას, იარაღს დაპირდნენ, მოსკოვში აგზავნიდ-



ნენ სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე, კარგად აცმევდნენ, რადიოში აქებდნენ, ლექსებს უძღვნიდნენ და იოლად „ააგდეს“. შემდეგ, როცა გონს მოეგო და მიხვდა რაც ჩაიდინა, ცოდვების მოსანანიებლად ჩოქვით აღიოდა ბარიდან, მდინარის ნაპირიდან მთაში – სალოცავში შესანიშნავი ლექსიც დაწერა, სადაც ამბობს, უვიცობამ დამაბერაო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მძიმე მდგომარეობაა ხევსურეთშიც, ფშავშიც. ფშავი ადრევე გათელეს. 1951 წელს ხევსურეთი გადასახლეს და ფშავს ხვან-თესვა აუკრძალეს. გლეხს ხვან-თესვას რომ აუკრძალავ რაღა გააჩერებს იქ და ისინიც წამოვიდნენ. 1991 წელს ჩემი ინიციატივით, კოლმეურნეობები დავშალეთ მაღაროსკარსა და უკანა ფშავში ანუ შუაფხოში, მაგრამ გადატრიალების შემდეგ, ვიღაც თავმჯდომარეებმა, ვინც ხალხს ექსპლოატაციას უწევდა, მაღაროსკარში რატომღაც ისევ აღადგინეს მონობის ეს ფორმა – კოლმეურნეობა, შემოღობეს ტერიტორიები და დაიწყეს გამდიდრება. ზაფხულში, უსახსრობის მიუხედავად, მოვახერხე ასვლა და ვნახე, რომ რამდენიმე სათიბი განადგურებული იყო. ჯერ კიდევ ეროვნული მთავრობის მოსვლამდე, ელდარ შენგელაიამ და ლანა ლოლობერიძემ მომიწყეს გუმბარიძესთან შეხვედრა, რომელსაც ავუსხენი, რომ კოლმეურნეობები არაფერს მატებს სახელმწიფოს, ყველაფერი ნადგურდება, მთა იცლება და თუ კოლმეურნეობებს გავაუქმებთ და გლეხებს გადასახადებიდან გავათავისუფლებთ, იქ ხალხი ავა, პატარა პატარა მეურნეობებს გააკეთებენ და ხსნაც ეს იქნება-მეთქი. ამას ვერ გამოვაქვეყნებო – მითხრა, მაგრამ გუმბარიძემ ეს გააკეთა. მქონდა კიდევ ერთი ეკონომიკური სისტემის პროექტი მთის რეგიონების გადარჩენისათვის, რომელიც 40 ეკონომისტი-საგან შემდგარმა ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა, მათ შორის, მახსოვს იყო ყველასგან პატივსაცემი ავტორიტეტი, ცნობილი ეკონომისტი, მეცნიერებათა დოქტორი ემილ კობახიძე, რომელმაც მოიტანა აბსოლუტურად დადებითი დასკვნა და თქვა, რომ მთის რეგიონების გადარჩენისათვის ერთადერთი ქმედითი ღონისძიებები ამ პროექტშია მოცემული, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმე, ისევე, როგორც სხვა მრავალი, ჩაიშალა. ახლა, მნიშვნელოვნად მხოლოდ ის მიაჩნიათ, რამდენად უზრუნველჰყოფს საქართველო დერეფნის როლს.

**ი.ჯ. – ბ-ნო გოგი! დღევანდელ დღეს როგორ გრძნობთ თავს?**

**გ.ო.** – დღევანდელ დღეს? შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ეგოისტურია ჩემი პასუხი. კარგად ვგრძნობ თავს იმიტომ, რომ არც დღეს, არც მომავალში ჩემი საქციელის არავის შერცხვება. ვიმეორებ, ეგოისტურია ჩემი პასუხი, მაგრამ მნიშვნელოვანია

ჩემთვის, რადგან ღმერთმა მარგუნა ეს განსაცდელი, გაუძეული და ვერავინ იტყვის ჩემზე, რომ რაიმე სამარცხვინო გავაკეთე. ეს მეამაყება.

ახლა უფრო კონკრეტულად: მხატვართა კავშირის თავმჯდომარედ ამირჩიეს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დარგია და ძალიან ბევრი საქმის გაკეთებაა საჭირო. თუ მხატვრებმა თვითონ არ გააკეთეს, სახელმწიფოს, დერეფანობანას თამაშში გართულს, ამისთვის არ სცალია. სისტემაც უკვე სხვაგვარია, გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე, რაც აღარ გულისხმობს სახელმწიფოს ფიქრს კულტურაზე. თუ ეროვნული მთავრობაა სათავეში, ეს ძალზე ტიპურია, ყოველთვის კულტურაა ძირითადი. მაგალითად, დე გოლმა კულტურის მინისტრად ანრი მალრო მოიყვანა, რომელმაც უზარმაზარი რეფორმები ჩაატარა და დიდი როლი ითამაშა ფრანგული კულტურის აღორძინებისათვის. ეროვნული ხელისუფლების დროს, ეროვნული მიზნების განხორციელებისათვის უპირველესი მნიშვნელობა კულტურასა და ეკონომიკას ენიჭება. ჩვენთან, სახელმწიფოს, კულტურის მიმართ კონცეფციაც კი არ აქვთ ჩამოყალიბებული. ვერავინ გეტყვით, რა უნდა იყოს.

მხატვრებს ევალებათ, მიხედონ საკუთარ თავს, თეატრებს კი აფინანსებენ, რატომღაც ჰგონიათ, რომ მხოლოდ თეატრია კულტურის ღერძი. მწერლებსაც აფინანსებენ, ფქვილი, კარტოფილი დაურრიგეს, ზრუნვის თემაა ასეთი. ესაა გარყვანა მწერლობის. ექვსი წელია, რაც მხატვართა კავშირში მივედი, ხელფასი არ ჰქონდათ არც მბეჭდავებს თუ მდივნებს, გადაჭრილი იყო ტელეფონის ხაზები, წართმევის პირზე იყო ამიერკავკასიაში ერთადერთი, პოლიგრაფიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი გრაფიკის სახელოსნო. გერმანიაში ვნახეთ სპონსორი, საქართველოში ვერა. მხატვრის სახლის ადგილზე, რომელიც დაიწვა, რომელიღაც ფილისტერების გაერთიანება აშენებს რაღაც სასტუმროს, რითაც მნიშვნელოვანი შემოსავალი ექნება ქალაქს. ბრძოლა გვჭირდება მთავრობაში, რომ ჩვენი კუთვნილი სახლი მოგვცენ, მის ადგილას, სპონსორებთან ერთად, ავაშენოთ სასტუმრო, შემოსავლებით მოვახერხოთ გამოფენების შექმნა, მუდმივი გამოფენების მოწყობა და დავნერგოთ სიახლეები. სხვათა შორის, ძალზე ენერგიულად დაგვიჭირა მხარი მთავრობის თავმჯდომარემ – ჟვანიამ, ამით ჩვენი საზოგადოება ძალიან კმაყოფილია. მისი ეს მხარდაჭერა, საერთოდ, მთავრობის კურსია თუ მისი პირადი კულტურის შედეგი, ჩვენთვის ჯერ გაურკვეველია, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, გაცდება გამოიწვია, რომ პირდაპირ მიწერა მერიას და ფინანსთა მინისტრს – იაკობიძეს, ისე, რომ ენერგიის დახარჯვაც კი არ დაგვჭირვებია. მისთვის გასაგები გახდა, რომ

სახელმწიფო არაფერს უკეთებს კულტურას და მისი ეს ქმედება კულტურისთვის სამსახურია. ჩვენ აბსოლუტურად არაფერს ვითხოვთ, გარდა ნებართვისა, რომ მოგვეცით არსებობის საშუალება და მან ეს გააკეთა.

შევხვდი მთავრობის წევრებს, იმ ხალხს, ვისაც დიდი გავლენა აქვთ მთავრობაში და ყველამ პირობა მომცა, რომ გვერდში დაუდგებოდნენ მხატვართა კავშირს, მაგრამ მსგავსი ვერაფერი ვნახე. ჯერ ერთი, თუ ის ხალხი, ვისაც შევხვდი, კულტურის დარგს განაგებენ, რატომ უნდა სჭირდებოდეთ ჩემგან შეხსენება? ამისათვის მე არ უნდა ვზრუნავდე, პირიქით, ისინი უნდა ზრუნავდნენ და მე მაკისრებდნენ შესრულებას. მე მთხოვნელი, მათხოვარი გამოვდივარ, ეს სულაც არ მამცირებს, მეამაყება კიდევ, მაგრამ დიდი სიბნელის მოახლოების შიში მიჩნდება, რომ ქართული კულტურა არ ჩაკვდეს. საშიშია, ძალიან საშიში.

მხატვრებში დიდი ერთუზიანობა ჩანს. ალფრთოვანებულები ვარ ახალგაზრდობით, რომელთაც შეიგნეს, რომ თუ ჩვენ ჩავატარებთ ღონისძიებებს, შესაძლოა, საკუთარი დაფინანსების წყარო გაგვიჩნდეს, მაგრამ მხატვრების კუთვნილი საწარმოები – ჩვენი შემოსავლის წყაროები, არამხატვრებს უჭირავთ და ბრძოლა გვეჭირდება, რათა ხელიდან გამოვგლიჯოთ მხატვრების კუთვნილება. მათ თავშესაფარი მთავრობაში აქვთ, ჩვენ არა. ისინი ერთად არიან და ეს ყველაფერში მტკიცდება. ისეთი ღრმა კონტაქტები აქვთ, არაფრის ეშინიათ, გვემუქრებიან კიდევ, რომ მოგვევლებათ თქვენ და ა.შ.

აი, ასეთი მდგომარეობაა და ვითომ კულტურისთვის ზრუნავენ. ეს ექვსი წელია, ბრძოლის გარდა, მხატვართა კავშირს არაფერი გაუკეთებია. ჩვენ პირველ სექტემბრამდე დავკარგავდით მთელ ქონებას, რომ სასამართლოში აუდიტორული დამტკიცებისთვის არ მიგვეღწია. დიდ გამარჯვებად ჩავითვალეს, რომ მხატვრის სახლი დავიკანონეთ, მაგრამ კანონებს თვითონ ქმნიან და თვითონვე არღვევენ. თუ მოესურვებათ, დაარღვევენ და ვერსად უჩივლებ, ჩვენ უმწეონი ვართ. დღემდე არ ვიცი, პერსონალურად ვინ დგას ამ საქმეების უკან. რამდენიმე გვარს მეუბნებიან, მაგრამ იოლია მანდ სხვაზე შეიწმინდო ხელი, სხვას დააბრალო. სინამდვილეში ვერ გავიგე ვინ არის. „თბილისი სიტი“ ჰქვია ამ რაღაც ტრესტს, რომელშიც შედის სასტუმროს მშენებლობა. „თბილისი სიტი“, თბილის-ქალაქისაც არ არის. თანამედროვეა, „თბილისი სიტი“.

ჩაიწერა  
**ივანე ჯაფარიძემ,**  
1997 წლის 4 იანვარი.

## ნკრილენი

### ბუნაზ ბვინია



## თენგივ ავსაჯანიშვილი – „გეტყვით სიმართლეს...“

ცისა და მიწის ჰარმონიის აღქმა უნივერსალური სიყვარულის გამოხატულებაა. ამ სიყვარულთან წილნაყარი პოეტი მკითხველსაც აზიარებს ადამიანისა და გარესამყაროს ურთიერთობის იდუმალებას. თვითონ კი უერთდება კოსმიურ ძალთა ფერხულს და პოეტური ხედვის პრიზმაში არეკლილ სამყაროს ლექსით უქარგავს გულისპირს.

ადამიანისა და ბუნების მსგავსება, მათში თვისობრივი კავშირების აღმოჩენა, პოეტის შინაგანი აღზევების მიზეზი ხდება. ღამის ცის ემოციური ტილოა: „ციდან ქალივით მთვარე დამდიმის/ ისე ნახად და გამომწვევადა, /ზეცა შეირხა უცებ ვაზივით/და ვარსკვლავებად გამომტევეანდა.“

ზეციური და ქვეყნიური არსის სინქრონი უხვი მეტაფორებითაა გამოხატული მის პოეზიაში. იმდენად შთამბეჭდავია პოეტური ფერწერა მომდევნო სტრიქონებში – „მზეთა ჩქერებით ზეცა ნარწყავი/ შაბიამანის ფერით ივსება,“ რომ აქტიურდება ყველა ღონის მკითხველის წარმოსახვა და სული ივსება ღღის გადაწმენდილი ცის ხიბლით. პოეტში პოზიტიური განცდა თანდათან შემოდის, იპყრობს მას მთლიანად და იმდენად აჯადოებს, რომ თავისი ბედის წინასწარ-მეტყველებასაც შეუდარებელი მეტაფორით უხატავს მკითხველს: „და ზეცა, ჩემი ბედის ვარსკვლავიც, ვხედავ... დღითიდღე როგორ მწიფდება.“

უხილავი სახილველი მინდა ვუწოდო პოეტისა და მთვარის ურთიერთობას: „მგოსანთ წაწალი მთვარე დამდიმის, /ასე მაცდურად, გამომწვევადა.“ თენგივ ავსაჯანიშვილი ზეციური იდუმალების ნაწილია ქვეყნად მოვლენილი კაცთა შორის სიყვარულის დასამკვიდრებლად. მისი რომანტიკული სულის ღირიკული სიმების შრიალი სტრიქონებშია ფრთაშლილი: „ცა კი შრიალებს უფლის ვაზივით/ ვარსკვლავებით რომ გამომტევეანდა.“ მოცემულ ლე-



ქსში შედარებები „ქალივით“ და „ვაზივით“ ზენა სამყაროსგან, ნაყოფიერებისა და სილამაზის, სიტკბოსა და სიბრძნის, მიწად მოფრქვევის სიმბოლოა.

პოეტი თავად აღიარებს, რომ ძალად, მტკიცე და ურყევ ძალთა შთაგონება – მთა მას არასოდეს არ მისცემს ჭეშმარიტი გზიდან გადახვევის საშუალებას: „შევირდად ვყავარ ფილოსოფოს მთებს/ და მასწავლიან, სად რა ფონია, /მათ მარტოობის ცრემლი მომხოცეს, /მასმინეს სიბრძნის ღრმა სიმფონია.“ ინტონაცია, მშვიდი და დამაჯერებელი, აღწევს მკითხველის არსებაში და ამ მეტაფორულ ფრაზებში, პოეტისა და ბუნების თანხმიერ კავშირში ხედავს იგი ცხოვრების ნამდვილ ფილოსოფიას. ყველა ადამიანში ბუდობს ეროტიკა და არც პოეტია გამონაკლისი: „ამაცხცხცხებს ტრფობის არია/ როცა ჩემს თვალს დაესიზმრები“, მაგრამ მასში ღვთიური ჭარბობს ხორციელს. ძლიერია რწმენა, ნდობა მისტიკურ ძალთა მიმართ და ყველაზე ძვირფას გრძობასაც კი, რასაც ქალისა და კაცის სიყვარული ჰქვია, ადამიანურ ჭრილში არ პასუხობს, ამ „მაცდურ“ ვნებას კაცებრივ ახსნილობამდე არ უშვებს. ერთი რამ ცხადზე უცხადესია, მთელი სიმწვავეთ დასვა საკითხი ავტორმა, რომელშიც ფარული შეკითხვებიც გამოსჭვივის: ხომ არ არის შეფერხებელი მართლმადიდებლობა ქალ-კაცის ურთიერთობისათვის, გვაქვს თუ არა თავისუფალი ტრფობის უფლება, როგორ უნდა დაიძლიოს აშლილი „არია“. ძალიან ხმამაღლა ისმის პოეტის – „სად არის ფონი“ და მეტად გამძაფრებული მისი გულის ხმობა მხოლოდ ეკლესიის ხიზანი ხდება: „შიშველ ფეხებით ჩემს გულს გაიარ/და ეკლესიას შეეხიზნები“.

ადამიანის ცოდვათა დამტვევი, უფალთან ჩვენი სურვილების აღმატებული არის სანთელი, ამაში დარწმუნებული პოეტი გვიდასტურებს, რომ სწორედაც ის დაიცავს მას უღვთო ზრახვათაგან და უფრო მეტიც, გადაამისამართებს განწმენდილ გრძობას მასთან: „ჩემი ღმილით შევლიმს სანთელი, /ფიქრით დაიწყებ ჩემსკენ ბორიალს, /წინ აღვიდგება უფლის სახელით, /გრიგოლ ხანძთელი და ფებრონია.“

პოეტი საკუთარ თავს უმხედრდება და მიუხედავად იმისა, რომ მგრძობელობის „არია“ აღერდილი აქვს, იცის, როგორ უნდა მოიქცეს, რომ არ იყოს აშოტ მეფის მემკვიდრე ხორციელ ზრახვაში. გულისსწორიც უნდა დაიცავს შერაცხვისაგან. სულის განწმენდის, ფიზიკური სიმტკიცის შენარჩუნების, მართლ-მადიდებლური აზროვნების უნივერსალური სურათია ამ ლექსში დახატული. ასევე წამოჭრილია კაცობრიული პრობლემა: აკრძალული ტრფობა თუ სიყვარული, სიყვარული თუ მოვალეობა, აი კითხვები, რომელიც აღელვებდათ და დღესაც პასუხგაუცემელია. პოეტის მცდელობა, ფარდა ახადოს ჭეშმარიტებას, თითქოს დაფარულია, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. მან შეგნებული მხატვრული სვლა გააკეთა, განზრახ დაძაბა სიტუაცია, თითქმის გამოსავალი არ დაუტოვა ქალსა და კაცს, ხვედრი წინდაწინვე განუსაზღვრა აშოტისა და სიძვის დედაკაცის მსგავსად. ე. ი. რა დაგრჩენია ადამიანს ბედის შეგუების გარდა. მასში მყარად ფესვგადგმულ ვნებას, წყურვილს ხორციელს, არ სურს დანებება და ის მისგან დამოუკიდებლად მოქმედებს. თავშეკავება ცხოვრების მიწურულს გამოგეცხადება და ეკლესიურ კანონებს განანებინებს.

ამ საიდუმლოს ფარდა უნდა ახადოს პოეტმა: „მთებო, მითხარით, რამე საშველი, /გამოსავალი, სად რა ფონია, /გმობენ სიყვარულს კოცნით გამხელილს, /გრიგოლ ხანძთელი და ფებრონია“.

პასუხი ლექსის დასაწყისშივეა: შევირდად ვყავარ ფილოსოფოს მთებს /და მასწავლიან სად რა ფონია“. – უნივერსალურია. ადამიანი, რომელიც სცნობს ბუნებასთან თანაზიარობას და ირწმუნებს უხილავ დასთა თანამეგობრობას, არსოდეს შესცოდავს და არ დასჭიდება გრიგოლ ხანძთელისა და დედა ფებრონიას ხელოვნური სიმკაცრე. სტრიქონების მიღმიერი ფონიდან იკითხება საინტერესო გზავნილი ხორციელ ზრახვათ აყოლილთათვის: ადამიანი ბუნების შვილია და არაფერი კანონიკური მისთვის აკრძალული არ არის. ბუნებაში უხვადაა კანონზომიერების მაგალითები, რაც არასოდეს ირღვევა. ამ კანონიკურ მთელს ადამიანი არ უნდა მოსწყდეს და ფიზიკურ სილამაზეს ურჩევნია სულში ჩაიხედოს.

ლექსში გაუთვითცნობიერებელი კაცის ტკივილია ასახული. კაცისა, რომელიც მომწყდარია ორბიტას და ვერ აღიქვამს ცისა და მიწის წმინდა ერთობას. ამით ავტორი ამხელს სულიერი განათლების ნაკლებობას საზოგადოებაში. ეს ლექსი ერთგვარი განგაშია ამქვეყნად რწმენისა და ზეციური იღუმალების მისტიკური საზრისების უცოდინრობის აღსაკვეთად.

თენგივ ავსაჯანიშვილი არავის არ ჰგავს, მისი ხელწერა ნაკარნახევია იმერიდან და გაცხადებულია პოეტის შემოქმედებაში ჭეშმარიტების გასავრცელებლად: „გეტყვი სიმართლეს, – თვითონ ღმერთია/ მე რომ ლექსებით მალაპარაკებს“... – დიახ, ასეა! ამის დასტური მისი პოეზიაა.



## ბენია თხიდავა,

მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა  
სამეცნიერო-შემოქმედებითი კავშირ „ინტელექტის“  
პრეზიდენტი, ჟურნალისტი,  
ქუთაისის საპატიო მოქალაქე

## საუკეთესო შენაძენი

მიმდინარე წელს მკითხველმა მიიღო ფილოლო-  
გიის დოქტორის, ლიტერატურულ ჟურნალ „ან-  
ეულის“ პასუხისმგებელი რედაქტორის, ფოლკ-  
ლორისტ სოფიო ჯაფარიძის შესანიშნავი წიგნი,  
ლიტერატურულ-ფოლკლორული წერილები –  
„სულის პური“, რომელიც ალექსანდრე ორბელიან-  
ის საზოგადოების ეგიდით გამოსცა გამომცემლობა  
„ჩვენმა მწერლობამ“.

წიგნის რედაქტორია როსტომ ჩხეიძე, რო-  
მელიც წიგნის წინათქმაში „კარნავალის სხივები“  
წერს: „სოფიო ჯაფარიძის „სულის პური“ ძალიან  
წააგავს პოეტურ კრებულს: სტილური დახვეწი-  
ლობით, შინაგანი ტევალობით, ლირიკული ნაკადით.  
ეს ნაკადია, მთელ კრებულს რომ განმსჭვალავს და  
კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მეცნიერული  
ნარკვევიც, სიუჟეტიც, პუბლიცისტური სტატიაც  
პოეტურობით უნდა სუნთქავდეს, რათა შემეცნებით  
მხარესთან ერთად ძალუმაღ გაგრძნობინოს ის ემო-  
ცია, ურომლისოდაც შესაფერისი შთაბეჭდილება  
ვერ მოჰყვება ზნეობრივ მაგალითთა წარმოჩენას“.

თავად ავტორი მკითხველს ამცნობს, რომ „ეს  
მცირე წიგნი წლებით მოგვრილი განცდებისა და  
განსჯის კრებულია. მასში გაერთიანებული წერილე-  
ბი ჩემი სულის სახიზრად იქცა, ამიტომაც გავბედე  
მათი მანიფესტაცია. თუკი თქვენც მოგიფონებთ, მათ  
გამოქვეყნებას გამართლებულად ჩავთვლი“.

შეიძლება დაბეჯითებით ვუთხრა ავტორს, რომ

ამ წიგნის გამოცემა უკვე უთუოდ გამართლებულია;  
გამართლებულია იმიტომ, რომ წიგნის ლოგიკური  
თანაწყობით და სტილური დახვეწილობით ნათლად  
გამოირჩევა იგი დღეს კარგად დამკვიდრებული და  
საყოველთაოდ მიღებული ნაძალადეგ-ნაოსტატარი  
შტამპებისგან. ამიტომ სუნთქავს წიგნი პოეტურო-  
ბით და გულსაც მრავალმხრივ ეფონება. გარდა  
ამისა, ჭეშმარიტი შემოქმედნი, კერძოდ ისეთები,  
როგორებიც არიან: ოტია იოსელიანი, გოდერძი  
ჩოხელი, გურამ პეტრიაშვილი, მურღვა არდოტელი,  
მარიამ წიკლაური და სხვები დანახულნი არიან  
ისეთი თვალთ, რომლითაც, ალბათ, მკითხველთა  
აბსოლუტურ უმრავლესობას არსდროს დაგვინახავს  
არც ისინი და არც მათი შემოქმედებაც. ამასთან  
ერთად, ბევრი ფაქტი ამ ადამიანთა ცხოვრებიდან  
გადაურჩა ჟამთასვლის დაუნდობელ გულმაღვიწყობას  
და შეემატა ჩვენს ეროვნულ საუნჯეს.

ვწერ ამ სტრიქონებს და მახსენდება ის ფას-  
დაუდებელი ღვაწლი, რაც ქართული ჟურნალისტი-  
კის და ლიტერატურისა და ხელოვნების ისტო-  
რიას ამ მხრივ დასდო მწერალმა და გამოჩენილმა  
საზოგადო მოღვაწემ ჯუმბერ ჯიშკარიანმა, როცა  
მან მკითხველს კარგ საჩუქრად უძღვნა მისი წიგნი  
„ჩვენი ოტია“, რომლის შესახებაც ვრცელი რე-  
ცენზია გამოვაქვეყნე გაზეთ „ახალ წყალტუბოში“  
და ვისაუბრე ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში  
გამართულ მწერლის საიუბილეო საღამოზეც.

სოფიო ჯაფარიძის წიგნი „სულის პური“  
იხსნება ოტია იოსელიანისადმი მიძღვნილი წერ-  
ილით „მარტობით განწმენდილი სული“. სხვათა  
შორის, ამ წერილის შესახებ საუბრობს ბატონი  
ჯუმბერ ჯიშკარიანიც თავის წიგნში „ჩვენი ოტია“  
და აგრეთვე ოტია იოსელიანის გარდაცვალების  
ტრაგიკულ დღეებში, კერძოდ, 2011 წლის 21 ივ-  
ლისის გაზეთ „ახალ წყალტუბოში“ გამოქვეყნებულ  
წერილში – „თაობებს ეყოფა სულიერ საგზლად“.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ გაზეთმა „ახ-  
ალმა წყალტუბომ“ სოფიო ჯაფარიძის წერილი  
„მარტობით განწმენდილი სული“, სადაც ოტია  
იოსელიანი საოცარი სიღრმით და ფსიქოლოგიურ-  
ანალიტიკურ წიადსვლებითაა დანახული, რუბრიკით  
„სიტყვა სახელოვან მწერალზე“ დაბეჭდა ჯერ  
კიდევ მწერლის გარდაცვალებამდე 2011 წლის  
21 ივნისს. სტატიას წინ უძღოდა ჯუმბერ ჯიშ-  
კარიანის წერილი ბატონ მურთაზ კანკაძისადმი,  
რომელშიც ვკითხულობთ: „ვიგზავნი შესანიშნავი  
ფოლკლორისტიკისა და ლიტერატორის, ფილოლო-  
გიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის სოფიო  
ჯაფარიძის წერილს ბატონ ოტია იოსელიანზე

„მარტობით განწმენდილი სული“, რომლითაც იგი ჩვენს დიდებულ მწერალს დაბადების 81-ე წლისთავს ულოცავს“.

ეს წერილი იყო ბოლო პუბლიკაცია, რომელიც ცოცხალმა მწერალმა წაიკითხა. გაზეთ „ახალი წყალტუბის“ ეს ნომერი მწერალს მიუტანა გაზეთის მთავარმა რედაქტორმა მურთაზ კანკაძემ. აი, როგორ იგონებს ამ დღეს ბატონი მურთაზი: „მასხოვს, გაზეთი რომ მიუეჭვანე, ძალიან ცუდად მყოფმა უცებ მოიხედა და მთხოვა წამეკითხა. შემდეგ გამომართვა, თავადაც გადაავლო თვალი და მთელი საათი ჩასჩერებოდა. ხშირად ითიშებოდა – მძიმე სენს ებრძოდა.“

– კაცო, ჩემი ავტობიოგრაფიული ნოველები რა კარგად გაუთავისებია! – ჩაილაპარაკა მოგვიანებით“.

ამის შემდეგ მწერალი მალე გარდაიცვალა.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე სოფიო ჯაფარიძის წერილი დაბეჭდა „ლიტერატურულმა გაზეთმა“.

როცა ექიმებმა ყველაფერი იღონეს და მაინც იმედი გადაწურეს, გადაწყვიტეს მწერალი წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის პალიატიური მზრუნველობის კლინიკიდან გადაეყვანათ წყალტუბოში – საკუთარ ბინაში.

გამცილებელთა შორის იყო ბატონი ჯუმბერ ჯიშკარიანიც. იგი ყვება: „გამცილებლებს შორის ფსიქოთერაპევტ ნატა გელაშვილს შევავლე თვალი.“

– ნატა ექიმო, „ლიტერატურულმა გაზეთმა“ დასტამბა სოფიო ჯაფარიძის არაჩვეულებრივი ნარკვევი „მარტობით განწმენდილი სული“, რომელიც ბატონ ოტიას ეძღვნება. რამდენიმე ეგზემპლარი უკვე ჩამოვურივე ჩემს ახლობლებს. უფლის ნებით ერთი კიდევ შემომჩნა, რომელსაც თქვენ მოგართმევთ.


– მერე თქვენ?

– მე ვიშოვი. ძალიან მინდა, ეს ნომერი სწორედ თქვენ გქონდეთ!“

ღიას, ასეთი დიდი დაინტერესება გამოიწვია სოფიო ჯაფარიძის ამ წერილმა. ცხადია, ეს ინტერესი შემთხვევითი არ იყო.

აი, თუნდაც ეს შტრიხი: მწერლის პირველი რომანი „ვარსკვლავთცვენა“ ასახავს დიდი სამამულო ომის დროს ქართული სოფლის ძალიან ძნელ ცხოვრებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ქალბატონი სოფიო ჯაფარიძე წერს: „ჩრდილოელი მეგობარი რომ ამუნათებდა „ქართველებს ომი არ გინახავთო“ – პასუხად ჩინებული რომანი შეაგება – თუ მაინც-



დამაინც გერმანელების ტანკი არ გვეჩხირებოდა თვალში, აგერ, ბატონო, იმერეთის ერთ პატარა სოფელში უომრად ჩვილიც კი არ დარჩენილაო. ალბათ, მსოფლიო ლიტერატურაში ძნელი დასაძებნი იქნება იმაზე ტრაგიკული პასაჟი, შიშნულით შეწუხებული შვილიშვილის ცქერით სულშემძრული, 70 წლის ბებიის დამჭკნარი მკერდიდან რძე რომ გამოჟონავს, ამის შემდეგ ვინ გაბედავდა მწერლისთვის ემტკიცებინა, რომ არათუ არ ენახა, ომშიც არ ყოფილიყო“.

სოფიო ჯაფარიძე განსაკუთრებული დამაჯერებლობით გვაგრძნობინებს მწერლის სიღიადეს და მის ღვთაებრივ უბრალოებასაც: „მადლობა ღმერთს, რომ არც ცხრა მთა და ზღვა მაქვს გადასალახნი, არც სხვა ქვეყნის აკადემიასა თუ გაფუფუნებულ ვილაში მყავს საძებნი ჩემი მწერალი, „მარტობით განწმენდილი სულის შემოქმედი.“

იმერული კონინდარია მისი წითელი ხალიჩა, განუყრელი თანამგზავრი და ფიქრთა „მლაშავი“ – თითებს შორის უქრობლად მხრჩოლავი ჩიბუხნი, ხოლო ყველა აკადემიის ჯილდოსა თუ ქვეყნიერ სიკეთეზე აღმატებული – ის პატარა ტკივილები და სიხარული, სადღაც შეუმჩნეველად რომ ეტყობა, არ აწუხებს და რომლებიც ზოგჯერ მაინც „უმტკივნეულოდ სტკივა“.

სოფიო ჯაფარიძის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, მეცნიერის, ჟურნალისტისა და ჩვენი დიდი მეგობრის ივანე ჯაფარიძის ქალიშვილის წიგნი – „სულის პური“ საუკეთესო შენაძენია ქართული ლიტერატურის კრიტიკისა და ქართული მწერლობის ისტორიისათვის. მისასალმებელია, რომ ავტორმა აღნიშნული წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი საჩუქრად გადასცა ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმს და გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქციას.

ქალბატონ სოფიო ჯაფარიძეს კიდევ მრავალი კარგი წიგნით გაეხარებინოს მკითხველი.

„არ დაგავიწყდეს“...

– რას ამბობს წითელი ფერი

დავით ბაძალუას ნახატებზე...

*გალის რაიონში დაიბადა და გაიზარდა. ბავშობიდან უყვარდა ხატვა. მაგრამ ლამაზი და სამოთხისდარი ბავშვობა ომმა შავი ფერებით დაჩრდილა. მრავალი განსაცდელი და ტკივილი გამოიარა, მაინც ვერ შეეღია მშობლიურ მხარეს. სამხატვრო აკადემია დაამთავრა, პროფესიით მხატვარ-არქიტექტორია. მის ყველა ნახატზე წითელი ფერი ანთია და გვაფრთხილებს: „არ დაგავიწყდეს“...*



„ბავშვობა სოფელ ოკვინორში გავატარე, რომელიც ნამდვილ სამოთხეს ჰგავდა. წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა, რომ ქვეყანაში ომი დაიწყებოდა, ვიღაცა იარაღით გამოგაკვიდებოდა, ვიღაცა საკუთარი სახლიდან გამოგაკვებდა და დაგხოცავდა, როგორც ფილმებში გვინახავს და მერე დაგიწვავდა სახლს... რაც კი იქნებოდა ოჯახში, ბაბუისეული, არაფერს დაგიტოვებდნენ და, რაც ყველაზე ღირებულია და რაც შთამომავლობით გადმოდის, ალბომიც კი არ შეგრჩებოდა.

ბავშვობის პერანგი მაინც რომ მელოდებოდეს და ერთხელ მაინც რომ შემახედა ჩვენს სახლში, სუნი რომ ვიგრძნო, ისიც კი მენატრება, ეს უკვე დიდ ძალას მოგვცემდა დასაბრუნებლად, მაგრამ ესიც რომ არ არის“?..

ოცი წლის ხდებოდა, გალი რომ დატოვა. ამბობს, რომ ხიდების აღსადგენად ქართულ-აფხაზური გამოფენები უნდა გაიმართოს. აუცილებელია ერთობლივად მწერლების წიგნის გამოცემა. ერთობლივი ქართულ-აფხაზური გამოფენები, ერთობლივად აფხა-

ზეთის და აქაური ანსამბლების (ერთ დროს ესენი ისედაც ერთნი იყვნენ) კონცერტი...

„ამ თვალსაზრისით ჯერ არაფერი გაკეთებულა და თანხასაც არასოდეს დებენ. ამიტომაც, რომ ასე უაზროდ გალის 24-ე წელი“...

კითხვაზე, რატომ ტოვებს წითელ ლაქას ყველა ნახატზე... ამბობს, რომ ეს შუქნიშნის გაფრთხილებასავით არის – „წითელი ფერის ანთებისას უნდა გაჩერდე. წითელი ფერი არის მანიშნებელი ფერი. ჩემში, შიგნით ანთებულია ეს წითელი შუქნიშანი და განგაშია ჩემს სხეულში, სულიერებაში და მორალშიც კი. მორალი არ მამღვეს იმის უფლებას, რომ ეს წითელი ფერი არ გამოვიყენო. ჩემ უკან დგას ჩვენი ბავშვობა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ვერ დავიძინებ ისე, რომ წითელმა ფერმა არ გამაფრთხილოს.

დღეს რომ ვხატავდი, ახალ ნახატს „არ დაგავიწყდეს“ მივაწერე, ეს უკვე ამ წითელი ლაქის შემადგენელი ნაწილია, რომელიც იგივეს ამბობდა: „არ დაგავიწყდეს“!

სადაც მუშაობს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ნახევარსარდაფში, ორი მხატვრის სახელოსნო-სალონიც, რომელსაც 2- ლთ ჰქვია – აქ ორი მხატვარი მუშაობს: დავით ბაძალუა და ამირან კუპრავა.

„მე ექსპრესიული აბსტრაქციონისტი ვარ... ზოგიერთები ამბობენ, მუზა არ მაქვს და ვერ ვხატავო. მე არ ვეთანხმები მათ. მუზა არ მაინტერესებს. უნდა დავიწყო ხატვა და მუზას იქით დავეწვი.

ამ სახელოსნოში მე და ამირან კუპრავა ვმუშაობთ, სწორედ იმიტომ ვართ ერთად ერთ სახელოსნოში, რომ ერთმანეთს ვავსებთ და ვავითარებთ“...


მაისში ამავე სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის გალერეაში, რომლის მენეჯერიც დავით ბაძალუაა, 2-ART-ის ეგიდით ძალიან საინტერესო პროექტი – არტფესტივალი გაიმართება.

„პროექტში ყველა ცნობილი და გავლენიანი მხატვარი ჩაერთვება, მათ შორის სტუდენტებიც. არტფესტივალის მონაწილე მხატვრები მიზერულ თანხად გაყიდვიან ნამუშევრებს. ფესტივალი სამდღიანი იქნება და ორი მიზანი აქვს – რომ იარსებოს აფხაზეთის გალერეამ და, იმავდროულად, ხალხს ხელი შევუწყოთ, ხელმისაწვდომ ფასად შეიძინონ ნამუშევრები“, – ამბობს დავით ბაძალუა.

ერთხელ ჩემმა მეზობელმა, რომელიც მშენებლობაზე მუშაობდა, გაცხადებულმა გამომიცხადა, თუ როგორ იპოვა, ქალაქის ძველ უბანში, ავარიული სახლის დემონტაჟისას, მიწაში საგულდაგულოდ დამარხული ძველი ებრაული წიგნები. მაშინ ამ ამბისათვის დიდი ყურადღება არც მიმიქცევია და მგონი გადამავიწყდა, მაგრამ ერთ მშენიერ დღეს ისევ გამახსენდა და დამაფიქრა კიდევ, როდესაც ერთგან ქრისტოფერ მორლის ასეთი აზრი ამოვიკითხე: „როცა ადამიანი წიგნს ყიდულობს, ამით ის ნახევარ კილო ქალაქს, მელანს და წებოს კი არ იღებს, არამედ იძენს კიდევ ერთ სიცოცხლეს!“. ძველებრაული მისტიკური ტრადიციით, დაზიანებულ, „გარდაცვლილ“ წიგნებს სწორედ მიწაში მარხავენ. ე. ი. მანამდე ისინი „ცოცხლები“ ყოფილან, რადგან რაღაცას გადმოსცემდნენ, ანუ შეიცავდნენ ინფორმაციას და წარმოქმნიდნენ სხვა სამყაროს.

მეცნიერების ერთი ჯგუფის აზრით, თეორიულად არსებობენ რეალობები, რომლებიც არანაკლებ ზემოქმედებენ ჩვენზე, ვიდრე სამყარო, რომელსაც რეალურს ვეძახით. ლაპარაკია შემოქმედებითად შექმნილ სამყაროებზე. ამის თვალსაჩინო ნიმუშად, თუნდაც ზღაპრებში აღწერილი რეალობები გამოდგება. ასევე ფილმები, წიგნები, მუსიკა და ნახატებიც კი. აი რას ამბობს „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“: „ჩვენ ძლიერ გვიყვარს ლიტერატურა, და თქვენგან, მისალოცთაგან განსხვავებით, დაწინაურებას სულაც არ ვცდილობთ, და სიკვდილისაც ნაკლებად გვეშინია, რადგან მრავალჯერ მოვმკვდარვართ და ყველაფერი, აჰ, ყველაფერი გამოგვიცდია – მეფედ ვუკუერთხებივართ, სიკეთისთვის ხის ხმლით გვიბრძვია, ხან დაფნა დაგვიდგამს თავზე, ხანაც – ეკალი“. თავისთავად, განა უცნაური არ არის არგუმენტად გამოგონილი პერსონაჟის ციტირება?

ამ ფენომენს, პროფესორი ტოლკინი თავის ესეში – „ჯადოსნურ ზღაპრებზე“, „მეორედ რეალობებს“ უწოდებს – სადაც, „მეორადში“ ხელოვნების ნიმუშებს გულისხმობს, იმ პირობით, რომ პირველადი რეალობა ჩვენი სამყაროა, ღმერთის შექმნილი. ადამიანი ხომ ღვთის ხატია და ალბათ შემოქმედება მისთვის ბუნებრივი პროცესია. აგერ, ამისი უტყუარი დასტურიც: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“. (დაბ. 1:27). თვითონ ტოლკინი მთელი ცხოვრება ასეთ „პარალელურ სამყაროს“ ქმნიდა, სახელწოდებით – შუამიწეთი, თავისი ჰობიტებით და რომელიც მომავალში მთელი ევროპის



**დაიბადა 1967 წ. თბილისში. 1992 წ. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი. პარალელურად სწავლობდა კინემატოგრაფიის მეორად ფაკულტეტზე. 1998 წ. იყო გრინელის (აშშ) ნატიფი ხელოვნების კოლეჯის სტაჟორი.**

არის ავტორი წიგნისა „მთელი ეს როკ-ნ-როლი“ („საბას“ ნომინანტი 2011 წ.) საქ. რადიოთეატრში დადგმულია მისი პიესები: „პლასტმასის ყვავილები“, „და სული აფრთხობს ჩვილის ნაზ ფიქრებს“, „ისევ მარწყვის მდელოები“ (ევროპული რადიოდრამის ფესტივალის ფინალისტი 2014 წ. ბუქარესტი), „თამაში ედემის ბაღში“, „ელვის ეფექტი“ (რეჟისორი), „7“ (რეჟისორი). პერიოდულად იბეჭდება პრესაში.

**ჰყავს მეუღლე და ვაჟი.**

საერთო მითოლოგიად გადაიქცა. ტოლკინის თქმით, შუამიწეთის იდეა თავად კონტინენტების განლაგებიდან მომდინარეობს და ის ფიზიკურად კი არ არსებობს, არამედ უფრო წარმოსახვის ნაყოფია.

რა საშუალებებით ხორციელდება შემოქმედების ეს საოცარი პროცესი? როგორც ერთ დროს მოსმენილი ლექციათა კურსიდან აღმოჩნდა – სიტყვებით, რომლებიც აზრს გადმოგვცემენ. აი კიდევ ერთი უტყუარი დასტური ამისა: „1. დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. 2. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. 3. ყველაფერი მის მიერ შექმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა“. (იოანე 1:1-3). სიტყვები ხომ ასობისაგან შედგებიან. ასობეს საკრალური მნიშვნელობა აქვთ და მათ სწორ კომბინაციას, თურმე ძალიან ბევრი რამ შესძლებია – ყველაფერიც კი...

„ბასკერვიელების ძაღლის“ კითხვისას, ვისთვის არ დაუსხამს ცივ ოფლს? ან დორიან გრეი ავილოთ... ან კიდევ ბუღაკოვის – „მაესტრო და მარგარიტა“.

ბოლოს და ბოლოს – თუნდაც ლუის კეროლის „აღისა“... ერთი სიტყვით, როგორც ისევ „მაესტრო“ (დონანაშვილის) ამბობს: იყო მკითხველი – ეს სასწაულიაო, მწერლებსა თუ მხატვრებს რომ არაფერი ვთქვათ. ძველებრავი მისტიკური ტრადიციით (და არა მხოლოდ): „უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების ქარით – მთელი მისი საკრებულო“. (ფსალ. 32:6). გამოდის, რომ ჩვენც რომელიღაც „ნაწარმოების“ პერსონაჟები ვართ, თან ტექსტუალურის, რადგან: „მე ვარ ანი და ჰოე, – ამბობს უფალი ღმერთი“ (გამოცხ. 1:8). ნუთუ აქ ასოები მხოლოდ აღეგორიაა?

ისევ იმ ლექციათა კურსიდან (იგივე ძველებრავი მისტიკური ტრადიციით):

როდესაც ღმერთმა სამყაროს შექმნა განიზრახა, ასოები ჯერ კიდევ დაფარული იყვნენ.

დაიწყეს ასოებმა ღმერთთან მიახლება, ბოლოდან პირველისაკენ თანამიმდევრობით.

თითუელმა ღმერთს თავი შესთავაზა სამყაროს შესაქმნელად.

ღმერთმა ყველა განიხილა და დაელოდა.

ბოლოს „ბ“ (ბეტ) ეახლა.

ღმერთმა გადაწყვიტა: შევქმნი სამყაროს შენით და შენ იქნები დასაბამი სამყაროსი.

დარჩა მხოლოდ „ა“ (ალეფ), რომელიც არ მიახლება ღმერთს.

ჰკითხა ღმერთმა: რად არ მეახლე სხვებივით?

მან მიუგო: ვიხილე, როგორ უარყავი ყველა და ბეტ („ბ“) მოიწონე. ამას ხომ აღარ შეცვლი.

თქვა ღმერთმა: ბეტით („ბ“) შევქმნი სამყაროს, მაგრამ შენ გაუძღვები დანარჩენ ასოებს და ჩემი სიდიადე შენში გამოიხატება...

ხელოვნების ნებისმიერი ნიმუში „პარალელურ“ სამყაროს ქმნის, რომელიც ასე სჭირდება ადამიანს. ხშირად ის იმდენად აშკარაა, რომ ერთი სული გვაქვს

(მისალოცებს) იქ მოგზაურობისა. მეტიც – იქაური გმირები ჩვენს რეალობაშიც კი იჭრებიან, მატერიალურად. ალბათ ამიტომაც აუგეს „არარსებულ“ შერლოკ ჰოლმსსა თუ ღონ-კიხოტს ძეგლები, მათი ავტორების კვალდაკვალ. ეს პროცესი, მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით აქვს აღწერილი ვუდი ალენს, თავის ფილმებსა თუ ნოველებში, რომლებშიც გმირები თავიანთი ფანტაზიის მეშვეობით თავისუფლად გადადიდებიან რეალურსა და გამოგონილ სამყაროებს შორის. მარტო „კუგელმასის შემთხვევა“ რად ღირს, სადაც საბრალო სიდნის – ლიტერატურის პროფესორს, „ქალბატონი (ემა) ბოვარი“ ისე შეუყვარდება, რომ ბოლოს ნიუ-იორკშიც კი „ჩამოიყვანს“.

პირადად ჩემი, ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ამგვარი გამოცდილება, რეზო ესაძის ფილმ „ერთი ნახვით შეყვარებასთან“ იყო დაკავშირებული. მისი ნახვის შემდეგ გაურკვეველი ვადით, თითქოს მეც იმ ეზოში დავსახლდი, რომელშიც ფილმის გმირები ცხოვრობდნენ. რა დასამალია და – ანთა (როლის შემსრულებელი – ნატალია იურიზდიცკაია) გამო, აივნთან სახლში რომ ცხოვრობდა, მეორე სართულზე. დროთა განმავლობაში ეს ილუზია, რა თქმა უნდა, გამინელდა და მიმავეწყდა კიდევ, მაგრამ ამას წინათ თავი ისევ შემახსენა, როდესაც ჩემი სამსახური ქალაქის ერთი რაიონიდან მეორეში გადავიდა. ასე რომ, დილაობით სახლიდან გამოსულს მარშრუტის შეცვლაც მომიხდა. ადრე ამ ქუჩით თითქმის არც ვსარგებლობდი. ერთი სიტყვით, ასე გავიცანი აქ, ჩემი მეზობელი, ერთ დროს საკუთარი „მეორე მე“ – მურატი, ამავე ფილმიდან (მსახიობი – ვახტანგ ფანჩულიძე).

ანიას კი, ღღემდე ვერსად გადავაწყდი...

## ჩვენს ინანიში:

\* \* \*

მე მაინც დავწერ. არ ვიცი, ვისთვის, დიდებისა თუ პატარებისთვის, მაგრამ მაინც დავწერ ქალაქის განაპირა ხრიოკებში ტანჯვით მცხოვრებ ხეებზე, ადამიანთა მიერ დარგულ და მუდმივი ტანჯვისთვის განწირულ ხეებზე, ზედ შემომსხდარ ჩიტებზე, ნაადრევად დაცვნილ მათ დახრუკულ ფოთლებზე, წყრომით დამავალ დიდ ჭიანჭველებზე...

\* \* \*

თავგზას მიბნევეს დიდი მასშტაბის ნგრევები, რომელთა საფუძველზე შემდეგში უნდა აღმოცენდეს ახალი დიდი ნაგებობანი. აქედან მომდინარეობს, ეტყობა, ის მორიდებულობაც, რომანს რომ არ ვეკიდები არასოდეს.



# ჩვენი ხატია



გუძღვნი  
მეგობარ პოეტს  
– ნაზი უშიკიშვილს

**ნაზი უშიკიშვილი** – უსინათლო, მაგრამ სულიერი თვალთ მხედველი სათუთი სულის პოეტი, მისი ლიტერატურული ფსევდონიმი გახლავთ ინა-ვინანი. წერს ლექსებს, მოთხრობებს, ესეებს, არის ფილოლოგი, მუშაობს უსინათლოთა საზოგადოების კულტურის სახლის ბიბლიოთეკაში უფროს ბიბლიოთეკარად. მისი შემოქმედება იბეჭდება ამავე საზოგადოების ჟურნალ „სინათლესა“ და ლიტერატურულ აღმანახში „შუქი სულისა“.

გთავაზობთ მაცვალა გერმანოზაშვილის ჩანახატს და ნაზი უშიკიშვილის ლექსებს.

ბამბაქულა სახეზე ჩასმული დიდრონი, თაფლისფერი, ცნობისმოყვარე თვალები ბავშვს უფრო მიმზიდველსა და მისაფერებელს ხდიდა...

- რა საყვარელი გოგონაა?!
- რა საოცრებაა?!

გამვლელები უყურადღებოდ და უკომენტაროდ არ ტოვებდნენ.

თვალშისაცემ გოგონას თვალი ეცემოდა ხოლმე...

ერთხელ, ცამოწმენდილზე, მზის სხივებს გაუსწორა თვალი. რვა წლის იქნებოდა, ფიქრი რომ აედევნა, სამყაროს მანათობელი როგორ ანათებს ასე უანგაროდ თავის სხივებსო?!

მზეს ედარებოდა მზეჩამდგარი თვალებით...

- რა გქვია პატარა, ლამაზო ქალოო?!
- ისიც არ დაუგვიანებდა პასუხს გამვლელებს;
- ნაზიო.
- მზე ხარ, მზექალაო!...

თბილი სიტყვებით მიუსიყვარულებდნენ.

მართლაც, მთელს გარესქნელში მზე ამოერჩია და მის სხივებს ირეკლავდა თავის უცოდველ, უმანკო თვალებში. მზეც უშურველად ანათებდა პატარა გოგონას.

პატარა ნაზი, მზის ნაწილადქცეული, სადაც იყო, ყველგან ასხივებდა,

დედმამიშვილებისა და მშობლების მოსიყვარულე და გამხარებელი.

ვერავენ დაასწრებდა მშობლებთან ჩახუტებას...

დედის გამოჩენას გამორჩეული დედაშვილური სიყვარულით შეეგებებოდა, ჩაეკონებოდა. მისი საქციელი

უჩვეულო იყო ჩვეულებრივ მოკვდათათვის, თორემ მზისწილი სხვანაირად როგორ მოიქცეოდა?!

ჰოდა, ჩვეულებრივთათვის არაჩვეულებრივი, უჩვეულოდ თვალშისაცემი გამხდარიყო პატარა ნაზი...

რვა წლის იყო, როდესაც ბატონებმა მიაკითხეს, წითელა ბატონებმა.

ბატონები ხომ სუფთა სულისა და სუფთა გულის ადამიანებს ეძებენ, უმეტესად ბავშვებს სტუმრობენ და ბავშვებშიაც არჩევანს აკეთებენ...

ჰოდა, ბევრი ფიქრი არ დასჭირვებიათ, პატარა ნაზის ესტუმრნენ. ნაზიმაც ისე ჩაიხუტა, – ბატონებს კარგი მასპინძლობა უნდათო, – გაშვება გაუძნელდა. სტუმრები მასპინძლებად შეისახლა. ბატონებმაც თავისი ნიშა დაასვეს. იფიქრეს;

- პატარა გოგონა ამოდენა მზეს როგორ ჩაიტევს თვალებშიო, მოდი, სულში ჩაგუსახლოთ მზე, დღეს რაღა განათება უნდა, მთავარია, ღამე გაამზიანოსო და...

ერთხელაც დედამ სახლის კარი შემოაღო. უჩვეულო რამ მოხდა იმ დღეს...

პატარა ნაზის გარდა ყველა შეეგება და ჩაეხუტა დედას. ის იღვა, ვერ გაერკვია, როგორ უნდა მოქცეულიყო, ან რა ხდებოდა მის თავს?!

- ჩემო თვალნათელო! რატომ არ მეხუტები? დედის სიტყვების გაგონებაზე წვიმამ იწვიმა ნაზის თვალებიდან...
- ვერ გხედავ, დედა!

გაისმა დაბნეული ბავშვის ბავთავან.

იმ დღიდან მზისა და დედის განუყრელ ნაწილად იქცა. მზესთან და დედასთან ხელჩაკიდებული ნაზი

უკვე შიგნიდან აფრქვევდა უჩვეულო ნათელს, მაგრამ დღეს ვერ ხედავდა, ღამე ჩამდგარიყო მის თვალებში...

თავდაპირველად უკვირდა ბავშვს;

– ეს რა ხდებაო?!

კვლავ დაეძებდა მრავალ ფერს, მაგრამ ის ფერები კაშკაშა სინათლეს გაეფერმკრთალებინა.

მინავლებული ბავშვის სამყარო ფრავგემენტებად შემოინახა ნაზიმ.

იზრდებოდა, მშვენივლოდა, სწავლობდა, მეგობრებთან მეგობრობდა,

მაგრამ რაღაც უშლიდა ხელს. მართალია, ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც არ ხდებოდა ისე...

სიმართლესა და სინათლეს გარშემომყოფნი თვალს ვერ უსწორებდნენ, ვერ ატყუებდნენ.

მზესთან ერთად ნაზიმ გაიერთგულა ბრაილის საწერი ფანქარი და ფურცელი. გულისტკივილი ქალღმერთზე წერტილებად იტვიფრებოდა... ტკივილს ფურცელი იზიარებდა. ასე იქმნებოდა ბრაილის ანბანით მისი ლექსები, მოთხრობები, ჩანახატები, ესეები...

სკოლის დამთავრების შემდეგ სიტყვისმადიებლობის სპეციალობას დაეუფლა... უნივერსიტეტში თანაკურსელებს თავისი სიკეთით შეაყვარა თავი...

– ჩვენი ხატია მოვიდაო...

სიხარულით ეგებებოდნენ. მეგობრების თვალწინ ნოდარ დუმბაძის მოთხრობის ცოცხალი, ხოცშესხმული ხატია გამოჩნდებოდა...

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ უსინათლოთა კულტურის სახლის ბიბლიოთეკარია. მის სამყაროს მზესთან ერთად ქართველთა უცხოელ მწერალთა შუქი ამზიანებს, რომელსაც უშურველად უნაწილებს მკითხველებს, თანამშრომლებს, მეგობრებს...

მისი ფიქრები ღამის გამზიანების მცდელობაშია. უჩვეულო სამყაროს ქმნის...

ჩვეულებრივი მოკვდავი თვალხილულნი, რომლებიც დიდ სინათლეს თვალს ვერ უსწორებენ, მოჭუტავენ ხორციელ თვალს და სწორედ მაშინ ხდება მათ შინაგან არსებაში მზის შებრძანება, სულიერი თვალის გამოღვიძება, გაყინული გულის გაღვლილება და ფიქრი იმის შესახებ;

– რა საოცარია სამყარო, უსინათლოს რა ძალა მიჰმადლა უფალმა, რომ ჩვენი სულის ჩარაზული, ფარდაჩამოფარებული სარკმელი გააღო და უჩვეულო სინათლე ჩაგვისახლა?!

ხშირად ვფიქრობ მზეჩატეულ შემოქმედ ადამიანზე, რომელსაც, უბრალოდ, ნაზი უშიკიშვილი ჰქვია. ჩვენი, მკითხველთა სულის სარკმელს მზის სხივის გასაღებით აღებს და თავისი გულის სითბოთი და სიყვარულით გვიმზიანებს.

## იები

არ მოჰყოლიათ თან გაზაფხული და ჟრიაშილი ჩიტუნების...

მოვიდნენ ფრთხილად დეკემბრის სუსხში, ჩუმი მუსიკა მესმის იების.

ზამთრის საღამო უვლის აივანს...

თავგანწირვაა ახლა სურნელი, ალბათ, არასდროს არ არის გვიან, თუკი მზის სხივებს ქსოვენ სულელები.

## გვირილები

მეგობრის ნაჩუქარ ყვავილებს არ ედრის ყვავილი არც ერთი,

წამიერ ყველაფერს მაინც ყვებს, მიაძებს სიცოცხლეს გაცრეცილს.

მეგობრის ნაჩუქარ ყვავილებს ვინუტებ, ვსასოებ, ვინახავ...

თითქოსდა ბავშვობას მიღვიძებს, თითქოსდა დაკარგულს მინახავს.

მზიანი ამინდით ორსული

ძვირფასი ყვავილი გვირილა...

ჩვენ ერთი მინდვრიდან მოსულნი, ერთად შეჭვნობისკენ მივდივართ.

მეგობრის ნაჩუქარ გვირილებს

ვერ ედრის ყვავილი არც ერთი...

მწუხრისფერ გზა-სავალ ბილიკზე მათ გულელებს ყოველთვის ვეძებდი.

## გაზაფხული, იები და თქვენ

გაზაფხული ვერ დაგასწრებთ ყიჟინას სუსხიანი ამინდების შემდეგ...

ვერსად წახვალთ ჩემი ხსოვნის ბინიდან – გაზაფხული, იები და თქვენ.

შემოიხსნის მწუხარების მანტიას,

გაიცინებს, გაბავშვდება მარტის დღე,

გამომიხსნით წამიერად დარდისგან

გაზაფხული, იები და თქვენ.

დასახლება მომინდება ტოტებზე,

წვიმა, როგორც ჟრუანტელი მომდევდეს...

დამაფიქრებთ ოცნებიან შორეთზე

გაზაფხული, იები და თქვენ.

ხან თუ ყოფნა უფრო მწარედ მომბეზრდეს,

შიში ხვალის ყორანივით მომდევდეს...

შეირხვეით ჩემი ხსოვნის მოლბერტზე –

გაზაფხული, იები და თქვენ.

სვეტიცხოველი

სვეტიცხოველო, ერის გუმბათო,  
 სვეტიცხოველო, ერის დიდება,  
 მტკვრის და არაგვის შემრიგებლო,  
 შენ როცა გიცქერ, ცრემლი მდინდება...  
 სვეტიცხოველო, ქართველი ერის,  
 შარავანდელო და სულ მფარველო,  
 სვეტიცხოველო, შენ საქართველოს,  
 დილო ტაძარო, მსურს გეაღერსო...  
 სვეტიცხოველო, ორი მდინარის,  
 მადლის, მირონის მუდამ მცხებელო,  
 სვეტიცხოველო, ერის ტაძარო  
 და უძლეველთა დამმარცხებელო...  
 სვეტიცხოველო, მადლი გაქვს დიდი  
 და ეს შენს ქვასაც დღემდე ეტყობა,  
 შენი ლოცვა და ზარების რეკვა,  
 ჩვენს სულში მუდამ სიმაღ ეწყობა...  
 სვეტიცხოველო, ამაღლებულო,  
 შენ არსაკიდის ტკბილო სიმწარე,  
 ხუროთმოძღვარმა როცა აღმართა,  
 მისი ქმნილება უცხად იწამეს...  
 მაგრამ შური და გაუტანლობა,  
 ქართველისათვის მძიმე სენია,  
 გმირს და ნიჭიერს არ გაგახარებთ,  
 თითქოს ის ჩვენი სისხლის მსმელია...  
 შენს შემთხვევაშიც ეს ასე მოხდა,  
 ბრძანება იყო მკლავის მოკვეთის,  
 ამით ორმაგად გააძლიერეს,  
 შური მტრისა და შური მოკვეთის...  
 თუმცა ეშმაკმა არც ეს იკმარა,  
 მას კიდევ სურდა მსხვერპლის გაღება



და ყველაფერი გამოუვიდა,  
 შურის და სისხლის ერთად აღება...  
 როცა ასულმა კოლოკნელიძის,  
 მიჯნური მკლავის მოჭრა გაიგო,  
 მან ამ ძვირფასი სიყვარულისთვის,  
 ქარაფებისკენ გეზი აიღო...  
 მკლავის მოკვეთის ბრძანება, მეფე,  
 შენს პირს არ უნდა აღმომხდარიყო,  
 არა მგონია, რომ ის გინდოდა,  
 შორენა კლდიდან გადმომხტარიყო...  
 სვეტიცხოველო, შენ ის ძალა გაქვს,  
 ქართველს რომ დღემდე არ ავიწყდება,  
 ზემოდან გიცქერს შენ მცხეთის ჯვარი,  
 რომელსაც შენი ახსოვს დიდება...  
 მართლაც, სვეტი ხარ უზენაესის,  
 თუმცა მტერს არ სურს ამის გაგება,  
 ჩვენ შეიძლება მოგვჭრან მკლავები,  
 მაგრამ კვლავ შევძლებთ ტაძრის აგებას!...

მე პაოლო ვარ

ნიმუ ჩხიპიშვილი

ნაწყვეტი

მცირე ბიოგრაფიული რომანიდან – „მე პაოლო ვარ“

შუადღისას ჩათვლიმა სერგოს და პაოლოზე ფიქრი ჩაჰყვა ძილში... მერე, ფანჯრის რაფაზე, უცნაურმა კაკუნმა გამოაღვიძა: ბელურა დამჯდარიყო. პაწაწინა ნისკარტით მინაზე გამეტებით ურტყამდა.

უფალო! გალაგნის ყორეზე დამნიშნე ბელურა ჩიტად! – მოაგონდა სერგოს პაოლოს სტრიქონები.

– იქნებ პაოლომ მომაკითხა? ძმობილო! გვენატრები, მეც, კოლაუსაც, ჩვენლა დავრჩით და... ჩვენც მალე მოვალთ!

ძმობედ წამოდგა სერგო. ფანჯარა შეაღო. პურის ნამცეცები დაუყარა, თან ისე გაუღიმა იმ პაწია ჩიტს, თითქოს, მეგობარი დაენახოს.

– არა, მაინც ეს რა მესიზმრა? – ეტყობა კოლიას იმ წერილს რომ ვკითხულობდი. კოლიას დავურეკავო, – გაიფიქრა და ყურმილს დაწვდა.

მონუცის ხმამ უპასუხა:

– კოლია, მე ვარ, სერგო ვარ, კოლია, მიცანი? – გაიმეორა სერგომ.

– როგორ ვერ გიცანი, სკლეროზი მე კი არა, შენ გაქვს, – მიუგო პოეტმა და ორივეს გულიანად გაეცინა.

– რა დამემართა თუ იცი?

– რა?

– სიზმარი ვანახე!

– სიზმარი?

– ვითომ პაოლოს თვითმკვლელობის საქმეს სასამართლოზე განიხილავდნენ. ყველანი იქ ვიყავით და... კიდევ ვინ იყო, თუ იცი?

– ვინ?

– ბესო ჟღენტი, სერგი ჭილაია...

– მჰ, უყურე შენ! „მესამეც“ დაგესიზმრებოდა, შენი ამბავი რომ ვიცაი...

– კი, ირაკლიც იქ იყო!

– ცუდი სიზმარი გინახავს! რაო, რა ბრძანეს ვაჟბატონებმა, სიზმარშიც არ უნდა გვასვენებდნენ? თუ... სიზამაში კარგად იქეცოდნენ?

– ჯანდაბა მაგათ, იცი რა?

– სერგო, მოიცა, სიტყვა არ დაგავიწყეს, რადაცას გეტყვი...

– რას?

– მგონი, ჭილაიამ ვილაცა მომიგზავნა?

– რას ამბობ?

– იმ დღეს სტუდენტი გოგონა მომადგა.

– რაო, რა უნდოდა?

– ჰმ... მეო, ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი ვარო, თქვენთან საუბარი მინდაო?

– უყურე ერთი?



– ვუთხარი, თუ კომუნისტი ხარ, აქ არ დაგინახო-მეთქი!

– მერე, მერე?

– არა, არ ყოფილა კომუნისტი... დიდხანს ველაპარაკე, ბოლოს ვკითხე თქვენი კათედრის გამგე ვინაა-მეთქი?! სერგი ჭილაიასო ჩვენი კათედრის გამგეო, მომხანარა.

– უყურე ერთი!

– იმიტომაა ჩვენი ლიტერატურის საქმე კარგად, სერგი რომაა თქვენი კათედრის გამგე-მეთქი, ვუთხარი. შეცბა. დაიბნა კიდევ.

– კოლია, თუ ჭკუა აქვს იმ გოგოს, დაფიქრდება, რატომაც უთხარი ასე, თუ არადა... მეტი დარდი არ გვქონია მე და შენ. არა, მაინც რამ დამასიზმრა, ეს სასამართლო, გადაირევი კაცი...

– სიზმარს რას გაუგებ?

– არა, თქვი, კოლია ახლა, საოცარი პოეტი იყო თუ არა პაოლო?

– რას ამბობ, მირონცხებუელი! ჭეშმარიტ პოეტად დაბადებული...

– მისი ექსპრომტები რომ ჩაგვეწერა... გახსოვს, შენ, მისი ერთი ლექსი?

– რომელი?

– არ ვიცი, შემორჩენილია თუ არა, იქნება კი ინახება სადმე, ზეპირად მახსოვს ბოლო სტროფი...

– მითხარი, ერთი!

– თითქოს ავდარში დაღლილი წერო,

ვერ შეგაფარე წვიმას და ქუხილს.

მოდის ზაფხული საბედისწერო,


მიახლოვდება სექტემბრის მწუხრი...

– ჰმ, წინასწარმეტყველურია!

– ეჰ, ჩემო სერგო, რას გეტყვი იცი? ვერა, ვერ ვივარგეთ, ვერ გავუწიეთ ისეთი მეგობრობა, როგორც პაოლოს ეკადრებოდა.

– აბა... რამდენი ლექსი დაგვარგეთ და... ის ავანტურისტკა რეებს ბოდავდა. აბაშიძესაც გაუგია, იცოდი? კოლია, იცი, რაზე მწყდება გული?

პაილის ჩანახაფში



- ჰო... ჰო...

- რაზე და... ცხოვრებას ვამთავრებთ იმ დროს, როცა ქართულ ლიტერატურაში განუკითხაობის ეპოქა დგება. წლები უვიცობისა და ლიტერატურული უღელურობისა. იმის ნაცვლად, რომ იზრუნონ თავიანთ თავზე, ლანძღავენ და ჭორიკნობენ პაოლოზე, ტიცციანზე და სხვებზე. ამით ცდილობენ, თავიანთი უნიჭობა, უფერულობა და ზედმეტობა დაფარონ.

- კი, კი, ვიცი ეგ ყველაფერი, ჩემო სერგო და... ვეცდები აძლენ უვიცობას პასუხი გავცე... თუ ძმა ხარ, სერგო, თუ ნახო ის ქალბატონი, ურჩიე, შემთხვევით არსად გადამეყაროს, თორემ... ვერ მოვუთმენ, შევარცხვენ ხალხში.

...ახლა ქალი რომ არ იყოს, სხვანაირადაც გავუწვორდებოდი, მაგრამ ქალია. ვერც მაშინ ავწიე მასზე ხელი იმ შეკრებაზე რომ დაიწყო, მეო, პოეტთა მუზა ვიყავიო, პაოლოსა და მეო რომანი გვქონდაო! და თან ათასი სისულელე მოაყოლა. სერგო, შენ მაინც კარგად იცი, პაოლოს ხსოვნას არავის შევებღალინებ, არა ბატონო, გალაქტიონსაც კი...

- კოლია, იმ ქალის ნაბოღვარი ნამდვილი რომ იყოს, გალაქტიონს გამოაპარებდი მაგას? ხომ იცი, როგორ გააფორმებდა, მოსდებდა ქვეყნიერებას.

- აბა, რას იზამდა?!

- კოლია, გახსოვს რა მოსწერა პასტერნაკმა ნინა მაყაშვილს?

- სერგო, ყველაფერი როგორ იცი? რაო, რა მოსწერა?

- 38-ში ახალი წლის დამდეგს, ვაჟი შეეძინათ...

- კი, ეგ ვიცი!

- ჰოდა, პასტერნაკმა, მინდოდა, ახალშობილი ბიჭისთვის, პაოლოს სახსოვრად პავლე დამერქმია, მაგრამ ჩემი ცოლი ატირდა, შეაკრთო სიმწარის, მწუხარებისა და იღუმალებით მოცული აღსასრულის სიახლოვემო.

- ეჰ, ჩემო სერგო... ის, რამაც წარუშლელი სისხლიანი კვალი დატოვა, სხვათა შორის, მოსაგონებელ

საგნად იქცა ლაზღანდარებისთვის და... მერე, ჩლუნ-გობრივი ლაყბობისას, სინდისის ქენჯნის გარეშე, რეებს არ როშავენ და ვერც წარმოუდგენიათ, რა საბრალო არარაობანი არიან!!!

ჰო, ასეა, ამიტომაცაა, არ ვერევი მაგათ მარაქაში. არც არავის ვიკარებ, სერგო, იცი შენ ეს!

- ჩემო კოლია, ასე მეგონა, პაოლო უკვდავი იყო, არც არასდროს დაბერდებოდა, ვერც ვერაფერი მოერეოდა... არა, მაინც რამ დამასიზმარა ასეთი სიზმარი?

- რატომ გიკვირს? მეც ასე მეგონია, ეს ყველაფერი გუშინ მოხდა...

- როგორც შენ მაშინ მოიქეცი... ჩვენ კი ვერ შევძელით...

- აბა რა მექნა?

- იცი, რა დაწერა მაშინ შენზე იმან...

- ვინ?

- აი, იმან...

- ვინ?

- ჰო, ჰო, მომაგონდა... ვინ და... როდღონ ქორქიამ!

- როდღონმა? რა დაწერა მაინც ამისთანა?

- მოიცა, ვიპოვნი და წაგიკითხავ, ავერ მაქვს, გადმოვიწერე იმ დღეს...

- წამიკითხე...

- ჰო... ჰო... მაცადე შე კაცო... ა, ვიპოვნე... მისმენ?

- გისმენ, გისმენ, დამაყენე საშველი!

- მისმინე...

- ჰე, მიდი!

- დრო იყო შიშისა და სიჩუმის, სილაჩრისა და თავის დაზღვევის, დრო ქართული რაინდობის დაკარგვისა და ასეთ დროს კოლაუ ნადირაძე აღმოჩნდა ერთადერთი ქართველი მწერალი, რომელმაც შეინარჩუნა ქართველი ადამიანის ხასიათი. ასე რომ, არ ყოფილა მომავლისკენ ყველა კარი დახშული! იმ დღეს კოლაუ ნადირაძემ ქვეყნის მომავლისკენ იმედის ფანჯარა გააღო!

ალო... ალო... გესმის კოლია?

- ჰო, მესმის, მესმის! უყურე შენ როდღონს, მე ეგ კომუნისტების მეხობზე მეგონა. ერთხელ მწერალთა კავშირში კინალამ შემომელახა, სიმონ ჩიქოვანთან ერთად და... უყურე შენ როდღონს! ბოღიში მომხადე, როცა ნახავ!..

- სადღა ვნახავ, კოლია ახლა როდღონს, ერთი თვის წინ გარდაიცვლა? ისე თუ წავედი იქეთ, ქე ვნახავ და... მოგიკითხავ აუცილებლად! - ჩაიფრუტუნა სერგომ.

- უფ, გარდაიცვლა?! ჰო, ჰო, მაპატიე, სერგო... იცი რა?

- რაო?

- მითხარი, გაფიცებ, პაოლოს ხსოვნას, შენ ხომ არ მოიგონე ეს და... როდღონს მიაწერე?

- აჰ, გეკადრება?

- აბა რა იცი, რა ჩაიწერა კაცმა უბის წიგნაკში...

- რა ვიცი და... როდღონის ქვრივმა წამიკითხა იმ დღეს, თვითონაც გაკვრებულე ყოფილა... და მერე იცი, რა მომხდარა???

– არა!

– რა და... ამ ჩანაწერის მერე ბერიას დაუბარებია ეს ჩვენი როლიონი... ჰოდა, იმ შეხვედრის მერე დაუწვია ცხონებულს საბავშვო მოთხრობების წერა!

– სერგო, რა იცოდა ბერიამ, რა ჩაიწერა საწყალმა როლიონმა თავის უბის წიგნაკში, არ გადამრიო?!

– რავა არ იცოდა, ბერიამ ყველაფერი იცოდა, შეკაცო!!!

– სერგო, იცი, რამ გადამარჩინა მაშინ?

– რამ და იღბალმა...

– ჰმ, ამას თუ იღბალი ჰქვია..

– იღბალს ეძღური???

– კარგი ერთი, ისე მეკითხები, თითქოს არ მიცნობდე... რას მალაპარაკებ ამდენს?

– ჰო, ჰო, სულ დამავიწყდა, ტელეფონზე რომ ვლაპარაკობთ...

– სერგო, რას გეტყვი იცი?

– გისმენ!

– ვერ გამოდიხარ შინიდან?

– სიბერეს როგორ ვერ უნდა ვაჯობოთ, ბიჭო?

– ნუ გამაცინე!

– ჰო, რა იყო, ბერიას მოერიე და....

– პაოლომ ჩამავონა...

– პაოლომ?

– მაშინ... მეც დამიტოვა წერილი...

– წერილი?

– ეს არასდროს არავისთვის გამიმხელია...

– რას ამბობ?

– ასე იყო ჩემო სერგო და არ მინდა, ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, ეს წერილი არ გაჩვენო.

დაუბეჯითა მეგობარმა. მგონი, რაღაცის თქმას კიდევ აპირებდა, მაგრამ სატელეფონო კავშირი მოულოდნელად გაწყდა.

\* \* \*

შუაღამე გადასული იყო: პაოლომ სამივე წერილი დაწერა, ჯერ მედეასათვის, მერე მეუღლეს. ბერიასაც დაუწერა ორი სიტყვა და... უეცრად, მისდა უნებურად ხელში ის რვეული მოხვდა, იმ დღეს კოლაუმ რომ აჩუქა. დახედა. გაეღიმა პაოლოს: მოაგონდა, როგორ აარიდა უკანასკნელად თავი მასთან საუბარს. გული შეეკუმშა. წერა დაიწყო. შეუჩერებლად წერდა. მერე გადახია და... ახლა სხვა გვერდი ამოხია კოლაუს ნაჩუქარი რვეულიდან:

ჩემო კოლაუ!

ვინ და ვინ... და შენ მიმიხვდები, რატომ გადავწყვიტე ასე დავასრულო სიცოცხლე...

არ მიატოვო ჩემი მედეა!

ხვალ კი... როცა ამ ამბავს გაიგებ, უნდა უარყო!

სხვა გზა ბერიამ არ დამიტოვა, იქნებ ამითი გადავარჩინო ჩემი ოჯახი, გადავარჩინოთ, თქვენ, ყველა, ცისფერყანწელები!

მშვიდობით!!!

შენი მოყვარული ძმა – პაოლო.

ერთი ლექსი

## ვასილ ბოსტაშვილი

\* \* \*

ორნახადივით მოწვეთავს წვიმა,  
შემოსხლომიან სუფრას ხეები.  
მოწანწკარებს და  
ჯაჭვს იკრავს მძივად,  
აღღერებლებენ ხეებს ხეები.  
ექოს ჩამოსდევს ქარვის ფოთოლი,  
თუ წინაპართა ადამ-წესს ყვება.  
საწუთრო მოჭკავს ზღაპრად მოთოვილს,  
ტკბილად მღელვარეს –  
ჩონგურის ხმებად.  
შოშმინად მისდევს სულთა მდინარე,  
ლოცვით გამომთბარ ნავენახარებს.  
ღრუბლებში თავს რომ მოიმიძინარებს  
და სიყვარულის ცრემლი ახარებს...  
მღუღარე სითხით სავსეა სურა  
და ბერიკაცთა მკლავებში ცურავს.



ვასილ ბოსტაშვილის ნახატი



განუმეორებელი ანა



ქართულ მწერლობაში, მე-20 საუკუნეში, პოეტი და პროზაიკოსი ქალების ფერადოვანი თაიგული მოგვცა, მაგრამ, მათგან, მხოლოდ ერთს ხვდა ბედნიერება: – „ცაში სწვდებოდეს ლაჟვარდებს“... ეს მარტო ანა კალანდაძემ შეძლო და თანაც, როგორ... ტიცციანს რომ დავესესხოთ: „მოვარდნილ მეწყერს“ ჰგავდა მისი შემოსვლა პოეზიაში, მოვიდა და თან მოიყოლა თვალმარგალიტი ლექსების ციმციმი, ელვარება და სურნელი.

ის-ის იყო დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი, გადაიარეს სისხლის წვიმებმა, მიწყდა ზარბაზნების ქუხილი, ცის გუმბათიდან აიკრიფნენ ფაშისტი სვავები და ძერები. სწორედ ამ დროს, ქართული პოეზიის ცის კაბადონზე, ცისკრის ვარსკვლავით აკაშკაშდა ანა კალანდაძის სახელი. ეს არ იყო იოლი, მაშინ, როცა თბილისის ქუჩებში დაბაიჯებდა პოეტების მეფე, – გალაკტიონი, დაწერილი იყო „მთაწმინდის მთვარე“ და „მერი“, ქართლსა და კახეთს უმღეროდა გიორგი ლეონიძე, თბილისს – იოსებ გრიშაშვილი... და, ასეთ დროს, ქართული ლექსის ბრწყინვალეობით განებივრებული ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, უეცრად მონეტქილმა ქალურმა პოეზიამ, არა მარტო მონიბლა საქართველო, არამედ, გააოცა კიდეც.

ანა კალანდაძე არავის ჰგავდა, არავის ბაძავდა...

მოუხსმინოთ დიდებულ ქართველ მწერალსა და კრიტიკოსს, გურამ ასათიანს: „ომი ახალი დამთავრებული იყო, როდესაც მწერალთა კავშირის პატარა დარბაზში, მაჩაბლის ქუჩაზე, ახალგაზრდა უცნობმა ქალმა წაიკითხა თავისი პირველი ლექსები.

ამ დარბაზში, ამ დღეს, დაღლილი, მორცხვად ჩაცმული, ნაშიმშილები, ნირშეცვლილი ადამიანები ისხდნენ, ოთხი მძიმე წლის მანძილზე გამკაცრებული სახეებით.

და აი, დარბაზის სიჩუმეში გაისმა სუსტი ხმა, რომელსაც მოჰქონდა რაღაც ამ ადამიანებისთვის ყველაზე საჭირო, ყველაზე აუცილებელი, ყველაზე

მონატრებული რამ, იმ დიდი წყურვილის დამარწყვლებელი, რომლის არსებობა ზოგს გადაავიწყდა კიდეც...“

მერე ერთიანად ამღერდა დიდი და პატარა: – „საქართველო ლამაზო“, „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა“, „შენ ისე ღრმა ხარ,“...

თავად ვარ მომსწრე და მონაწილე, როგორ სპონტანურად ვაქციეთ პოეზიის საღამოდ, ვაკის ბაღში, სამეცადინოდ გასულმა სტუდენტებმა, ერთი დღე, თუმცა, მეორე დღეს გამოცდა გველოდა მიკრობიოლოგიაში. ვილაცამ წუთშესვენება აიღო, ამრიგალებულ ხეს შეხედა და წაილიღინა: „ქარი გიმღერის ნანასა“... თითქოს ეს გვინდოდა, ველოდით კიდეც... ვილას ახსოვდა მიკრობიოლოგია და პასტერი... ერთიანად ვიყავით ანა კალანდაძის პოეზიით მოჯადოებული და ავსილი... რიგრიგობით კვითხულობდით მისი წიგნის საუნჯიდან გათავისებულ მარგალიტებს: „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“, „ამ სურით სვამენ“, „კარში გამო, ჭია-ჭია მარია“, „ბოშა ქალი“, „დამილოცეთ, ძმებო“... ერთმანეთს ვეჯიბრებოდით დეკლამაციაში, ანა კალანდაძის შემოქმედების ცოდნაში, ლექსის სიღრმისეულ განცდასა და გააზრებაში.

ღიას, უზადო და თავანკარა ანა კალანდაძის პოეზია, ისეთივე მაღალი, როგორც ქართული ცა, ისეთივე წმინდა და ფაქიზი, როგორც თავად პოეტი ქალი, უბრალო, უკარება, რიდით სავსე, მიუწვდომელი და შემძლებელი.

პოეტ ქალს თავყვანს სცემდა მთელი საქართველი და პოეზიის დედოფლის რანგშიც ერთსულოვნად აიყვანა. მას ყველგან იწვევდნენ, პატიჟებდნენ, გულთბილ შეხვედრებს უწყობდნენ. სტუმარ-მასპინძლობაში ეცილებოდნენ ქალაქები, რაიონები, სოფლები, დაწესებულებები, სასწავლებლები... და მიდიოდა პოეტი ქალი ყველგან, უშურველად, მოკრძალებით, თბილი გულით, ყოველგვარი ბრწყინვალეების გარეშე, იმ ნაქანდაკარი სტრიქონებით, მამულს, მზეს, სიცოცხლეს და ადამიანურ ღირსებას რომ უმღერიან.

მისი ცხოვრების ყოველი საიუბილეო თარიღი დღესასწაულს ჰკავდა. ფართოდ აღინიშნა დაბადების 50-ე წლისთავი. ეს დღე კასპის რაიონულმა გაზეთმაც მიულოცა. დაიბეჭდა ჩემი წერილი – „პოეტი ქალის შუადღე“ და ანას საუკეთესო ლექსები („განთიადი“, 8 მარტი, 1975 წ.).

კასპელებმა, ანა კალანდაძე, მოგვიანებით, 1982 წლის 10 დეკემბერს მოიწვიეს. მასპინძლობა კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა ითავეს.

მოვუსმინოთ ამ სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს, ქალბატონ ციცი შალუტაშვილს: „ზამთრის დასაწყისი იყო, მაგრამ შემოდგომის გამოყოფილი დარი იდგა, თბილი, უქარო... ანა კალანდაძე კასპის ინდუსტრიულ ტექნიკუმს ესტუმრა... შეხვედრა რაიკომის სხდომათა დარბაზში შედგა. რაიონის ხელმძღვანელებთან ერთად, მშრომელებიც გვეწვივნენ. მაშინვე გაიბა უხილავი ძაფი სტუმარ-მასპინძლებს შორის. ტექნიკუმის მოსწავლეები მსჯელობდნენ პოეტის შემოქმედებაზე, მისი ლექსების კითხვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს... მერე კი ტრიბუნა თვით პოეტ ქალს დაეთმო და იმდენჯერ დაგვატბო მშვენიერი ლექსებით, რომ თავადვე გაუკვირდა და თქვა: ამდენი ლექსი არსად წამიკითხავსო...“ („განთიადი“, 8 მარტი, 1985 წ.).

ოფიციალურმა შეხვედრამ ციცი შალუტაშვილის ოჯახში გადაინაცვლა. ქართული ტრადიციის დიდებულ რიტუალს, ლეხურის პირზე, გიორგი შალუტაშვილის ორსართულიან სახლში, ერთმანეთს ავსებდა სტუმარ-მასპინძლობის ხიბლი და ანა კალანდაძის ლექსთა სინარჩარე. პოეტი ქალი, შეხვედრით მიხიბლული და სიყვარულით გარემოსილი, არა მარტო შემოქმედებით, არამედ, თავისი უბრალოებით, კდემამოსილებითა და თავმდაბლობითაც გვხიბლავდა და გვაჯადოებდა.

ეს დაუევიწყარი შეხვედრა იყო პოეზიის დედოფალთან, გაუხუნარი, ფერუცკელი... მით უფრო ჩემთვის, რამეთუ საფუძველი ჩაეყარა ჩვენს პირად ურთიერთობას, დაახლოებას... ამ ყველაფერმა ბიძგი მომცა, რომ მისთვის სამადლობელო წერილთან ერთად, ჩემი წიგნიც, – „დიდსაჩიტეს განძეული“ გამეგზავნა, რომელიც კასპის ცემენტის ქარხნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, 1982 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

მალე საფოსტო გზავნილიც მივიღე, ანა კალანდაძე მწერს: „პატივცემულო ნორა! მადლობას მოგახსენებთ წერილისა და წიგნისათვის „დიდსაჩიტეს განძეული“. სიამოვნებით გავცნობი კასპის ცემენტის ქარხნის საინტერესო ცხოვრებას, კასპელი მეცემენტეების საქმოდ მძიმე შრომას და, თქვენი თქმისა არ იყოს, მოვიგონებ კასპში გატარებულ დღეებს. ამ წიგნით ნამდვილად კარგი და კეთილი საქმე გააკეთეთ! გილოცავთ... პატივისცემით ანა კალანდაძე. თბილისი, 12. 05. 83“.

ანა კალანდაძის დაბადების 60 წლისთავი ისე მოგვადგა კარზე, ვერ შევნიშნეთ.

რაიონული გაზეთის რედაქციამ, სადაც რედაქტორის მოადგილედ ვმუშაობდი, სპეციალური გვერდის მომზადება დამავალა. დახმარება კი ქალბატონმა ციცი შალუტაშვილმა და მისმა მეუღლემ, ცნობილმა მეცნიერმა და ლიტერატორმა, პროფესორმა (ანა კალანდაძის თანამშრომელმა ა. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში), გენადი ბურჭულაძემ გამიწვიეს. მალე, დასაბეჭდად გამზადებული მასალები სტამბაში გადავავზავნეთ, თუმცა, არ გვექონდა ანა კალანდაძის ფოტოსურათი, ამიტომ, თხოვნით მივმართეთ გენადი ბურჭულაძეს, რადგან, ვიცოდით, რომ იგი ანას მეგობარი და გულშემოტიკივარი გახლდათ და ფოტოსურათს აუცილებლად მოგვიტანდა.

მალე, გენადი ბურჭულაძის ბარათი მაახლეს:

„ქალბატონო ნორა! – მწერს გენადი, – გუშინ ქალბატონ ანას თქვენი გაზეთისთვის ვთხოვე ფოტო. მან იმ პირობით გამომატანა, რომ აუცილებლად მიგუტან უკან (მეტი აღარ დამრჩა და ეს სურათი ძალზედ მომწონს). ასე, რომ გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ (ნეგატივის გადაღების შემდეგ უკანვე გამოართვით).“

რაკი ეს სურათი მას გამორჩეული აქვს, სასურველია სწორედ მისი გამოქვეყნება.

პატივისცემით: გ. ბურჭულაძე. 5 მარტი, 1985.“

P.S. ნეგატივსაც ვატან ციციის, – ასე მითხრა (ანამ ნ. ე.), ნეგატივი უკიდურეს შემთხვევაში მიეცით, ვინახავ, რამე რომ დამემართოს, ეს მაინც დამრჩესო“). გ. ბ.

პოეტი ქალის თხოვნა იმავე დღეს შევასრულეთ. ჩვენი გაზეთის ფოტორეპორტიორმა, შესანიშნავმა პიროვნებამ და ხელოვანმა, ვლადიმერ მჭედლიშვილმა, ანა კალანდაძის ფოტოსურათები გაამრავლა, რედაქცია-საც გადმოგვცა და ქალბატონ ანასაც გენადი ბურჭულაძის ხელით მიართვა.

რაიონულ გაზეთ „განთიადის“ 1985 წლის 8 მარტის ნომერი, სწორედ ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი მასალებით დატვირთული გამოვიდა და პოეტ ქალს, ამით, დაბადების იუბილედ მივულოცეთ და ქალთა საერთაშორისო დღე – 8 მარტიც...

გაზეთის ამ ნომერს, ჩემი ლექსი – „წარწერა ანა კალანდაძის წიგნზე“ – დაჯურთე და პოეტ ქალს გავუგზავნეთ, რამდენიმე დღეში, გენადი ბურჭულაძის ბარათი კიდევ გადმომცეს. გთავაზობთ შემოკლებით:

„ქალბატონო ნორა! თქვენი ბარათი და ამნათი გადავცი ქალბატონ ანას. ძალზედ გაუხარდა, თქვენი ლექსი მოეწონა – გულწრფელი და უშუალო (ხედავთ, როგორ ემთხვევა ჩვენი შეხედულებანი!)... გაზეთის გვერდის მიძღვნისთვის – დიდი მადლობაო.“

ახლა ერთი პატარა თხოვნაც უნდა შემოგაწიოთ:

ის სურათები, თქვენ რომ აახლეთ, ძალიან მოეწონა, ოღონდ, იმავე დღეს წამართვესო (საშუალო ზომის რომ იყო ის) მწერალთა კავშირში (სტენდისთვისო,



შ. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატთათვის რომ აქვთ). ნეტავ მაშინვე რატომ არ გთხოვეთ კიდევო. დავამშვიდე: ქალბატონო ანა, თქვენთვის ქალბატონი ნორა შეუძლებელს შეძლებს მეთქი. ეგების მოხერხდეს და კიდევ გააკეთებინოთ (ნეგატივი წამოვიდე, ციცი გადმოგცემთ): ისიც საშუალო ზომისა რომ იყოს და განსაკუთრებით რამდენიმე (5-6, ალბათ, მაინც) 3 x 12 ზომისა, მთხოვენ სხვადასხვა დაწესებულებანიო. ვიცი ქალბატონ ანას ამ სურვილს აასრულებთ და ამიტომაც წინასწარ გმადლობთ!

პატივისცემით: გ. ბურჭულაძე.

P.S. ქალბატონ ანას საიუბილეო კრებულს, მისგან მოძღვნილს, რამდენიმე დღეში გაახლებთ, მისი შეპირებით...“

პოეტი ქალის სურვილი შევასრულეთ: ვალოდია მჭედლიშვილიმა სხვადასხვა ზომის ფოტოები კიდევ დაამზადა, გაამრავლა და გენადი ბურჭულაძეს გაატანა. თავად ანა კალანდაძემაც შეასრულა დანაპირები: რამდენიმე დღეში მივიღე მისი ლექსების საიუბილეო კრებული წარწერით:

„დიდი პატივისცემით, დიდი სიყვარულით ქ-ნ ნორა ედიშერაშვილს, ანა კალანდაძე, 1985“.

ახლა, ეს ავტოგრაფიანი, საიუბილეო კრებული, ჩემი სამაგიდო წიგნია და სულის კარიბჭესთან დანთებული ლექსის კელაპტარი...“

მომავალი შეხვედრები, რომლებიც წინ მელოდა, თავად ანა კალანდაძის სურვილითაც შედგა: მან ოჯახში მიმიპატიჟა, ეს ყველაფერი კი სიზმარს ჰგავდა. მეც მივიღე პატიჟი და პოეტ ქალს ორჯერ ვესტუმრე, პირველად 1985 წლის შემოდგომის ერთ ცრიავ საღამოს, მეორედ – 1986 წლის 3 თებერვალს, – „ანაობაზე“.

ბედნიერი წუთები იყო, ცხოვრების გზაზე გამყვანა და მაშინაც კი არ დამტოვა, როცა დროის კატაკლიზმებმა გაუსაძლისი გახადა სიცოცხლე. ახლაც თვალწინ მიდგას ეს მარადიული „ანაობა“, რომელიც ასე გამორჩეულად უყვარდა პოეზიის დედოფალს და ყოველწლიურად, ისევე აღნიშნავდა, როგორც მის დაბადების დღეს, – 15 დეკემბერს.

სწორედ ერთ ასეთ „ანაობაზე“ ვიყავი მიწვეული ანა კალანდაძის ოჯახში, 1986 წლის 3 თებერვალს. მივეყვები თბილისში, საბურთალოს ქუჩას და თან მიმაქვს გამოუცნობი მღელვარება და სიხარული. ვჩერდები №40 სახლის კართან და ზარს ვრეკავ. ცოტა ხანში სახემდამარი მანდილოსანი ოთახში მეპატიჟება: დაელოდეთ, ახლავე შემოვალ, – მითხრა და მომიბოდიშა, – სხვა სტუმრებსაც მივხედავო.

და ვარ, პოეტ ქალთან შეხვედრის მოლოდინში, ვათვალიერებ მის საცხოვრისს, მყუდრო, უბრალოებითა და ყვავილებით სავსე სავანეს. კედლებიდან მხატვრული ფერტილოები „მიმზერენ“... ვის არ უცდია პოეზიის დედოფლის იერსახის გადატანა ტილოზე, ყველა მხატვარს გამორჩეული ხელწერა აქვს და შესრულების

მანერა. სურვილი კი ერთი: გადასცენ მნახველებს პოეტის სულის მღელვარება და განცდები...“

მალე ანაც შემოდის, წინსაფართითა და საკმაზნარევი სურნელით. მესალმება, მადლობას მიხდის მილოცვისთვის, ხელს მხვევს და სამზარეულოში მივეყვარ: – ვჩქარობო, – მეუბნება, – მალე სტუმრები მოვლენ და სუფრის გამლა უნდა მოვასწროთო... ყველაფერს თავისი ხელით ამზადებს, ეხმარებიან ოჯახის წევრებიც, მაგრამ, სუფრას, მაინც, ქალბატონი ანას გემოვნებით აწყობენ...“

– ეს ნუგემა მაყაშვილია, – მაცნობს ანა სუფრასთან მოფუსფუსე ლამაზ ქალბატონს, – დიდი ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი და მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარის, კოტე გაბაშვილის ქალიშვილი, ჩემი უახლოესი მეგობარი. ნაბოლარა გოგონა მერე შეეძინათ მაყაშვილებს, – განაგრძობს საუბარს ანა, – როცა ტაბახმელასთან, ბოლშევიკებმა 1921 წლის 19 თებერვალს, მათი 19 წლის უმრწემესი ქალიშვილი, მარო იმსხვერპლეს. ახალშობილს ნუგემა ამიტომ დაარქვეს. მისი დაბადება, მართლაც დიდი ნუგეში იყო სამშობლოსთვის თავშეწირული მარო მაყაშვილის დალუპვით დამწუხრებული ოჯახისთვის.

იუბილარ პოეტ ქალს მეგობრები ემატებიან. ოთახი ნაირფერი ყვავილებით ივსება. ენამზებობს ცნობილი მსახიობი, მხატვრული კითხვის დიდოსტატი, ულამაზესი თათია ხაინდრავა, რომელმაც თავისი ქალიშვილი მოიყვალა და მეგობრებს წარუდგინა, როგორც მომავალი მუსიკოსი.

ქართულ სუფრას თავისი ტრადიციები აქვს, უძველესი დროიდან მოსული და მას ყველა ემორჩილება, მცირერიცხოვანი იქნება იგი თუ პირიქით. ასე იყო ანა კალანდაძის ოჯახშიც...“

„ბუღბუღი უჯდა ენაზე“ თამადას, ანას ლექსებით გვხიბლავდა დეკლამაციის დედოფალი, ქალბატონი თათია... იყო საუბრები მიწიერი და ზეციური... პოეტი ქალი იხსენებს კასპელებთან შეხვედრებს, ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეებსა და პედაგოგებთან გატარებულ წუთებს, საუბრობს ოჯახის წევრებზე, მეგობრებზე, პოეზიაზე, ცხოვრებისეულ საკითხებზე... ყველაფერზე თავისებური შეხედულება აქვს, უნდა დაეთანხმო, რამეთუ, არის მასში გულწრფელობა და სიმართლე.

სარკმელთან ღამე ტყდება. ძნელია ასეთი საზეიმო წუთების წარსულში დატოვება, მაგრამ, ხომ არის რწმენა და იმედი... ცხოვრება გრძელდება, კიდევ მოვლენ 15 რიცხვიანი დეკემბრები და მარადიული „ანაობაც“.

ღიახ, მოვლენ!...

ამ იმედით დავტოვე იმ ღამეს ანა კალანდაძის ოჯახი და თან გამოვიყოლე პოეტი ქალის მიერ ნაჩუქარი ფოტოსურათი, რომელსაც თავად წააწერა: „ნორა ედიშერაშვილს, დიდი პატივისცემით სიყვარულით, ანასაგან 3. 02. 86, თბილისი“.

მას მერე, წლები კრიალოსანივით ჩამოიმარცვლა. ისეთი ქარბორბალა დატრიალდა ჩვენ ირგვლივ, არც ველოდით და არც წარმოგვედგინა.

ძვირად დაგვიჯდა თავისუფლებისათვის ბრძოლა. გაუსაძლისი გახდა ცხოვრება, შეუძლებელი – ერთმანეთთან მისვლა და მონახულება. ანა კალანდაძესთან შეხვედრებიც ამიტომ შეწყდა, თუმცა, არა პოეზიასთან. სასთუმალთან მიდევს მისი ლექსთა კრებული და როცა ძალიან მიჭირს, გადავშლი... შემოიჭრება ჩემს სულში, ფაქიზი ვნებების მქონე პოეტის სტრიქონები და გზას გამინათებს, გამამხნევებს, მზესთან და სიცოცხლესთან დამაბრუნებს, გაუსაძლისს დამაძლევინებს, ქეთევან დედოფლის წამებას შემახსენებს და მეტყვის: „ცეცხლი სწავდა დედოფალსა, უდრეკ იყო დედოფალი“...

საქართველოში, ქალის კულტის მქონე ქვეყანაში, ანა კალანდაძემდე, დიდი პოეტი ქალის სახელი არ ვიცოდით, ყოველ შემთხვევაში, ქართველებმა ვერ, ან არ შემოგვინახა.

მეოცე საუკუნემ ეს ლაფსუსი გამოასწორა. ანა კალანდაძის სახელი, ქართული პოეზიის ტაძარში, ვარსკვლავით ანთია, ის განუმეორებელია, მარადიული, როგორც ქართული ცა და ქართული გენი...

პოეზიის დედოფალს, პატივი და დაფასება სიცოცხლეშივე არ მოჰკლებია. ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო, არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, იყო თბილისის საპატიო მოქალაქე, ქართული ენის მუდმივი კომისიის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდენტის წევრი, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი (ამ ინსტიტუტში მუშაობდა იგი წლების განმავლობაში, ლექსიკოლოგიის განყოფილებაში, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე), მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის სახელობის, საქართველოს სახელმწიფო, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის და „საბას“ პრემიები, დაჯილდოებული იყო საპატიო და ღირსების ორდენებით.

დასანანია, რომ ჩვენს შორის აღარ არის, გარდაიცვალა 2008 წლის 11 მარტს, გაზაფხულის მომღერალმა და მზის მეზობლემ, სწორედ, გაზაფხულზე დატოვა სამშობლო, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე შეღალატებდა: „საქართველოო ლამაზო“...

ქართველმა ხალხმა ბოლომდე მიადევნა პატივი და სიყვარული, სამუდამოდ მიუჩინა

განსასვენებელი მთაწმინდაზე და დაავანა ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის და სხვა დიდი მამულიშვილების სულის პარნასში...

„ალალმისი“!..

ინტერვიუ

## დამწვარი როიალი და წყალდიდობას გაყოლილი პიანინო... და მაინც – „აფხაზეთო, დაბრუნებამდე!“

კომპოზიტორ ია მაისაიას ესაუბრება თამარ შაიშმელაშვილი



ლამაზი, დრამატიზმით სავსე სიმღერებით დაიმასხოვრა მსმენელმა, 1993 წლის 27 სექტემბრის სოხუმის ტრაგედიიდან დღემდე, სიმღერით თანამგზავრობს, ხან იმედია, ხანაც ნოსტალგიური მელოდიით... სოხუმში დამწვარი სახლი და დევნილობა არ აკმარა ბედმა, შარშანდღემა ივნისის წყალდიდობამ ახალი ტკივილი და განცდები შეჰმატა... სიმღერა არ შეუწყვეტია! „აფხაზეთო, საქართველოს მშენებავ“ დიდებულ ჰიმნად და ტკივილიან მონატრებად იქცა.

„ია მეტად მგრძობიარე, ალალი ადამიანია, მისი სიმღერები თბილი და გულში ჩამწვლობია“, – მეუბნება ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელი ლია გუსევა. ზარს ვრეკავთ და კარს მიღმა სევდიანი ღიმილით გვევებება... ამ სევდის მიღმა სამყაროა ადამიანისა, ხელოვანისა, ქალისა, ვისაც ყველაფერი აღმოდებულ სოხუმში დარჩა ხსოვნის და სიყვარულის გარდა... სადაც ხსოვნაა, იქ მომავალიცაა!

ავტორის, შემსრულებლისა და კომპოზიტორის, ია მაისაიას პერსონა..

– ბავშვობა. რამ განაპირობა, რომ მუსიკას გააყვებით?

– არა მარტო ჩემი, არამედ ყველა აფხაზეთელის ბავშვობისდროინდელი ცხოვრება, შეიძლება ითქვას, ზღაპარი იყო. გავიზარდე სიყვარულში, სითბოში, კეთილშობილ საოჯახო თუ საზოგადოებრივ ატმოსფეროში.



**ია მისიაის მშობლები**

პირველი შეხება მუსიკის სამყაროსთან დედის ნამღერი „იავნანა“ იყო. ენაც სიმღერით ავიდგი. ოჯახში, შეიძლება ითქვას, ყველა მღეროდა.

ჩვენი ოჯახი მუსიკალური იყო. ბიძა და მამა ცნობილი ლოტბარის, კიწი გეგეჭკორის ანსამბლში მღეროდნენ. ოჯახშიც ხშირად იმართებოდა მუსიკალური საღამოები. მამას მეგობრები ხუმრობით „კარუზოს“ ეძახდნენ. 4 წლიდან ყოველი დაბადების დღეზე მამას ხმის ჩამწერ სტუდიაში მიყვავდი, სურათს გადამიღებდა და ორ სიმღერას ჩამიწერდა ხოლმე. ასე გრძელდებოდა 18 წლამდე. ამ ჩანაწერებს რელიკვიასავით ვინახავდი. სოხუმის დაცემის დღეს ეს ფირები, საოჯახო ფოტოები სახლთან ერთად დაიწვა.

პირველი სიმღერაც 17 წლის ასაკში სიყვარულმა დამაწერინა – სამუსიკო სასწავლებლის მოწაფე ვიყავი.

ბავშვობიდან მინერგავდნენ და ჩემი სურვილიც იყო, რომ ექიმი გავმხდარიყავი, ვემზადებოდი სამაგისოდაც, მაგრამ ორი თვის შემდეგ რაღაც ტრანსფორმირება მოხდა ჩემს ცხოვრებაში. წარმოვიდგინე, რომ მუსიკას ვემშვიდობებოდი (რატომ ვფიქრობდი ასე, გაუგებარია) და გადავწყვიტე, სწავლა კონსერვატორიაში გამეგრძელებინა.

– **სოხუმში ცხოვრობდით, როგორი იყო ომამდელი სოხუმი? რაზე გწყდებათ გული ამ გადასახედიდან?**

– ერთ ლექსშია ნათქვამი: „შენ, სოხუმი, ვარდ-ბაღნარის დასადარი ხარ, საქართველოს ქალაქების პატარძალი ხარ. ვინც შენ არ ენახავს, თვალის ნათელი, არ უნახია მას საქართველო“.

ლაღად ვცხოვრობდით, განურჩევლად ეროვნებისა, ყველას სოხუმელი გვერქვა. ჭირშიც, ლხინშიც ყველანი ერთად ვიყავით, ჭეშმარიტი თანაგრძნობით და არა ყალბად. მხოლოდ სიყვარულს ვიყოფდით. უბრალოდ, ერთმანეთი გვიყვარდა. აი ეს იყო სოხუმი.

არც კი გვიფიქრია, რომ ოდესმე შავი ღრუბლები ჩამოწვებოდა ჩვენს ურთიერთობებში.

სწორედ ჩვენმა საერთო ტკივილმა დამაწერინა სიმღერა სოხუმელი ექიმის – ჯუმბერ ჯოჯუას ლექსზე: „აფხაზეთო, დაბრუნებამდე“.

აფხაზეთში ნაცნობი აფხაზის ოჯახში დაკრძალვის შემდეგ ჩემგან გაგზავნილი სიმღერის ვიდეოფირი ჩაურთავთ. ისეთი ზეგავლენა მოუხდენია ამ სიმღერას იქ მყოფებზე, წამით მიცვალებულიც დავიწყებიათ. გვიან ღამით აფხაზმა ჭირისუფალმა დამირეკა და ცრემლმორეული ხმით მითხრა: ყველას რომ ასე ყვარებოდა აფხაზეთი, როგორც თქვენ ვიყვართ ამ სიმღერაში, მაშინ ომი არ იქნებოდაო მართლაც, ომი დაიწყო იმან, ვისაც არ უყვარდა აფხაზეთი და საქართველო!

უნდა გითხრათ, რომ სოხუმში ძალიან საინტერესო შემოქმედებითი საღამოები, ე.წ. აგანიოკები იმართებოდა იმართებოდა. სოხუმს შესანიშნავი ბოძონდი ჰყავდა და ჰყავს ახლაც, ვინაიდან ჩვენ ტელევიზია, რომელიც არის პიარის საშუალება, არ გაგვანდა და ამიტომ საქართველო, თბილისელებისგან განსხვავებით, ნაკლებად იცნობდა მათ.

– **სოხუმში სიყვარულის ქალაქი და მზის შესადარი იყო. ალბათ ძალიან მტკივნეული განცდაა ჯერ ომი და მერე მშობლიური ქალაქის დატოვება... ეს განსაკუთრებით შემოქმედის სულში დიდ ნაიარევს ტოვებს. ძნელია, იმ ტრაგედიის მერე ისევ ამღერდე...**

– 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. ეს ყველაზე ცუდი სიზმარი იყო ჩემს ცხოვრებაში, რომლისგანაც დღემდე არ გამოვფიხილებულვარ. როგორც გითხარით, აღმოდებულ სოხუმში ჩემი სახლიც იწვოდა და მასთან ერთად ჩემი და ჩემი ოჯახის წარსულიც ჩაიფურფლა. ფოტოებიც კი, რომლებიც დღეს ჩვენთვის რელიკვია იქნებოდა, ისინიც კი აღარ დამრჩა, ჩემს შემოქმედებით ნამუშევრებთან ერთად. ომის წინ ოჯახის სამი წევრი: დედა, მამა და მეუღლე დავკარგე. სამივე ახალგაზრდა ასაკში და დავრჩი ორი მოზარდით, რომელთა არსებობამ გადამარჩინა კიდევ.

მათთვის უნდა მეცოცხლა. დევნილობის პირველი პერიოდი უსაშინლესი და გაუსაძლისი იყო. ერთადერთი, რაც გაგვანდა, ეს იყო იმედი, იმედი კვლავ სოხუმში დაბრუნებისა. სწორედ ეს იმედი მასულდგმულებს და მაწერინებს სიმღერებს. სამწუხაროდ, დღევანდელ ჩემს მდგომარეობას მიემატა კიდევ ერთი სტატუსი: 13-14 ივნისის წყალდიდობით დაზარალებული ეკომიგრანტისა. დღემდე ველოდები ჩემი წილი სამოქალაქო უფლებების დაკმაყოფილებას. ყველაფერი წყალმა წაიღო. მათ შორის ჩემი ოთხი წლის ნამუშევარი, რომლის გამოცემაც ვერ მოვასწარი. რომ იტყვიან, შრომა წყალში ჩაიყარაო, რეალურად ამიხდა, მაგრამ მაინც მთავარია, ცოცხლები გადავრჩით და ყველაფერს ვიწყებთ თავიდან, მაგრამ როდემდე

შეიძლება ითქვას, რომ მე ქალი ვარ, რომელსაც განუწყვეტლივ მართმევენ წარსულს და ძნელად მაძ-

ლევან მომავალს. ახლა მესამედ დავიბადე.

– როგორც ვიცი, სოხუმზე რამდენიმე სიმღერა დაწერეთ...

– აფხაზეთზე 6 სიმღერა შევქმენი. აღმოჩნდა, რომ



ია მაისაია

ჩემი გამოსვლებით დიდი შვება და იმედი მივანიჭე აფხაზეთის ქართველობას. ამის დასტური იყო ჩემი საიუბილეო საღამო, რომელიც, დამსწრე საზოგადოების ცრემლიანი ემოციებით, გრიბოდოვის თეატრში ჩატარდა.

– მუსიკოსი, კომპოზიტორი, შემსრულებელი და პედაგოგი... ეს, ამაფდროულად, დიდი პასუხისმგებლობაა. ამ ჩამოთვლილთაგან, უწინარესად, ვინ არის ია მაისაია?

– უპირველეს ყოვლისა, ვარ დედა, პედაგოგი, შემოქმედი. ეს რომ პირნათლად შეასრულო, დიდი პასუხისმგებლობაა. ცხოვრება მუდმივი ბრძოლაა, გამძლეობა, მოთმინება. გამძლეობა, ეს არასასურველ რეალობასთანაა დაკავშირებული. მოთმინება იმავე რანგისაა და ყველაფერს ამას მაკეთებინებს ერთგულება ოჯახის, ქვეყნის მიმართ.

სამწუხაროდ, სიტყვა „ბედნიერების“ თქმას გავურბივარ, რადგან ბედნიერი მაშინ ვიქნები, როდესაც საქართველო გამთლიანდება.

– ერთი-ორად ძნელია, იყო აფხაზეთელი, სადაც ყოველ ცხოვრებისეულ მოვლენას სწორედ სიმღერით ეხმიანებოდნენ... თქვენი მუსიკა ფოლკლორით საზრდოობს. აკი, აღნიშნეს თქვენს საღამოზე, რომ ია მაისაიამ თავისთავადი, გამორჩეული მუსიკა ფოლკლორულ საწყისებზე შექმნაო... როგორ დაიწერა „ვარადო“?

– ნამდვილად ასე იყო აფხაზეთში, კერძოდ, სოხუმში მაღალ დონეზე იდგა ფოლკლორული ანსამბლები, რაც, ამავე დროს, ჩემი შემოქმედების საწყისად იქცა. „ვარადოს“ ლექსის ავტორი გახლავთ საქართველოს ერთ-ერთი ღირსეული შვილი გიორგი შარვაშიძე. სიმღერაც

მისი საიუბილეო საღამოსთვის შეიქმნა.

– სიტყვამ მოიტანა და, მიღებული გაქვთ გიორგი შარვაშიძის პრემია, ღირსების ორდენი, გამოეცით სამი კრებული... წარმატებებთან ერთად მუდამ მხარს გიმაგრებდათ დიდი და ძლიერი ოჯახი...

– დიდი ოჯახის წარმომადგენელი ვარ – 4 დედა-მამიშვილი, სამი და და ერთი ძმა. მამა ეკონომისტი იყო, დედამ პედაგოგიური მოღვაწეობა ოჯახს, შვილებს, დისშვილებს, ახლობლებს მიუძღვნა. დედას დღემდე ცრემლებით იხსენებს სამეგობრო... გარეგნულადაც და სულიერადაც ლამაზები იყვნენ ყველანი.

მეუღლე – ვახტანგ თოდუა მშენებელი-ინჟინერი იყო. ერთ-ერთი სასურველი სასიძო ყველასთვის.

სიმღერების კრებული „დაბრუნებამდე“ მივუძღვენი ჩემს შვილებს: თეა და ნათია თოდუებს, ჩემი სიხარულისა და ტკივილის თანაზიარო ჩვენ ტკივილით, ნოსტალგიითა და იმედით ვაგრძელებთ ცხოვრებას დაბრუნებამდე!

– მრავალი სიმღერის ტექსტის ავტორიც ბრძანდებით. მათ შორის ჰიმნად ქცეული სიმღერისა: „აფხაზეთო – საქართველოს მშვენიეავ“. როგორ შეიქმნა ეს სიმღერა?

– ჩემი სიმღერები იქმნებოდა, შესაბამისად, წარსული თუ თანამედროვე მოზღვაებული ემოციების ნიადაგზე. ზოგჯერ პროტესტის გამოხატვითაც (მაგ. ოკუპირებული აფხაზეთის ერთ-ერთი ხელისუფლების წარმომადგენლის გამოსვლისას: „Не выдать вам АБХАЗИЮ“ საპასუხოდ, პროტესტის ნიშნად დავწერე სიმღერა: „აფხაზეთო, საქართველოს მშვენიეავ“).

– ჩემთვის ლექსს დიდი დატვირთვა აქვსო, – ბრძანეთ ერთ ინტერვიუში. ეს სასიამოვნოა, რადგან დღეს უგემოვნო მუსიკა და ლექსია მოძალებული. კომპოზიტორები კი ზშირად პროფესიონალი ავტორების ლექსებით არ ინტერესდებიან და სანაცნობო წრეს არ სცილდებიან. არაპროფესიონალიზმი აშკარად ეტყობა სასიმღერო ტექსტებს თქვენ რას ფიქრობთ?

– ყველაფერი დამოკიდებულია განწყობაზე. თუ შესაბამისი განწყობილების ლექსი შემხვდა და მან



შემოქმედებითი იმპულსი მომცა, სხვა თუნდაც ცნობილი პოეტების ლექსს არ დაუწევებ ძეხნას. მე მგონი, ყველა კომპოზიტორისთვის ასეა.

მე მჯერა, რომ სიტყვამდე იყო მუსიკა, სანამ სა-  
მყარო იარსებებს, არც სიმღერა გამოილევა. არა აქვს  
მნიშვნელობა, ცხოვრების რომელ მონაკვეთში არის  
შემოქმედი აქტიური.

მე ვფიქრობ და განვიცდი იმას, რომ დღევანდელი  
კონკურსები უცხო ენაზე შესრულებული სიმღერებითაა  
გაჯერებული, რასაც თანდათან ქართული ლირიკული  
სიმღერების დაცემა და განუვითარებლობა მოჰყვება.

**– მოგიყვებით, როგორ იწერება სიმღერა? როგორ  
მოდის შთაგონება?**

– შთაგონების ერთ-ერთი წყარო არის პოეზია.  
პოეზია ყოველთვის მაძლიერებდა, მუსიკა მამშვიდებდა.

**– საქართველოს პატრიოტული სიმღერების კონკურ-  
სის ერთ-ერთი წარმატებული მონაწილე ხართ...**

– დიდი სიამოვნებით ვმონაწილეობდი საქართველოს  
პატრიოტული სიმღერების კონკურსში, სადაც დამა-  
ჯილდოვეს პიანინო „პეტროფით“, რომელიც, სამწუხ-  
აროდ, ზემოხსენებულმა წყალდიდობამ შთანთქა.

**– გაიხსენეთ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე, რომელიც  
ომის დროს დახვრიტეს... მის ლექსებზე სიმღერები  
გაქვთ შექმნილი...**

– ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე ჩემი მეგობრის დედა იყო.  
27 სექტემბერს 9 აპრილის მემორიალთან დახვრიტეს.

20 წლის ვიყავი, როდესაც ერთმა თაყვანისმცემელმა  
წიგნი მაჩუქა. შიდა ყდაზე ლექსი ეწერა: „მინდვრის  
ყვავილები“, ოღონდ ავტორი არ იყო მითითებული და  
რატომღაც ჩავთვალე, რომ ეს ლექსი მე შეძენებოდა.  
ძალიან მომეწონა და ამაღელვა ლექსმა მინდვრის ვე-  
ლურ ყვავილებზე.

„მხოლოდ მინდვრის მოუვლელი ველური,  
განა ვინმეს მოვლილ-ნასათუთევი...“

მებაღეო, არ გეგონო გრძნეული,  
მხოლოდ მათი სურნელებით თუ ვთვრები“

გავიდა საბი დღე და შემთხვევით ეს ლექსი ვნახე  
დაბეჭდილი გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“. ავტორი



**ია მაისიას შემოქმედებითი საღამო**

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე ეწერა. როდესაც მოგვიანებით  
შევხვდი ქალბატონ ეთერს, გულიანად გაიცინა და ასე  
მითხრა: ჩათვალე, რომ ეს ლექსი მე შენ მოგიდევნიო.  
ასე ვიჩუქე ეს ლექსი.



**შეილები – თეა და ნათია თოღუბი**

**– საყვარელი პოეტი და კომპოზიტორი...**

– რუსთაველი და ბეთჰოვენი, ყველას ჩამოთვლა  
ძალიან შორს წავიყვანს. დღევანდელიდან კი, ძალიან  
მიყვარს – შოთა ნიშნიანიძე და მაცაცო, ნუნუ დულაშ-  
ვილი... ყველა მიყვარს, ვინც კარგ მუსიკას ქმნის.

ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა ბიძინა  
კვერნაძესთან შეხვედრამ, რომელმაც წამათამაშა და  
მიბიძგა, რომ ჩემი შემოქმედება საჯაროდ გამომეტანა,  
რის გამოც მისი დიდი მადლიერი ვარ.

**– ვიცი, რომ თქვენთვის უმთავრესია ადამიანური  
ურთიერთობები...**

– ყველაზე ღირებული ჩემთვის ადამიანური  
გულწრფელი ურთიერთობებია. შემიძლია, ადამიანი  
ფერითაც შევიგრძნო... ჩემი მეგობრები გულწრფელები,  
მოყვარულები და ერთგულები არიან.

წარმოიდგინეთ ჩემი განცდა, როცა წყალდიდობის  
მეორე დღეს უცნობებმა და ნაცნობებმა 30 გას-  
ალები მომიტანეს, ყველა მეუბნებოდა, მოდი, ჩვენთან  
იცხოვრეო...

**– როდის იყავით ყველაზე ბედნიერი?**

– როდესაც დედა გავხდი. ჩემი მშობლები და  
მეუღლე თავს დამტრიალებდნენ.

**– და მაინც ვინ ხართ?**

– ვინ ვარ? „შეიცან თავი შენი“, – უპირველესი  
მოვალეობაა ადამიანის. და მგონია, რომ კარგი ადამი-  
ანი ვარ. ვარ ქრისტიანი ქართველი, რაც უმთავრესია  
ჩემთვის, ვარ სოხუმელი.

მაქსიმალისტიც ვარ ბუნებით, ზოგჯერ მაქვს  
მიძინების პერიოდები, თუ ვინმემ გამაბრაზა, მაშინ  
უფრო მომდის მუზა, ანუ მტერი მუდამ გაფხიზლებს.

მეგობრები ხუმრობით ფილმ „რეკორდის“ გმირსაც  
მეძახიან... ვეუბნები, რომ გამაბრაზონ, რათა უფრო  
მეტი შთაგონება და ფანტაზია მოვიდეს

ჩემი დევიზია: „არ დავცხრე, ვიდრემდე ვიყო“.

ვარდები ტირიან...

ნიკალა ფიროსმანაშვილს



ტირიან ვარდები ივლისის,  
 ვარდები ტირიან ნიკალა  
 დავთვრები კაეშნით თბილი ძვის  
 და ნისლის გვირილებს ვიპარავ...  
 ცას თვალებს უუკოცნი მინდორში,  
 ვარ ცრემლის და ფუნჯის ამარა,  
 რომ ირმის ნახტომით იმ დროში  
 მოვხატო სიცოცხლის კამარა...  
 იისფერ ირმების წყაროს ვსვამ,  
 ედემში რთველია სამთვარო...  
 ხელადა გაზაფხულს დავისხამ,  
 და სევდას ავუნთებ სამყაროს...  
 და ვარდის ტრამალებს გავეუშლი,  
 სისხლივით წითელი ვარდების...  
 აქ ოქროს ჩიტების ხმას ვუსმენ,  
 აქ როს მარგარიტა ცად მღერის...  
 დავთვრები კაეშნით თბილი ძვის  
 და შობის ვარსკვლავებს ვიპარავ...  
 ტირიან ვარდები ივლისის,  
 ვარდები ტირიან ნიკალა...

ანა კარენინა

ჯერ კიდევ ღელვის ცამეტისა,  
 ღამეში უნდა დამეტირა,  
 სად ზამბახივით ცად კვიდა  
 ოცნების კარენინა...  
 ვით თოვლი ლურჯი ხავერდისა,  
 სულს მწვავდა ქროლვით ხმა ვერდისა,  
 ტკივილის თბილი ქარებიდან  
 მდიოდა ცრემლი კარენინა...  
 ვარ ია ცეცხლში ამოსული  
 და ელავს მწუხრი ჭალებისა –  
 ყველა ქალივით მარტოსული  
 მზის ნეკნი – ანა კარენინა...

\* \* \*

ეს შემოდგომა ფოთლების ნავში  
 შენი თვალების ბივრილს მიგზავნის...  
 ელვა ვერ აღწევს ედემის ბალში,  
 გიმაგნოლიებ ცრემლის სინაზეს...  
 აქ ნათელია გაუხუნარი,  
 თუნდ უჟამობის ჟამი გამოხდეს,  
 იქნებ უეცრად შეგვხვდა უფალი  
 და წამიერად მოგვცა სამოთხე?

\* \* \*

ჩაივლის ეს დღე  
 და არასოდეს აღარ ამოვიღის...  
 ჩავივლით ჩვენც და  
 ჩვენს ნაფეხურზე დაუცდება ფეხი  
 ლამაზ წყვილს...  
 და... გაიმლება სამოთხის ვარდი....

მზის სარეცელზე...

მზის სარეცელზე მჭრიდა ალერსი  
 შენი ტკივილით შეზავებული  
 და ამქვეყნიურ საედემოსთან  
 აპრილთან ერთად მე ვზავდებოდი  
 და უსამანო ქროლვის ნაპირზე,  
 შენ მოგყვებოდი სევდაონავარს...  
 ჩამოქარული გაზაფხულივით  
 ქარის თვალები ჰქონდა მომავალს...

## თუნგი

ეს გაზაფხული ვერცხლისფერი  
დედის თუნგია –  
აყვავებული...  
ცრემლის ზედაშე.

დედამ მზისფერი ჩქერალები  
ჩამოწურა  
სპილენძის ნისლში,  
ზანზალაკებად ჩაუდგა სევდა,  
თეთრი ტკივილი,  
როგორც ვენახში წინგორგოლაზე,  
მღერის სული, სიტკბობას ნაზიარევი...

დედის ხელები წინგორგოლის მტევნებია,  
გაკრეფილ ვენახს შერჩენილი ქარის სურნელით...  
სივრცეს რომ რთავენ, ბიბინებენ, ბინულს იბნევენ  
და მიაქვთ სევდა ზეცის ნაპირთან...

დედის რთველია ძველი თუნგი  
ნათითურებით,  
ვარდის ფურცლებით,  
იების ღამით...

შებინდებისას იღვიძებენ დედის იები,  
შებინდებისას ფეხაკრეფით  
შემოდის ნისლი, ლურჯი შუქი...  
ვით უსამბარის\* ფერდობების ნაპრალები,  
იხსნება გული და ყვითელი მოკაშკაშე  
ყვავილი მღერის...  
ოთახში დადის  
სემპოლია,  
დედა – ზმანება...

ნათითურები –  
თუნგის  
სევდა-ზედაშეები  
მზის აიაზმით ივსებიან...  
მეც მზეს ვილოცვი,  
ყოველთვის, როცა ამ თუნგიდან  
წყალს ვეწაფები...

---

\* უსამბარა (Usambara) აღმოსავლეთ აფრიკაში, კერძოდ ტანზანიაში მდებარე მთის მასივია. უსამბარაში აღ-  
მოაჩინეს უცნობი იისფერი ყვავილი სენპოლია. აქ გერმანიის კოლონია არსებობდა, მისმა მმართველმა ბარონმა  
უოლტერ სენ პოლმა და მისმა საცოლემ აფრიკის მწველ მზეში ნაპრალებში, ხავსიან ლოდზე იპოვეს ეს ყვავილი.



\* \* \*

საიდან გაჩნდი, სიყვარულო?!  
 შენგან ავად ვარ,  
 შენს მეტასტაზებს ვეღარ უძლებს  
 ჩემი სხეული,  
 რისი მარტყოფი, ან დიდგორი,  
 ანდა მარაბდა,  
 შენთან ვმარცხდები, ყველა ომში  
 გამარჯვებული...  
 საიდან გაჩნდი, გულს საიდან  
 შემოეკედლე,  
 შენი ნესტარით დასნეულდა  
 ყველა ორგანო,  
 ლალი ვიყავი, ვაძოვებდი მთებზე  
 ერკემლებს,  
 შენმა ისარმა მაინც დამჭრა,  
 იქაც მომაგნო...  
 არც ქარი ჩადგა, აღარც სხივი  
 მზის ჩანს ცისკარზე,  
 ამ ყიამეთში ამერია გზა და სავალი,  
 ნეტავ სად გაქრი, სიყვარულო,  
 სად დაიკარგე,  
 შენთან ყოფნა ჩემი ყოფის  
 გამოსავალი...  
 ჩემგან ვერ წახვალ, ვერ ამოგშლი  
 ჩემი გულიდან,  
 არც ისეთი ვარ, ბილიკ-ბილიკ  
 მომიცოტავო,  
 მიკვირს (არა ის, რომ სიკვდილი  
 დასასრულია),  
 უსიყვარულოდ დედამიწა როგორ  
 მოძრაობს?!..

ტიბაანი, ხირსა

9 იანვარი წმინდა სტეფანე ხირსელის  
ხსენების დღეა

რა ლამაზია ღამეში წვიმა,  
 მე მოგინატრე წვიმიან ღამეს,  
 მთვარე გედიქის ღრუბლებზე მიწვა,  
 შენ კარი მაინც არ შემოაღე...  
 ვიყავი ჩემთვის, ფიქრებთან მარტო,  
 ხანდახან ფიქრიც კაცივით სცოდავს,  
 შენ სად იყავი, ძვირფასო, ამ დროს,  
 ცრემლად მდიოდნენ ნისლეები როცა?!  
 ჯანლი აწვება ერეკლეს ქიზიყს,  
 ხალიბაურის ფარივით გამლილს,  
 დგას დედამიწა ჩამავალ მზის წინ,  
 უკიდევანო სამყაროს ზღვაში...  
 წვიმს, წვიმა სევდის ნოტებზე  
 გალობს,  
 უფლის მზესავით ანთია ხირსა,  
 საქართველოსთვის, უფალო,  
 გმადლობ,  
 მამულო ჩემო, იესოს ღირს ხარ!..

ველსა მის ღეირისასა

გარდამოვალის ნათელი,  
 ზემოთით წამოვღვრი მისავალს,  
 უფალთან ღამეს ვათევდი,  
 ველსა მის ღეირისასა!..  
 გზა ვჰკვიე წმინდა ტაძრისკენ,  
 მას ვკითხე, შევხვდი ვის სადა,  
 ზილფი და ვარდი ვამკვიე,  
 ველსა მის ღეირისასა!..  
 შენ მამა-პაპის საყდარო,  
 მოგიწყენია რისადა?!  
 ბზად დავუფინე სამყარო,  
 ველსა მის ღეირისასა!..  
 ქარებს მივანდე სიცოცხლე,  
 ჩემი ცოდვების მზიდავსა,  
 მე კი მიველ და ვილოცე,  
 ველსა მის ღეირისასა!..



# ლილია ხოჭლამაზაშვილი



ლილია ხოჭლამაზაშვილი დაიბადა 1949 წლის 15 ივლისს კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, ქვ. ბოდბეში (სიღნაღის რაიონი), სადაც დღემდე ატარებს სიცოცხლის ლამაზ წლებს. სამშობლოს შესძინა სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

დაამთავრა ილიას უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1968 წლიდან 2010 წლამდე მუშაობდა რუსული ენის პედაგოგად სოფ. მალაროსა და ქვემო ბოდბის საჯარო სკოლებში, ხოლო 2010 წლიდან დღემდე მუშაობს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგად.

## თუკი მოხვალ

ქარიშხლები, ქარიშხლები სასულეთში,  
იმედებით განძარცვული ფიქრები,  
– თუკი მოხვალ ოქროცურვილ უდაბნოში,  
მულამ შენი მაღლიერი ვიქნები!  
იმედები, ტბორი, ცა და ნაკვერჩხლები,  
ოცნებებში ჩაძირული სიზმრები,  
ახლა მივხვდი, რისთვის დუმან მღუმარებით  
ხეთა ჩრდილში სულ პაწია კვირტები.  
ვუსმენ ტყეში როგორ გალობს იადონი,  
თეთრ მუხლებზე დამხობილან მინდვრები,  
კლდიდან ისმის არწივების ხმიანობა:  
– თუკი მოხვალ, მაღლიერი ვიქნები!

## მოდის, ჩაგისუტო, კვირტო

ქარი ზუზუნებს გარეთ –  
თებერვლის ამ სუსხიან ღამეს,  
მოდის, ჩაგისუტო კვირტო!  
მოდის, მოგიყვები რამეს.  
როგორ გაყინულხარ, როგორ,  
თებერვლის ამ სუსხიან ღამეს,  
ნუ გაჯიუტდები, კვირტო!  
მოდის, მოგიყვები რამეს,  
მოდის, მოგიყვები რამეს...

## ფერისცვალება

ხეთა კვირტებში,  
ხეთა ფოთლებში,  
ხეთა ჩრდილებში  
გავინაბები.  
ღვთიკურთხეული  
ღვთისმშობლისაგან  
ზეცის ცრემლებით  
დავინაბები.  
გულს მოწოლილი  
ფიქრთა ზმანებით  
შორეთს მიჰქრიან  
გიჟი წამები,  
მე განძარცვული  
და ნაწამები  
განთიადისას  
ძირს დავეცემი,  
იქნება ტანჯვა,  
კვნესა წამების,  
სიცივე მძიმე  
ფერისცვალების,  
მაგრამ კი მჯერა  
უფლის ფეხებთან  
სული გრძნობს  
სითბოს  
გარდაცვალების.

# ჩემო ესტატი მასწავლებლო...



*ქღვინება დაუვიწყარი ესტატი მასწავლებლის  
ნათელ ხსოვნას*

წერილი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე  
დავწერე. ეს დღე ხომ წუთისოფლელთა და ზესთა-  
სოფლელთა სულთა დამაკავშირებელია...

ესტატი მასწავლებლო! თქვენი ალალი, ღვთიური  
ნათლით გასხვიოსნებული ღიმილი მეფრქვევა დღესაც.  
სული სულს რომ ულოცავს ქრისტეს აღდგომას და  
სულეთიდან რომ მეთანხმებით, – ჭეშმარიტად!

21-ე საუკუნიდან მე-20 საუკუნის 70-იან წლებში  
ვბრუნდები თქვენთან და ჩემს კლასელებთან ერთად  
ქართულის გაკვეთილზე.

რამდენი ხნის მონატრებულ გაკვეთილს ვისმენ!  
როგორ მინდა, ეს ნანატრი წამები არ დასრულდეს!  
როგორ მინდა, კვლავ თქვენ გვმოდღვრავდეთ და ჩვენ  
კი ვისმენდეთ!

შეუმჩნევლად ახლით სიბრძნის სკივრს თავსახურს  
და გადმოგვაფენდით ღვთიურ მადლს თავზე. ამას ისე  
აკეთებდით, იმდენ სითბოს, სიყვარულსა და ენერგიას  
ატანდით, რომ წამი აუცილებლად მარადიულ თანამგ-  
ზავრად უნდა გვექცია. თქვენი თითოეული გაკვეთილი  
ხომ ბრძოლა იყო წუთისა და მარადისობის. ქართულის  
გაკვეთილზე ირღვეოდა წუთისოფლის თვისება-ბარიერი,  
საზღვარი, დრო, სივრცე.

აღმაფრენით, ქართველ პოეტთა ლექსებით ზენაარში  
გვამოგზაურებდით. ოცნებებს ფრთებს შევასხამდით  
და „სიკვდილის გზას“, როგორც მარადიულობასთან  
შემაერთებელს, „ვარდისფერ გზად“ დაგვისახავდით.

გალაკტიონთან, მერანზე ამხედრებულ ტატოსთან,  
აკაკისთან, ვაჟასთან, რუსთაველთან თუ ჰავიოგრაფ-  
ჰიმნოგრაფებთან, ისე მიგვაახლებდით, რომ საუკუნე-  
ბის მსხვერვის ხმა ხელსაც არ გვიშლიდა მათთან  
ღიალოგში.

ეკალბარდიან გზებზედაც დაგყავდით. ყველაზე  
ტკივილიანი წიწამურის გზა იყო, საიდანაც ილიას  
სისხლი მოედინებოდა, გვმოდღვრავდა და ანდერძად  
გვიტოვებდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დავგრჩა ჩვენ  
მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამა-  
თაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს  
გავცემთ შთამომავლობას?!“

თქვენი ყოველი გაკვეთილი, განუმეორებელი და  
შთაბეჭდავი, ბავშვობის მშვენიერების სამყაროდ ჩავგრჩა  
მეხსიერებაში.

თქვენი ღვთით ბოძებული ნიჭის მადლია, წიგნის  
კითხვის სიკეთის გადმოღება ჩვენზე. თავისუფალი აზ-  
რის გამოთქმით თავისუფალ მოქალაქეებად გვზრდიდით  
თავისუფლებადაკარგულ საბჭოთა ეპოქაში. გწამდათ,  
რომ ჩვენი თაობა იმ ბორკილებს დავამსხვრევდით  
და მამულს დიდი ხნის ნანატრ დამოუკიდებლობას  
მოვუტანდით.

ხშირად ჩაგვაფიქრებდით ხოლმე ლექსისა თუ  
პროზაული ნაწარმოებების სტრიქონსა და სტრიქონს  
შორის დატოვებულ, დაუწერელ ხაზებში, – რა უნდა  
დაეწერაო მწერალს?! ვფიქრობდით და დაუწერელი  
ხაზებიც ივსებოდა ჩვენი ნააზრევით.

გვარწმუნებდით, კარგი მკითხველი, ღვთისნიერი,  
გამგები ადამიანია, რომელსაც სიტყვის წვდომა ძა-  
ლუძს. სიტყვის მწვდომი კაცი სიყვარულის, ღმერთის  
მაძიებელია, რომელსაც აუცილებლად იპოვისო.

მრავალ კარგ თვისებათაგან ერთი გამორჩეულად  
მიყვარდა. ვისაც საშინაო დავალება არ ჰქონდა, თავში  
„კაკუჩს“ უთავაზებდით. ეს ისე საყვარლად იცოდით,  
ბევრჯერ სინანულშიც ჩავვარდნილვარ და კეთილი  
შურით შემშურებია კლასელებისთვის.

ახლა მინდა, გამოგიტყდეთ. ბევრჯერ დავალების  
რვეული დამიძალავს, რათა მეც მრგებოდა თქვენი  
„კაკუჩი“ თავში. არ ვიცი, სხვა რას გრძნობდა, მე კი  
სწორედ თქვენი „კაკუჩის“ წყალობით განვავრძობ,  
თქვენს დაწყებულ საქმეს.


ჩემო ესტატი მასწავლებლო! ვიცი, ამ წერილს  
წაუკითხავს არ დატოვებთ, როგორც ჩვენს საკონ-  
ტროლო რვეულებს. ცოტა არ იყოს, მერიდება კიდევ  
წითელი ხაზები არ გაჩნდეს ჩემს ნაწერში. კადნიერე-  
ბაში კი არ ჩამითვალოთ... დიდი ხნის ნაფიქრი და  
მონატრებული რომ არ მომეწერა, ალბათ ის უფრო  
დიდი შეცდომა იქნებოდა.

ძალიან მენატრებით! თქვენს გაკვეთილებს სიზმარში  
ვხედავ, ისევე ვიმოდღვრები დღესდღეობით თქვენი კო-  
ლეგა, თქვენ წინაშე სმენადქცეული, თქვენს სიტყვას  
მონატრებული, მოწაფე – მაყვალა გერმანოზაშვილი.

P.S. ამ წერილით მინდა ქედი მოვიხარო ჩემი  
მასწავლებლების ნათელი ხსოვნის წინაშე, მადლობა  
გამოვხატო მათი გაწეული ღვაწლისა და ამავის მიმართ.  
დარწმუნებული ვარ, რომ არ მიწყენენ, თუ მათ  
შორის გამოვარჩევ ესტატი მასწავლებელს, რომელიც  
ანთებული კელაპტარივით უჩვეულო შუქით მინათებს,  
როგორც წარსულს, ასევე აწმყოსა და მომავალშიც  
ჩაუქრობელი გზამკვლევი იქნება არა მარტო ჩემთვის,  
არამედ თაობებისათვის.

დღეს მშობლიურ სკოლაში ღირსეულად განაგრძო-  
ბენ ესტატი მასწავლებლის დაწყებულ საქმეს მისივე  
აღზრდილი პედაგოგები. კასპის რაიონი, სოფელი  
ახალქალაქი, ამავე სოფლის ეკატერინე გაბაშვილის  
სახელობის საჯარო სკოლა, მისი პედაგოგები, მოსწავ-  
ლეები, მშობლები, დღესაც ამაყად იხსენებენ ესტატი  
მასწავლებლის სახელს. ამას მოწმობს მის საფლავის  
ქვაზე ამოტვიფრული წარწერა: „ესტატი მასწავლე-  
ბელი“. ნათელში იყოს მისი მართალი სული!

**მაყვალა გერმანოზაშვილი**



დავით ბაძალუას ნამუშევრები



ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:  
ნორა ბეროშვილი, სალომე გოგოლაძე,  
როზა ინანიშვილი, ნინო ჩხიკვიშვილი

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:  
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;  
ანგარიშის ნომერი: GE81BG000000306158900

ყვარლელი კოტეხი  
„ანეული“ ფრესკაზე

ბადრი სულაქის ერთი ლექსი

ჯუმბერ ჯიშქარიანი —  
„ლადოს ხეივანი“

თარგმანი —  
შანო მკრტიანის ლექსები

უილიამ ჰენრი დეივისის  
პოეზია

მამუკა მაღულაჩია —  
შემოქმედების აღქმითა

თამარ შაიშველაშვილის  
პოეზია

ივანე ჯავახიძე —  
შესავლა  
გიორგი ოჩიაურთან  
(დასასრული)



ანეული — გაბაფხულის ხეული